ერაყის არჩევნების შედეგები - წარმატებული ქურთები და მეტის მოსურნე შიიტები A5



აუცილებელია დამოუკიდებელი, კორუფციისგან თავისუფალი სასამართლო B1

ასეთები ვართ, ძმაო, ქველევროპელები B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 15 თებერვალი, 2005 წელი. №34 (894)

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

მთავრობის "კვირეული" პარლამენტში

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მიმდინარე კვირა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსთვის, ისე სამთავრობო სტრუქტურებისთვის.

A2

პოლიტიკა

უმრავლესობის "საჩვენებელი გამოსვლა"

სხდომის ღია ნაწილზე უმრავლესობა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის სამოქმედო პროგრამას ისმენდა, დახურულ კარს მიღმა კი იმ საკონსტიტუციო ცვლილებებზე ბჭობდა, რომელიც პარლამენტართა რაოდენობის შემცირებას ეხება.

A2

იურიდიული ოფისი ,,გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

ამინდი

	15/2	16/2	17/2
თბილისი	11	9	7
ქუთაისი	15	15	14
ბათუმი	17	18	18
სოხუმი	14	16	14
ფოთი	16	17	17
თელავი	10	8	4
ზუგდიდი	17	17	16
გორი	8	7	4
ახმეტა	11	8	5
ჭიათურა	10	10	9
გაგრა	13	15	14
სამტრედია	16	16	15

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8350
ევრო	2.3805
ბირვანქა სტერლ.	3.4524
რუბლი	0.0655

A		B	
ამბები	A2	რევიუ	B2
პოლიტიკა	A3	განცხადება	B3
ეკონომიკა	A4	განცხადება	B4
უცხოეთი	A5	განცხადება	B5
საზოგადოება	A6	სპორტი	B6
სამართალი	A7	თვალსაზრისი	B7
თვალსაზრისი	A8	სხვადასხვა	B8

რუსლან ქიშმარია: აფხაზეთი არასდროს იქნება ძლიერი, სანამ საქართველო არ იქნება აყვავებული

"მეშინია რუსეთთან დაახლოების. იმიტომ, რომ შესაძლოა, ჩვენც გავრუსდეთ. მე კი ეს საშინლად არ მინდა."

მარტის თვეში გალში, ასოციაცია "სტუდია რეს", "გალის ქალთა ასოციაციისა" და სოხუმელი ტელეჟურნალისტების მეცადინეობით, ტელესტუდია დაარსდება. სტუდიის მიზანია გალში, ადგილზე ტელეჟურნალისტები აღიზარდონ. ამ პროექტის ერთ-ერთი მხარდამჭერი დიდი ბრიტანეთის არასამთავრობო ორგანიზაცია "Consiliation resurces" (შერიგების რესურსები) იქნება. ამ იდეის გასახორციელებლად ქალბატონმა თინა ქეცბაიამ (გალის ქალთა ასოციაცია) გალში მიგვიწვია. მე და მიხეილ მირზიაშვილს, მასპინძლის გარდა, გალის საკრებულოს ხელმძღვანელი - რუსლან ქიშმარია და ჩვენი სოხუმელი კოლეგა ოთარ კაკალია შეგვხვდნენ. რუსლან ქიშმარია შესაფერისი ფართის გამოყოფას და დაცვით უზრუნველყოფას დაგვპირდა. იგი ჩვენი პირველი ქართულ-აფხაზური ფილმის მონაწილეცაა და ჩვენდამი ნდობის ნიშნად ინტერვიუზეც დამთანხმდა.

მამუკა ყუფარაძე

მამუკა ყუფარაძე: - ბატონო რუსლან, მე მინდა აფხაზეთი გაერთიანდეს საქართველოსთან, მაგრამ მე არ მინდა და არც მჯერა, რომ ძალის გამოყენებით შეიძლება აფხაზეთის დამორჩილება. რას იტყვით, რა მომავალი აქვს ჩვენს ურთიერთობას?

რუსლან ქიშმარია: - მე ერთი ოცნება მაქვს... მინდა, რომ აფხაზეთი იყოს ღირსეული ადამიანების ღირსეული ქვეყანა. ადამიანებმა იცხოვრონ ლამაზად თავის ლამაზ მიწაზე, თანამეგობრობაში ყველა იმ სხვა ეთნოსებთან და ხალხთან, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთში.

აფხაზეთი კი არასდროს იქნება ძლიერი, აფხაზეთი არასდროს იქნება დაწყნარებული და თავისუფალი მანამ, სანამ საქართველო არ იქნება აყვავებული, სანამ ქართველი ხალხი არ იქნება დაპურებული, კმაყოფილი.

მართალია, არ არის ისეთი სახელმწიფო, სადაც ყველანი იქნებიან თანასწორნი და კმაყოფილნი, მაგრამ საშინელია ისეთი ქვეყანა, სადაც გამათხოვრებული ხალხი გაშვერილი ხელით დადის და სახლიდან გამოსული ადამიანი ფიქრობს: "უმჯობესია, სახლში არ დავბრუნდე, თუკი ბავშვებს ვერ დავაპურებ".

გაგრძელება A3 გვერდზე

რუსეთს დასავლური დემოკრატია არ სჭირდება

"დიდი რვიანის" წევრობის უმთავრესი პირობა დემოკრატიული პრინციპების დაცვაა. სწორედ ამიტომ რუსეთი არ უნდა იყოს მისი წევრი," - აცხადებს ჯორჯ სოროსი

ხათუნა გაბიევი

უკვე დიდი ხანია, რაც რუსეთში დემოკრატიული ღირებულებების უხეშად იგნორირება არავის გაკვირვებას აღარ იწვევს. როგორც ჩანს, რუსულ ოფიციოზს ეს ნაკლებად აღელვებს. თუმცა, რუსეთის ხელისუფლებას მაინცდამაინც არც ის უნდა მოსწონდეს, როცა დასავლეთი დემოკრატიის განვითარების საკუთარ მოდელს სთავაზობს. ამას მიუნხენში, უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებებიც ადასტურებს. "დემოკრატია კარტოფილი არაა, ერთი ნიადაგიდან მეორეზე რომ გადარგო," - განაცხადა სერგეი ივანოვმა. მისი თქმით, რუსეთს დემოკრატიის განვითარებაში დასავლეთის დახმარება არ სჭირდება, მით უფრო, დასავლური დემოკრატიის მოდელის პირდაპირ გადაღება. "ჩვენ მზად ვართ, განვაგრძოთ დემოკრატიული პროცესების განვითარება და საერთაშორისო ინსტიტუტებთან ინტეგრაცია, მაგრამ საკუთარი თავის ბატონ-პატრონად დავრჩებით," - აღნიშნა მან. ამ თემის გავრცობა მიუნხენის კონფერენციის შემდეგ უკვე მოსკოვში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ტერი დევისის ჩასვლისას მოხდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელ კრებაში მონაწილე პირთა საყურადღებოდ

ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელ კრებაში მონაწილე პირებმა, რომლებმაც გაიარეს რეგისტრაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, გთხოვთ, 2005 წლის 17 თებერვლიდან 24 თებერვლის ჩათვლით წარმოადგინოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემული საბუთების მიღების ხელწერილი, რის საფუძველზეც გაიცემა ადვოკატთა ასოციაციის წესდების პროექტი (ასოციაციის პროექტი და ასოციაციის დამფუძნებელი კრების დღის წესრიგთან დაკავშირებული წინადადებები და მოსაზრებები მოწოდებულია სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფების მიერ) და ადვოკატთა ასოციაციაციის დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის დამადასტურებელი მანდატი.

წესდების პროექტი და მანდატი გაიცემა ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, შემდეგ მისამართზე: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ბოჭორმის ქ. N12, პირველი სართული.

კრება ჩატარდება ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, 2005 წლის 26-27 თებერვალს, 9 საათზე. კრებაში მონაწილეობის მისაღებად გთხოვთ, წარმოადგინოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მანდატი.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონებზე:

27-31-00, 27-31-02, 27-31-03, 27-31-04, 27-31-05, 27-31-06, 27-31-07, 27-31-08, 27-31-09, 27-31-10, 27-31-12

ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელ კრებაზე მონაწილე პირთა სია

იხილეთ B3-B5 გვერდებზე

იხილეთ B3 გვერდზე

უშუქობა, უწყლობა და სახლად დარჩენილი ქუთაისელები

ბექა სისაური
ქუთაისიდან

კვირას ქუთაისის შესასვლელში, სოფელ ქვიტირის ტერიტორიაზე, ცენტრალური წყალსაქაჩი მილის ჩამკეტები დაზიანდა, რის გამოც ქალაქი 5 დღის განმავლობაში უწყლობის საფრთხის წინაშე დადგა. ქუთაისელებისათვის ამ საქმეში არაფერი გასაკვირი არ იქნებოდა, რომ არა ხელისუფლების ჯერ არნახული რეაქცია.

საქმე ის არის, რომ ქალაქი უწყლობას უკვე კარგა ხანია, შეგუებულია. ქუთაისს წყალი აქამდეც გრაფიკით, ორ დღეში ერთხელ მიეწოდებოდა, ამას თან უდენობაც თუ დაერთვებოდა, წყლის ალი-კვალი უკვე 4-6 დღით იკარგებოდა. წლების განმავლობაში მოსახლეობა აღნიშნულ პრობლემას შეეგუა, ამიტომაც ხელისუფლების მიერ ამ პრობლემაზე ატეხილ განგაშს გუშინ ქალაქში, როგორც ანომალიურ მოვლენას, ისე შეჰყურებდნენ.

ქუთაისელები თავდაპირველად პრეზიდენტის განცხადებამ გააკვირვა, რომელიც წყალსადენის დაზიანებას კვირა საღამოსვე ოპერატიულად გამოეხმაურა. სააკაშვილმა, ზურაბ ნოღაიდელსა და ვანო მერაბიშვილს, ქუთაისისათვის წყლის ცისტერნების მეშვეობით მიწოდება და ამ საქმეში რეზერვისტების ჩაბმა დაავალა. მოსახლეობა კიდევ უფრო გაოცდა, როდესაც მეორე დილით, მერიის თეთრ დარბაზში: პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი, შს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მთელი ხელმძღვანელობა და თვით გენერალური პროკურორიც(?!) კი ჩამოვიდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ალილო და ხვალეო...

მაია მოსიაშვილი

"წელს რუსთავში ისეთი მასშტაბის აღდგენითი და სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება, როგორიც კომუნისტების დროსაც არ ჩატარებულა," - ამ ფრაზის თქმის უფლება ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა ზურაბ მელიქიშვილმა რუსთავში არსებული მდგომარეობის კრიტიკის ხარჯზე ერთპიროვნულად მოიპოვა. ის, ჯერჯერობით, არ უპირისპირდება ძველ მეგობარს, ქალაქის მერს მერაბ ტყეშელაშვილს, თუმცა მისი მოსაზრებები იმ ადამიანების პოზიციას ემთხვევა, ვინც პერსპექტივაში ტყეშელაშვილის ოპოზიციად მოიაზრება. იმას, რომ რუსთავი პოლიტიკური შიდადაპირისპირების ზღვარზეა, ყველა გულმოდგინედ ფარავს. ამ სიტუაციაში სადავეების ხელში აღება ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა გადაწყვიტა. გუშინ ის რუსთაველებს ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებზე ესაუბრებოდა.

რუსთავის ბიუჯეტის ახალ პრიორიტეტებზე საუბრის დაწყებამდე ზურაბ მელიქიშვილმა გაიხსენა, რომ რუსთავს მკვდარი ქალაქი უწოდეს და ამის საფუძველი ჰქონდათ კიდეც, რადგან 100 ათასიან ქალაქში არც ერთი კინო არ მუშაობს, მწირია გასართობი და დასასვენებელი ადგილების რიცხვი და რაც არის, ისიც ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

"უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია ცენტრალური თუ საუბნო გზები. ქალაქში არსებული 64 ქუჩის 60-65 პროცენტი გაუვალია.

გაგრძელება A2 გვერდზე

რეგიონი

უშუქობა, უწყლობა და სახტად დარჩენილი ქუთაისელები

პირველი გვერდიდან

აღნიშნული პირები ერთად შეკრებილი ქუთაისში ჯერ არავის უნახავს. მით უმეტეს, ქვიტირში დაზიანებული "წყალსადენის ჩამკეტის" გამო. სწორედ ამიტომაც მოსახლეობა, უწყლობაზე მეტად, ხელისუფლების რეაქციამ გააკვირვა. უფრო მეტიც, თავდაპირველად ქუთაისში საქმე უფრო რთულად ეგონათ, ვიდრე ამას ტელევიზია იუწყებოდა. ზოგი ქიმიური ნივთიერების გაჟონვაზე საუბრობდა, ზოგიც მერიის მაღალჩინოსნების მასობრივ დაჭერებზე.

პრეზიდენტის დავალების შედეგად, კვირა საღამოსვე, დაახლოებით 11 საათზე, საგანგებო შტაბი შეიქმნა, რომელსაც რწმუნებული გია გეწაძე ჩაუდგა სათავეში. პირველი წყლით სავსე ცისტერნა კი საცხოვრებელ კორპუსებში, დაახლოებით დილის ექვს საათზე გამოჩნდა. დილის 11 საათისათვის კი პირველი შედეგების შესაჯამებლად საგანგებო ბრიფინგი დაიგეგმა, ამ დროისათვის მოსახლოებაში უკვე 56 ტონა წყალი იყო გაზიდული. მობილიზებული იყო 100-მდე რეზერვისტი, რომლებიც მარტოხელებსა და უმწეო ოჯახებს წყლის ხელით გადატანაში უნდა დახმარებოდნენ. ცისტერნებით წყალი უკვე მიწოდებული იყო ჭავჭავაძის ქუჩის ნაწილისთვის, ქალაქის ცენტრის, ქუთაისის ციხისათვის. დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან 19 წყალმზიდი მანქანა იყო თავმოყრილი. **"პირველ რიგში საჭირო იყო წყლის ცისტერნებით მომარაგება, ასევე მთავარი ამოცანაა, რომ ადამიანებს, ვისაც თავად არ შეუძლიათ წყლის ასაღებად გასვლა, რეზერვისტებმა შინ მიუტანონ. მთავარია, რომ რაც შეიძლება სწრაფად იქნეს აღდგენილი ქუთაისის წყალსადენი. ჩემი ინფორმაცით, აღნიშნული დაზიანება დღესვე იქნება შეკეთებული, ხვალ კი წყალმომარაგება უნდა აღდგეს. ასევე მე ვთხოვე სპეციალისტებს, რომ მომზადდეს სქემა, რათა ქუთაისში წყლის შემოსასვლელი რამდენიმე ალტერნატიული გზა გაკეთდეს, რომ ასეთი მოულოდნელი შედეგების წინაშე მომავალში არ აღმოვჩნდეთ,"** - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა. კითხვაზე: ქუთაისში წყალი 7 დღეც არ ყოფილა, რატომ მაშინ არ მიღებულა ანალოგიური ზომებიო, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა უპასუხა: **"ქუთაისის წყლით მომარაგება საკმაო შეფერხებებით ხორციელდებოდა, ეს დამოკიდებულია ელექტროენერგიით მომარაგებაზეც. ჩვენი ხელისუფლების დროს წლით მომარაგების შეზღუდვა იშვიათობა გახლდათ. ხოლო 7 და 10 დღიანი შეფერხება არ ყოფილა. ამჟამად კი წყალი ხუთი დღის მანძილზე უნდა ყოფილიყო შეწყვეტილი, რაც საქართველოს მეორე ქალაქისათვის კატასტროფის მომასწავლებელი გახლდათ. ამავე დროს, ჩვენი სტრატეგიული ამოცანაა, რომ ქუთაისში წყალმომარაგება საერთოდ გაუმჯობესდეს, რაზეც გია გეწაძე მუშაობს."**

ამავე დროს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი აღფრთოვანებას ვერ მალავდა რეზერვისტების მომზადებით. ყოველ ცისტერნა ავტომობილს 5-6 რეზერვისტი მიჰყვებოდა. როგორც მოგახსენეთ, მათი მიზანი ავადმყოფი და უმწეო მოსახლეობის დახმარება გახლდათ. ამავე დროს, რეზერვისტებს უმწეოთა სპეციალური სია ჰქონდათ; თუკი რომელიმე მათგანი წყლის წასაღებად არ მოვიდოდა, რეზერვისტები მას წყალს შინ მაინც მიუტანდნენ. პარალელურად მუშაობდა ცხელი ხაზიც, სადაც მოქალაქეებს წყლის ცისტერნების სატელეფონო ზარით გამოძახება შეეძლოთ.

ქუჩებში კი "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების განცხადებები ვრცელდებოდა: **"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები მზად არიან, დაგეხმარონ უწყლობის დროს, თქვენი სურვილის შემთხვევაში წყალს სახლში მოგიტანთ. თუ გჭირდებათ წყალი, დაგვიკავშირდით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცხელ ხაზზე..."** საბოლოოდ, მთავრობის ძალისხმევის შედეგად, დაზიანების აღმოფხვრის ვადა ხუთიდან სამ დღემდე შემცირდა. ქუთაისის მერი გია გიორგაძე ამ ფაქტს თბილისელი სპეციალისტების დახმარებით ხსნის. კიდევ ერთი უცნაური ფაქტი: წესით, წყალი ქუთაისში საერთოდ უნდა შეწყვეტილიყო, თუმცა, ზოგიერთ ქუჩას მაინც მიეწოდებოდა... ამას სპეციალისტები სხვადასხვა ტექნიკური მიზეზებით ხსნიდნენ. მოსახლეობა კი გაოცებას იმის გამოც გამოთქვამდა, რომ ხელისუფლება ქუთაისს ხან საერთოდ არ აქცევს ყურადღებას, ხანაც კი პირიქით - "თავზე ევლება": **"ხელისუფლების ნაბიჯით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, მაგრამ ქუთაისში წყლის გარდა უამრავი სხვა პრობლემაც გვაწუხებს. კარგი იქნება, თუ ხელისუფლება ასეთ ყურადღებას სხვა პრობლემატურ საკითხებსაც მიაქცევს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გივი მარგველაშვილმა. სამწუხაროდ, გუშინ მთავრობის წევრებს არ გახსენებიათ ქუთაისისთვის კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი - უშუქობა. არადა, გუშინ შუქი მერიას მაშინაც კი არ მიეწოდებოდა, როცა იქ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ბრიფინგი მიმდინარეობდა. მთლიანად კი, ქუთაისის მოსახლეობა ხელისუფლების ამ უცნაური ყურადღებით მართალია გაკვირვებული, მაგრამ კმაყოფილი დარჩა.

ალილო და ხვალეო...

პირველი გვერდიდან

ქალაქის გზების დაახლოებით 135 კილომეტრიანი მონაკვეთი ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ პასუხობს. ქალაქს აწუხებს წყალმომარაგებისა და სხვა უამრავი პრობლემები. რუსთავის ბიუჯეტი სულ 10 მილიონ 111 ათას ლარს შეადგენს. აქედან 9 მილიონი ხელფასებსა და სოციალურ პროგრამებზე მიდის, ქალაქის განვითარებისათვის კი მხოლოდ მილიონ 111 ათასი ლარი რჩება. ცენტრალურმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა რუსთავის ეს მწირი შესაძლებლობები და კაპიტალური ხარჯებისათვის ქალაქს 2 მილიონი ლარი გამოუყო, მილიონ 600 ათასი ლარის დაფინანსება კი დამატებით იქნა მოპოვებული მსოფლიო ბანკიდან. ჯამში 4 მილიონ 700 ათასი ლარია ის თანხა, რომლის ხარჯვით ნაწილსაც წარმოგიდგენთ," - ასე მიმართა ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა რუსთავის თეატრის დარბაზში შეკრებილ რუსთაველებს.

11 ქუჩის კაპიტალური შეკეთება და მათი მიწისქვეშა კომუნიკაციების შეცვლა, ფეხით მოსიარულეთა ტროტუარებისა და ბილიკების მოწყობა, 10 საუბნო სპორტული მოედნისა და 4 პარკის აღდგენა, ქალაქის ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტირება, საპატრულო პოლიციის შენობის საუკეთესოდ მოწყობა და რუსთავის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის შექმნილი საუკეთესო პროექტის დაფინანსება, - ასეთია იმ გეგმის ჩამონათვალი, რომელიც 2005 წელს რუსთავში უნდა შესრულდეს.

ზურაბ მელიქიშვილის გამოსვლას ქალაქის მერი მერაბ ტყეშელაშვილი დარბაზიდან უსმენდა. რწმუნებულს ის თავის გამოსვლაში არც ერთხელ არ უხსენებია, არც კარგად და არც ცუდად. სამაგიეროდ, გააკრიტიკა საგადასახადო ინსპექცია, გადასახადების ცუდად ამოღებისათვის და კატეგორიულად მოითხოვა "რუსთავწყალის" დირექტორის ბონდო გონგაძის შეცვლა. შემდეგ მოვლენები დრამატულად, სწორედ რომ თეატრის სცენის შესაფერისად განვითარდა - მელიქიშვილის მოთხოვნა იქვე შესრულდა, გონგაძე სცენაზე ავიდა და თანამდებობიდან წასვლის თაობაზე განაცხადა. შემდეგ სცენაზე გამოჩნდნენ რუსთავის მე-19 მიკრო-რაიონის მცხოვრებლები, რომლებიც რწმუნებულს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მათი პრობლემების უგულებელყოფაზე ემოციურად ესაუბრებოდნენ. მომჩივანი მოქალაქეების დასაწყნარებლად რწმუნებულმა მერს სცენაზე დაუძახა...

გუშინ რუსთავის თეატრის დარბაზის პარტერში სწორედ ის ადამიანები ისხდნენ, რომლებიც ერთი წლის წინ ახალი ხელისუფლების ახალ გეგმებს რუსთავთან დაკავშირებით, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია წარმოადგენდა, ტაშს უკრავდნენ. ხელისუფლებამ მაშინდელი დანაპირებიდან მათ არაფერი შეუსრულა. მიუხედავად ამისა, ისინი გუშინაც ტაშს უკრავდნენ და ჩუმად ამბობდნენ რწმუნებულის მისამართით - ღმერთმა გაგიმარჯოს, თუ მართალს ამბობ, მაგრამ ალილო და ხვალეო...

საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება
სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 2,000,000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2006 წლის15 თებერვალს, გამოტანილ იქნება N5 აუქციონზე, რომელიც შედგება 2005 წლის 16 თებერვალს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2005 წლის 16 თებერვლის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მომოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ " დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

აუქციონის კომიტეტი

მთავრობის "კვირეული" პარლამენტში

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მიმდინარე კვირა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსთვის, ისე სამთავრობო სტრუქტურებისთვის. სპიკერს, პირველ რიგში, ის აქვს მხედველობაში, რომ 17 (ან 18) თებერვალს პარლამენტმა მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა უნდა დაამტკიცოს.

პარლამენტის ბიუროს სხდომა.
ლევან ხერხეულიძის ფოტო

გარდა ამისა, მიმდინარე კვირაშივე დეპუტატები დაიწყებენ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვას, რომელიც პარლამენტართა რაოდენობის 150-მდე შემცირებას ითვალისწინებს. ცხადია, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა საპარლამენტო უმრავლესობას ეკუთვნის, რომლის ლიდერი მაია ნადირაძეც აცხადებს, რომ თავის საბოლოო პოზიციას სახელისუფლებო ფრაქცია ოთხშაბათისთვის შეიმუშავებს.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა კახა ბარათაშვილმა დეპუტატებს აუწყა, რომ მიხეილ სააკაშვილი ითხოვს, საკანონმდებლო ორგანომ, დაჩქარებული წესით, განიხილოს კიდევ ერთი საკონსტიტუციო ცვლილების პროექტი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს თბილისიდან ქუთაისში გადატანას გულისხმობს. თუმცა, კანონმდებლებმა მიმდინარე კვირაში ამ საკითხის განხილვაზე უარი თქვეს და ის უახლოესი მომავლისთვის გადადეს.

როგორც ცნობილია, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებასთან ერთად, პარლამენტმა მინისტრთა კაბინეტის სამოქმედო პროგრამაც უნდა დაამტკიცოს. ზურაბ ნოღაიდელის გუნდს, ამ კუთხით, როგორც ჩანს, ნაკლები პრობლემები ექნება: ჯერ ერთი, ახალი კაბინეტის ფორმირება ფორს-მაჟორულ ვითარებაში ხდება და, ამდენად, მომავალ პრემიერს ყოვლისმომცველი და სრულყოფილი დოკუმენტის წარმოდგენას ვერავინ მოსთხოვს. მეორეც - ძველი მთავრობის სამოქმედო პროგრამა უკვე არსებობს და ნოღაიდელის თქმით, ვინაიდან მთავრობის კურსი უცვლელია, ამდენად, მოხდება მისი (პროგრამის) მხოლოდ უმნიშვნელოდ შესწორება და კორექტირება.

ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა მომავალი კვირის პლენარულ სხდომებზე განსახილველ კანონპროექტებზეც იმსჯელეს. დღის წესრიგში შესული 51 საკითხიდან ყველაზე "საშიშად" გამოიყურება კანონპროექტი "ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების შესახებ". პარლამენტის თავმჯდომარე მის დამტკიცებას ერთობ ფრთხილად უდგება, რადგან **"არასწორი გადაწყვეტილების შემთხვევაში პარლამენტმა, შეიძლება, თავი უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენოს".**

არ არის გამორიცხული, გარკვეული გართულებები მოჰყვეს პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტსაც, რომლის მიხედვითაც, მაჟორიტარ დეპუტატებს მიეცემათ უფლება, პარტიული კუთვნილების მიუხედავად, სხვა ფრაქციაში გაწევრიანდნენ.

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მოსმენილი იქნა აგრეთვე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის ინფორმაცია უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ მიუნხენის კონფერენციაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის შესახებ.

"კონფერენციის მიმდინარეობის დროს საქართველოს სახელი ბევრჯერ და დადებით კონტექსტში გაისმა, მაშინ როდესაც რუსეთის პოზიციის მიმართ მრავლად იყო სერიოზული კრიტიკა. საერთაშორისო თანამეგობრობისთვის უბრალოდ სასაცილო გამოდგა სერგეი ივანოვის ბრალდებები საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტების გადაადგილების თაობაზე. რუსეთის თავდაცვის მინისტრს იქვე შეახსენეს, რომ ამ ტერორისტებს პასპორტებში რუსეთის სასაზღვრო უწყების შტამპები ჰქონდათ ჩარტყმული," - აღნიშნა კოტე გაბაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, მომავალ წელს მიუნხენის კონფერენციაზე საქართველოს თემატიკაზეც იმსჯელებენ და მომხსენებელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იქნება.

უმრავლესობის "საჩვენებელი გამოსვლა"

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა ორი ნაწილისგან შედგებოდა - პირველი ნაწილი საჯარო, ანუ ჟურნალისტებისთვის ღია იყო, მეორე კი - დახურული. სხდომის ღია ნაწილზე უმრავლესობა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის სამოქმედო პროგრამას ისმენდა, დახურულ კარს მიღმა კი იმ საკონსტიტუციო ცვლილებებზე ბჭობდა, რომელიც პარლამენტართა რაოდენობის შემცირებას ეხება.

მიხეილ მაჭავარიანი და მაია ნადირაძე.
ლევან ხერხეულიძის ფოტო

სხვათა შორის, ამ მოწვევის პარლამენტის უმრავლესობამ საკუთარ სხდომაზე პირველად შეუშვა ჟურნალისტები. როგორც წესი, მანამდე ყველა სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა და ჟურნალისტები ინფორმაციას სხდომის მიმდინარეობის შესახებ ოფიციალური კომენტარებიდან იგებდნენ.

გუშინ კი უმრავლესობამ ტრადიცია დაარღვია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამის მიზეზი ის ხმებია, რომელიც ზურაბ ნოღაიდელთან დაკავშირებით გავრცელდა - უკანასკნელ დღეებში ხომ თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალება იუწყებოდა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის რიგებში პრობლემები იყო და ეს პრობლემები სწორედ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურას უკავშირდებოდა.

გუშინ კი უმრავლესობამ კამერებისა და დიქტოფონების წინაშე შესაშური ერთსულოვნება გამოიჩინა და ზურაბ ნოღაიდელს, ისევე, როგორც მის მიერ წარმოდგენილ მინისტრთა კაბინეტს, სრული ნდობა გამოუცხადა. ამასთან დაკავშირებით, ერთმა ჟურნალისტმა იხუმრა კიდეც: თითოეული კანდიდატის შეფასებას, რომელიც უმრავლესობის ლიდერისაგან ისმოდა, ჭიქა ღვინო აკლდა, თორემ სადღეგრძელოს არაფრით ჩამოუვარდებოდაო.

თავად ზურაბ ნოღაიდელი დეპუტატების წინაშე საკუთარი სამოქმედო პროგრამით წარდგა, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ზურაბ ჟვანიას სამოქმედო გეგმისაგან დიდად არ განსხვავდებოდა.

თუმცა, ამის თაობაზე უკვე დღის პირველ ნახევარშივე იყო ცნობილი. პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ სწორედ ამ დროს განუცხადა ჟურნალისტებს, რომ იგი ნოღაიდელის გეგმას უკვე გაეცნო. **"ახალი მინისტრთა კაბინეტის პროგრამა ძველი მინისტრთა კაბინეტის ანალოგიური დოკუმენტისგან რადიკალურად განსხვავებული არ არის. იგი ვერც იქნებოდა რადიკალური, რადგან ახალმა მინისტრთა კაბინეტმა ძველი მინისტრთა კაბინეტის მიერ არჩეული კურსი უნდა გააგრძელოს. საქართველოს პარლამენტი აპირებს, კონსტრუქციულ და ხელშეწყობის რეჟიმში იმუშაოს მინისტრთა კაბინეტთან, თუმცა, თავის მხრივ, მოითხოვს, რომ მინისტრთა კაბინეტს ასევე კონსტრუქციული რეჟიმი ჰქონდეს პარლამენტთან თანამშრომლობისას,"** - ასეთი იყო პარალმენტის თავმჯდომარის კომენტარი.

და მაინც, გუშინ ჯერ კიდევ ფინანსთა მინისტრს იმის აღიარება მოუწია, რომ ახალ მთავრობას სიგარეტის კონტრაბანდასთან ბრძოლა ელის, რადგან გასული წლის დეკემბრიდან კონტრაბანდამ სიგარეტის ბაზარზე სამოც პროცენტს მიაღწია. ეს კი საკმაოდ მკვეთრი განცხადებაა, მით უფრო, რომ რამდენიმე დღის წინ, პარლამენტშივე, საქართველოს პრეზიდენტი გვარწმუნებდა, რომ მთავრობამ კონტრაბანდას გზები თითქმის სრულად გადაუკეტა.

რაც შეეხება სხვა საკითხებს. ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, ახალი მინისტრთა კაბინეტის პრიორიტეტი საქართველოს მოქალაქეთა დასაქმება, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის დასრულება, ენერგეტიკის სექტორის რეფორმა, საპენსიო სისტემაში რეფორმის დასრულება და განათლების რეფორმის დასრულება იქნება. მისივე თქმით, მთავრობა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტს პარლამენტს უახლოეს მომავალში წარუდგენს.

მთლიანობაში, საპარლამენტო უმრავლესობა ზურაბ ნოღაიდელის გამოსვლით აშკარად კმაყოფილი დარჩა. ასე რომ, პოსტზე დამტკიცებისას დეპუტატები ერთსულოვანნი იქნებიან.

მას მერე, რაც ნოღაიდელმა და მინისტრთა კაბინეტის მომავალმა შემადგენლობამ პარლამენტის შენობა დატოვა, უმრავლესობის სხდომა დაიხურა. მასზე უკვე ისეთ საკითხს იხილავდნენ, რომლის თაობაზეც საერთო პოზიცია ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული. ვგულისხმობთ პარლამენტართა რაოდენობის 150-მდე შემცირებას.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, უმრავლესობას ჯერ არ აქვს გარანტირებული 157 ხმა, რომელიც ამ საკონსტიტუციო ცვლილების მიღებას უზრუნველყოფს. თანაც, ამ საკითხის განხილვა რიგგარეშე სხდომაზეა დაგეგმილი.

მართალია, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები ირწმუნებიან, რომ პრობლემები ამ მხრივ არ არსებობს, მაგრამ რეალობა სხვაგვარია - პარლამენტართა რიცხვის შემცირების საკმაოდ ეშინიათ იმ დეპუტატებს, რომლებიც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას არ იღებენ და რომლებიც სხდომათა დარბაზში, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, მხოლოდ კვორუმისა და კენჭისყრების დროს არიან საჭირონი. თანაც, ცალკე საუბრის თემაა, თუ როგორ მოიქცევიან მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებიც, უკვე დღეს, მეორე ან მესამე (ვგულისხმობთ სტაჟიან მაჟორიტარებს) ვადისთვის ემზადებიან - მათი რიცხვის 50-მდე შემცირება თითოეულ მათგანს აშკარა პრობლემებს შეუქმნის და "საარჩევნო ბაზარზე" კონკურენციას გაზრდის.

მოკლედ, უმრავლესობის ლიდერებს პრეზიდენტის წინაშე ამ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების პირობა აქვთ დადებული. შესაბამისად, გადამწყვეტ სხდომამდე დარჩენილ დღეებში წარმოქმნილი პრობლემები უნდა გადაჭრან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკითხი ჩავარდება. ამას კი, შესაძლოა, საკმაოდ სერიოზული შედეგები მოჰყვეს.

პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო იუწყება, რომ
პოლონურ - ამერიკული თავისუფლების ფონდი (დამფინანსებელი)
პოლონურ - ამერიკული ფულბრაიტის კომისია (ადმინისტრატორი)
აცხადებენ ღია კონკურსს
ლეინ კირკლანდის სახელობის სტიპენდიის
2005-2006 აკადემიურ წელს მისაღებად

ლეინ კირკლანდის სახელობის სტიპენდიის პროგრამის მიზანია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ეკონომიური გარდაქმნისა და სისტემის შეცვლის პოლონური გამოცდილების გავრცელება და გაზიარება. პროექტის განხორციელება ითვალისწინებს 2 სემესტრიან სწავლებას პოლონეთის უმაღლეს სასწავლებლებში და აგრეთვე პროფესიონალურ სტაჟირებას (2-4 კვირა) სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში.

მაძიებელი: 2005-2006 აკადემიურ წელს კირკლანდის პროგრამა გათვალისწინებულია უკრაინის, ბელორუსის, რუსეთის (კალინინგრადის ოლქი), ლიტვის, სლოვაკეთის, მოლდოვასა და საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც არიან უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკები; საზოგადოებრივი სფეროსა და თვითმმართველობის ორგანოების მოხელეები, ექსპერტები და მუშაკები; არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები; ჟურნალისტები; მეწარმეები; მცირე და საშუალო წარმოებების ხელმძღვანელები.

დარგი: ეკონომიკა, მართვა, საზოგადოებრივი ადმინისტრირება, ბიზნეს ადმინისტრირება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, კანონმდებლობა, საზოგადოებრივი მეცნიერებები, პოლიტიკური მეცნიერებები.

სასურველი კრიტერიუმები: 35 წლამდე (40 წლამდე - საფუძვლიანი გამონაკლისი) ასაკის, თავიანთ სფეროში აქტიურად მომუშავე მაძიებლები.

ფორმალური კრიტერიუმები: მოქალაქეობა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ზემოდ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ქვეყანაში; სრული უმაღლესი განათლება (მეცნიერ მუშაკებისათვის სასურველია კანდიდატობის სამეცნიერო ხარისხი); პოლონური ენის ფლობა (რაც აძლევს მაძიებელს სემინარებსა და ლექციებში მონაწილეობის საშუალებას), ან ინგლისური ენის ფლობა (კონკრეტული კურსის არჩევის შემთხვევაში); მინიმუმ 2 წლიანი პროფესიული გამოცდილება.

მაძიებლის განაცხადი: ანკეტის ფორმა, პროგრამის აღწერა და სხვა ინფორმაცია თქვენ შეგიძლიათ შეუკვეთოთ ფულბრაიტის კომისიაში ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან ტელეფონით, აგრეთვე შეგიძლიათ მოიპოვოთ ინტერნეტის საშუალებით შემდეგ ვებ-ვერდზე: www.fulbright.edu.pl an www.kirklandprogram.engo.pl. განცხადებისა და სარეკომენდაციო წერილების დედნები გთხოვთ გაგზავნოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2005 წლის 15 მარტამდე. მითითებული ვადების შემდეგ გამოგზავნილი ანკეტები აღარ განიხილება.

POLSKO-AMERYKA SKA KOMISJA FULBRIGHTA
Polish - U.S. Fulbright Commission
ul. Nowy wiat 4
00-497 Warszawa, Polska
ტელ. (48-22) 628-7950; 625-6932; 625-6978 ფაქსი: (48-22) 628-7943
ე:მაილ: fulbright@fulbright.edu.pl ; u.moczydlowska@fulbright.edu.pl
http://www.fulbright.edu.pl

გამოხმაურებაზე გამოხმაურება

11 თებერვალს თქვენ გაზეთში გამოქვეყნდა ბატონ ედუარდ შევარდნაძის გამოხმაურება სათაურით "ვისხედით თუ არა გულხელდაკრეფილნი?" ჩემს ინტერვიუზე, რომელიც ასევე თქვენ გაზეთში დაიბეჭდა 8 თებერვალს.

ბატონი ედუარდი მსაყვედურობს, რომ ხსენებულ ინტერვიუში მე კატეგორიულად ვაცხადებ "რაც აქამდე კონფლიქტების დარეგულირების საქმეში კეთდებოდა, ფუჭი იყო". ბატონი ედუარდი სავსებით მართალი იქნებოდა, რომ ინტერვიუდან მოყვანილი ციტატი კონტექსტის გარეთ ყოფილიყო განხილული. ინტერვიუს ტექსტში კი ამგვარად წერია: "ვერ ვიტყვი, რომ ამ კონფერენციამ რაღაც ახალ პროცესებს დაუდო სათავე, მაგრამ ხმამაღლა კიდევ ერთხელ ითქვა პოსტსაბჭოური სივრცის ცვლილებების შესახებ და ისიც პირდაპირ გაცხადდა, რომ რაც აქამდე კონფლიქტების დარეგულირების საქმეში კეთდებოდა, ფუჭი იყო. იმდენად, რომ სოკორმა საერთაშორისო ორგანიზაციებს დააბრალა - დესტრუქციას, აგრესორს და იმპერიალისტს უწყობდით ხელსაო". ვფიქრობ, ინტერვიუს ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში სიტყვა "კეთდებოდა"-ს შემდეგ რომ ყოფილიყო ჩამატებული "საერთაშორისო ორგანიზაციებისა და რუსეთის მიერ", ორაზროვნება არ შეიქმნებოდა. შესაძლოა, მეტი სიზუსტე იყო საჭირო. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ხსენებულ კონფერენციაზე არ თქმულა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა კონფლიქტების დარეგულირებისთვის. კრიტიკა მიმართული იყო რუსეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინააღმდეგ.

თავის გამოხმაურებაში ბატონი ედუარდი შეეხო ჩვენი უახლესი ისტორიის ძალზე მტკივნეულ მოვლენებს, კერძოდ აფხაზეთში კონფლიქტს და ზოგიერთი აქამდე უცნობი და მეტად საყურადღებო ფაქტი შემოგვთავაზა, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ. დარწმუნებული ვარ, რომ მოგონებათა ის წიგნი, რომელზეც ბატონი ედუარდი ამჟამად გულმოდგინედ მუშაობს, არა ერთ უაღრესად საყურადღებო ფაქტსა და შეფასებას მოიცავს. მომავალი მკითხველების სახელით ავტორს კი ვუსურვებ წარმატებით მის დასრულებას.

პატივისცემით,
ალექსანდრე რონდელი

კონსერვატორების პრობლემა

თუკი კონსერვატორები პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე მხარს დაუჭერენ ზურაბ ნოღაიდელს და, მთლიანად, მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობას, მაშინ მათ საკმაოდ სერიოზული საბაბის მოძებნა მოუხდებათ იმის ასახსნელად, თუ რატომ მოიქცნენ ასე. საქმე ის არის, რომ, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, იმ სამოქმედო პროგრამაში, რომელიც გუშინ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს დამოუკიდებელ დეპუტატთა საკოორდინაციო საბჭოსთვის უნდა წარედგინა, არანაირი პრინციპული ცვლილებები შეტანილი არ არის და ზურაბ ჟვანიასდროინდელი მინისტრთა კაბინეტის სამოქმედო პროგრამის იდენტურია.

ეს კი ნიშნავს, რომ კონსერვატორთა ულტიმატუმი ამ ეტაპზე არ დაკმაყოფილდება და მცირე მეწარმეებს ორი წლის განმავლობაში არც გადასახადებისაგან გაათავისუფლებენ და არც პენსიონერებს დაურიგებენ დიფერენცირებულ პენსიებს შრომისა და დამსახურებების მიხედვით.

არადა, არაოფიციალური ინფორმაციით, კონსერვატორებმა საქართველოს პრეზიდენტთან, შეიძლება ითქვას, საერთო ენა გამონახეს და მას პირობა მისცეს, რომ, პირადი დამოკიდებულების მიუხედავად, ზურაბ ნოღაიდელის კანდიდატურის განხილვის დროს ხმაურს არ ატეხდნენ და მას მხარსაც კი დაუჭერდნენ. სანაცვლოდ კი, კონსერვატორებმა საკუთარი ორი მოთხოვნის შესრულება მოითხოვეს.

სწორედ ამიტომაც იყო, რომ პრეზიდენტისაგან გამოსულმა კონსერვატორებმა მედიის წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ ზურაბ ნოღაიდელს მხარს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერდნენ, თუკი მინისტრთა კაბინეტის სამოქმედო გეგმაში მათ წინადადებებს შეიტანდნენ.

აქვე შევნიშნავთ, რომ კონსერვატორები მათი მოთხოვნების დაუყოვნებლივ შესრულებას სულაც არ ელოდებოდნენ. კობა დავითაშვილის განცხადებით, მთავარი იყო, ახალ მინისტრთა კაბინეტს თავის სამოქმედო პროგრამაში ეს პუნქტები გაეთვალისწინებინა.

თუმცა, როგორც გაირკვა, არც ახლა და არც უახლოეს მომავალში ახალი მინისტრთა კაბინეტი კონსერვატორების მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს.

ყოველ შემთხვევაში, მთავრობის საპარლამენტო მდივნის გიორგი ხუროშვილის განცხადებით, ზურაბ ნოღაიდელი პარლამენტს იმ პროგრამას წარუდგენს, რაც, თავის დროზე, ზურაბ ჟვანიამ წარადგინა.

მისივე თქმით, მინისტრთა კაბინეტის შეცვლა ზურაბ ჟვანიას ტრაგიკულ სიკვდილს უკავშირდება და არა მთავრობის კურსის შეცვლას. შესაბამისად, ხუროშვილს მიაჩნია, რომ პროგრამის გადახედვა საჭირო არ არის.

ასე რომ, კონსერვატორები რთული არჩევანის წინ შეიძლება დადგნენ - ან მიხეილ სააკაშვილთან მიღწეული შათანხმება არ დაარღვიონ და ახალ პრემიერ-მინისტრს კენჭისყრის დროს ხმა მისცენ, ან ნოღაიდელს პირდაპირ, ღიად დაუპირისპირდნენ.

24 საათი

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა - კარგი მუსიკის რადიო

FM 107.4

რადიო შოუ როკი და ფეხბურთი

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატები,სათასო თამაშები; მიმდინარე,დასრულებული და დაუსრულებელი მატჩების შედეგები - როკი და როკვა ქართულად. ყველაფერი პირდაპირ ეთერში; შაბათ-კვირას,ექვსიდან - ღამის 2-საათამდე - როკი და ფეხბურთი მწვანე ტალღაზე

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე

32-43-46; 32-43-47

"ქართული ხელოვნება მაინც კონკურენტუნარიანია.. "

წამყვანები არჩილ ბენაშვილი,გაგა გობრონიძე,ირაკლი დანელია.

13თებერვლის გადაცემის სტუმრები: მანანა კოხრეიძემომღერალი გაალ ბაიდაშვილიპროდიუსერი

მანანა კოხრეიძე:

ქართულ შოუბიზნესს სჭირდება მეტი პროფესიონალი, უნდა ჩატარდეს ბევრი ცოცხალი კონცერტი. მუსიკოსების და მუსიკალური ჯგუფების მონაწილეობით უნდა შეიქმნას მაღალი დონის მუსიკალური რგოლები და შოუები.

გაალ ბაიდაშვილი:

მე მიმაჩნია რომ საქართველოში შოუ-ბიზნესი იპოვის თავის ვექტორს. საქართველოში გაჩნდებიან არტ-მენეჯერები,რომლებიც გააკეთებენ კონკრეტულ საქმეს, რაც საბოლოო ჯამში შექმნის ფონს ხელოვნებაში ჭეშმარიტი ღირებულებების დამკვიდრებაში. ქვეყანაში არიან ნიჭიერი ადამიანები, რომელთაც სჭირდებათ პრომოტირება. ქართული ხელოვნება კონკურენტუნარიანია.

რუსლან ქიშმარია: აფხაზეთი არასდროს იქნება ძლიერი, სანამ საქართველო არ იქნება აყვავებული

პირველი გვერდიდან

სამწუხაროდ, ასეთ დღეშია ამჟამად მრავალი ქართველი და ასეთი სახელმწიფოა დღეს საქართველო.

მე კი მინდა, რომ საქართველო გახდეს მდიდარი, გახდეს ძლევამოსილი. სხვათა შორის, თქვენმა პრეზიდენტმა, სააკაშვილმა თქვა: "როდესაც ჩვენ გვექნება ეკონომიკურად ძლიერი და დემოკრატიული ქვეყანა, და როდესაც ჩვენ შევძლებთ, სხვებსაც შევთავაზოთ კეთილდღეობა და აღმშენებლობა, აი მაშინ ოსებიც და აფხაზებიც ჩვენსკენ გამოიწევენ". ღმერთმა ქნას, რომ საქართველო გახდეს ასეთი.

როგორი სახელმწიფო უნდა გახდეს ხვალ აფხაზეთი? ჩემი ხედვა ასეთია: თავისუფალი და დამოუკიდებელი.

რატომ არ უნდა აძლევდეს ხელს საქართველოს მეზობლად ლამაზი, დამოუკიდებელი, მდიდარი და დაპურებული აფხაზეთი, რომელიც გაიზიარებდა საქართველოსთან ერთად ყველა სიკეთეს. რა არის ამაში ცუდი და რას დაკარგავს ამის გამო საქართველო.

დღეს აფხაზეთში, სანამ ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობა არ აეწყობა, სანამ არ ამუშავდება საწარმოები, არ გადაწყდება მთელი რიგი ეკონომიკური საკითხები, გალელის გარდა, ვერც ერთი დევნილი ვერ დაბრუნდება.

ასოც-ასოცდაათიათას ადგილობრივ უმუშევარს კიდევ დავამატოთ, ჩამოვიყვანოთ ამდენივე დევნილი? და ვაშიმშილოთ ისინი? ჩვენ ხომ კვლავ ომს მივიღებთ, კვლავ მივიღებთ ანტაგონიზმს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ახალ დაპირისპირებაში ჩავებათ სომხებთან, რუსებთან, ბერძნებთან. შეიძლება აფხაზებმა ურთიერთ შორის დაიწყონ ომი იმის გამო, რომ საკვები არ ექნებათ. გუშინ ხომ იყო ომი საქართველოსთან, სწორედ ამ უამრავ პრობლემათა შორის ეკონომიკური საკითხის გამოც.

რა შევქმენით ჩვენ ომის შემდეგ გასული თორმეტი წლის განმავლობაში? რა შევქმენით იმისთვის, რომ აფხაზეთი მიბრუნებულიყო სახით საქართველოსკენ? რა მისცა საქართველომ აფხაზეთს ამ ომის შემდეგ, გარდა ამ ეგრეთწოდებული "პარტიზანშინისა", გარდა ამ ბანდიტიზმისა? აი, რეალობა. და რა შეუძლია მას ხვალ შემოგვთავაზოს? აი, ის 28 ლარი, რომელიც სულ ახლახან 14 ლარი იყო? აქამდე ბანკებში, მოლარეებთან ხომ ორ-ორ ლარი რჩება, ახლა კი ალბათ ოთხ ლარს დაიტოვებენ და ეს გამწარებული ადამიანები ხელზე 24 ლარს მიიღებენ იმ 28 ლარის ნაცვლად... რა მიიღეს ამაზე მეტი სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფმა ადამიანებმა? ვთქვათ, დაბრუნდნენ ეს ადამიანები აქ და როგორლაც თავშესაფარიც გაუმართეს, ეს ხომ მაინც იმ მათხოვრული ცხოვრების გაგრძელება იქნება. შემდეგ რა იქნება... შემდეგ რა ვქნათ...

მაინც რა გვინდა? ვისთან გვინდა ინტეგრირება? ევროპასთან... რომელიც ჯერ შორს არის... ამერიკასთან, რომელიც ოკეანის გაღმაა? თუ უმჯობესია, ჩვენ აი აქ, მეზობლებთან გამოვნახოთ საერთო ენა... ერთმანეთთან, ზღვის გადაღმა თურქეთთან, მთების გადაღმა სამხრეთ კავკასიასთან, ფსოუს გადაღმა რუსეთთან... აი, რა უნდა ვქნათ ჩვენ... აი, როდესაც საკითხების ეს წყება მოგვარდება, მაშინ შეიცვლება ჩვენს შორის ურთიერთობა.

12 წელი გავიდა ომის შემდეგ, და ამ 12 წლის განმავლობაში ჩვენ, საქართველოს მხრიდან, მხოლოდ სისხლიანი შეტაკებები და დიდი მსხვერპლი რომ არ მიგვეღო, იქნებ, დიდი ხნის წინ გადაგვეჭრა საკითხი. იქნებ, ჩვენ თვითონ მოგვეთხოვა საქართველოსთან გაერთიანება, მაგრამ იყო 1998 წელი (გალის მოვლენები), იყო 2001 წელი (კოდორის მოვლენები) და მსგავსი "საგმირო საქმეები". ეს ყველაფერი ხომ საქართველოს მხრიდან მოდიოდა. ამიტომ ასეთია რეალობა: აფხაზეთისთვის, აფხაზი საზოგადოებისთვის საფრთხე დღეს საქართველოა. როგორ შევაჩეროთ ეს პროცესი? როგორ შევცვალოთ ასეთი რეალობა?

რა თქმა უნდა, ნდობის გაზრდით, ეკონომიკური თანამშრომლობით.

პირველ რიგში, რკინიგზა, აეროპორტი, საავტომობილო გზა, ვაჭრობა და ასე შემდეგ. და თუ აფხაზეთში აიწევს ცხოვრების დონე, როცა ეს გამწარებული ხალხი დაკმაყოფილდება, დამშვიდდება, მრავალი საკითხი გადაიხედება და მრავალი შეხედულება გადაფასდება. აი, მაშინ შევძლებთ შეთანხმებას. ამჟამად კი ძალიან მიჭირს, ვესაუბრო ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრებაზე ისეთ ხალხს, რომლებმაც ერთ დღეს დაკარგეს ოჯახის რვა, ათი და მეტი წევრი. აი, რაზე უნდა დავფიქრდეთ ჩვენ, აი, რაზე უნდა ვიმსჯელოთ. იმისათვის, რომ ეს ყველაფერი გავიაზროთ, საჭიროა, დავიწყოთ აღმშენებლობა. ...და ავღორძინდებით არა ეკონომიკური ბლოკადისა და ერთმანეთის არცნობით, არამედ ერთმანეთისადმი ხელის გაწვდით, შველით, თანამშრომლობით.

ვიმეორებ, 12 წელი გავიდა ომის შემდეგ, 2005 წელია, 12 წლის განმავლობაში ჩვენ ნაბიჯი არ გადაგვიდგამს ერთმანეთისკენ. საქართველოს ჩვენსკენ არ გადმოუდგამს და ჩვენც არ გვინდა მისკენ მობრუნება.

რატომ? იმიტომ, რომ იქიდან ყოველ წუთს ბოროტებას ველით. მართალია, დღეს "ტყის ძმები" განიარაღებულია, მაგრამ ასეთი რაზმი კოზირია პოლიტიკოსების ხელში, რათა მათ ნებისმიერ წუთას გაათამაშონ სვლა და არიონ სიტუაცია... ღმერთმა მისცეს პრეზიდენტ სააკაშვილს შეძლება და ნება, რომ შეაჩეროს ეს საძაგლობა.

ადამიანი, იქითა მხრიდან, რომელმაც მოკლა აფხაზი, გმირია. სამწუხაროდ, ასე იყო ადრე და ასეა ახლაც. ჩვენ არ შეგვიძლია, ერთმანეთს გადავცეთ ბოროტმოქმედი. არ შეგვიძლია, შევაჩეროთ კონტრაბანდა, ქურდობა, ადამიანების მოტაცება და გამოსყიდვა. შევძლებთ ჩვენ ერთად ყოველივე ამის შეჩერებას? ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ერთი ასპექტი: ჩვენ გვესაჭიროება საუბარი თანაბარ დონეზე. სანამ არ ვილაპარაკებთ, როგორც თანასწორნი, მანამდე ჩვენ აქ მშვიდობას ვერ დავამყარებთ, ვერც აფხაზეთში და ვერც საქართველოში. ჩვენ, მოძმე და მეზობელმა ხალხმა, რომლებიც საუკუნეებია, ერთმანეთის გვერდიგვერდ ვცხოვრობთ, არ შეგვიძლია, ერთმანეთის სისხლზე ავაშენოთ მომავალი. ასეთი მომავალი შეუძლებელია ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის.

- ჩვენ საზოგადოებებს შორის დიდია გაუცხოება და უნდობლობა. ამჟამად ინფორმაციის გაცვლა და სტერეოტიპების მსხვრევა, ვფიქრობ, პირველი რიგის ამოცანაა. ამისათვის ორივე მხარე უნდა გავაქტიურდეთ.

- სავსებით გეთანხმები და მხარს ვუჭერ შენს საქმიანობას, ჩემო მეგობარო. ჩვენი ამოცანაა, ვიმსჯელოთ ამ საკითხებზე და ასეთი მოსაზრებები, ერთად თუ ცალ-ცალკე, მივიტანოთ ჩვენს საზოგადოებებამდე. ჩვენ ჩვენს დონეზე უნდა ვისაუბროთ, პოლიტიკოსებმა კი - თავის დონეზე. პოლიტიკოსები იმას კი არ უნდა ამბობდნენ, რაც მათ მოსწონთ, არამედ იმას, რასაც ხალხი ამბობს. საბოლოო ჯამში ხალხმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და პოლიტიკოსებმა უნდა შეასრულონ ის. სანამ ურთიერთობას არ მოვაგვარებთ, მანამ არ გვექნება მომავალი. შევძლებთ ამის გაკეთებას, ღმერთი გვიშველის, თუ არა და კაპიკია ჩვენი ფასი. მაშინ ეს წყლის ნაყვა ყოფილა და მეტი არაფერი...

ჩვენ, დაპირისპირებულ მხარეებს, მშვიდობიანი შერიგებაც შეგვიძლია და ომის განახლებაც. ომი თუ დაიწყება, კონფლიქტი აღარასოდეს მოგვარდება.

ჩვენ დიდი ტკივილი მოგვყვება... 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, მამაჩემმა პირველი აფხაზური საზოგადოება შექმნა. სხვათა შორის, თბილისში მრავალმა ქართველმა დაუჭირა მხარი ამ წამოწყებას. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენს მშობლებს 10 წელზე მეტხანს საკუთარი ენაზე სწავლა არ შეეძლოთ. ჩვენ ჩვენი კულტურა, ჩვენი ენა ქართველების ჯინაზე შევინარჩუნეთ.

ახლა კი მეშინია რუსეთთან დაახლოების. რატომ? იმიტომ, რომ არ არის ის სიფრთხილე, ის ანტაგონიზმი, რომელიც იყო ქართველების მიმართ. ეს ეხება სტალინისა და ბერიას პერიოდს. პრობლემა იქიდან იწყება. სხვათა შორის, თქვენს ფილმში ეს მკაფიოდ ჩანს. ახლა კი, ჩვენ ნელ-ნელა ვასიმილირდებით რუსებთან და შესაძლოა, ჩვენც გავრუსდეთ. მე კი ეს საშინლად არ მინდა. სანამ აქ ქართველები იყვნენ, ჩვენ ქართველების ჯინაზე ვიყავით აფხაზები. და ახლა შეიძლება საშინელი რამ შეემთხვას ჩვენს ხალხს. ეს რომ არ მოხდეს, ჩვენ უნდა ვიპოვოთ ჩვენი ღირსეული ადგილი, ჩვენი ნიშა უნდა გამოვნახოთ ამ რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში და ვიცხოვროთ მშვიდობიანად. ეს არის ჩვენი მიზანი და ამოცანა.

...და როცა დაიწყება აღორძინება, როცა განვითარდება საზოგადოება, როცა ამოქმედდება კურორტები, როცა შეიქმნება ინფრასტრუქტურა, მაშინ მუშახელიც საჭირო გახდება.

- და თუ საქართველო მიმზიდველი გახდება?

- რას ამბობ, ჩვენ თვითონ მოვითხოვთ იქ შემოსვლას. ერთადერთი, რითაც საქართველოს შეუძლია დღეს ჩვენ თავი მოგვაწონოს - თუ დედის გინებით ჩვენსკენ არ წამოვა და აქაურობის ისეთივე მათხოვრად გადაქცევას არ მოინდომებს, როგორიც დღეს აბაშა, ხობი და მისთანები არიან, სადაც ხალხს პურის ნაჭერი ენატრება.

ჩვენ კი რა შეგვიძლია სანაცვლოდ საქართველოს შევთავაზოთ? ამჟამად არაფერი, ჩვენი წყენისა და ბოღმის გარდა.

- საქართველოში არიან ადამიანები, რომელთათვისაც აფხაზეთის დაბრუნება სულაც არ არის პრიორიტეტი. მათი აზრით, უფრო მთავარი ქვეყნის აღმშენებლობა, განვითარებაა.

- საქართველო დღეს სუსტი და კორუმპირებული ქვეყანაა. საჭიროა ამ სისტემის დალეწვა და ახლის შენება. მე ვშიშობ, რომ სააკაშვილს არ მისცემენ გარდაქმნების საშუალებას და მას გატეხავენ.

მეორე მხრივ, აჩქარებაც არ შეიძლება, ჩაპაევივით ხმლით ჩეხვით საქმე არ გაკეთდება. საქმის კეთება კი საჭიროა თანდათანობით, ნელ-ნელა. ჩქარ ცვლილებებს ხალხი ვერ აღიქვამს, ვერ გაერკვევა.

მე თვალს ვადევნებ თბილისის ამბებს. ღმერთმა ქნას, ყველაფერი კარგად იყოს.

გაერო-ს აფხაზეთი ახსოვს

გენერალური მდივნის მოადგილე საქართველოში ახალი ინიციატივებით ჩამოვიდა

"თბილისსა და სოხუმში დინამიური პერიოდია - აქ იმის გასარკვევად ჩამოვედი, შესაძლებელია თუ არა ამ დინამიკის გამოყენება მოლაპარაკებების პროცესში წინ წასაწევად," - განაცხადა სამშვიდობო ოპერაციების საკითხებში გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილემ ჟან მარი გიენომ, რომელიც გუშინ საქართველოს ოთხდღიანი სამუშაო ვიზიტით ეწვია. გუშინ მან შეხვედრა გამართა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარესთან. დღეს იგი სოხუმში, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ახლად არჩეულ პრეზიდენტს სერგეი ბაგაფშს შეხვდება.

ინტერ-პრესი

ნინო გომართელი

"გაერო აფხაზეთის კონფლიქტს არ ივიწყებს და ორგანიზაციის შტაბ-ბინაში აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გზებს აქტიურად განიხილავენ," - განაცხადა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის პირველ პირთან, ირაკლი ალასანიასთან დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შემდეგ სამშვიდობო ოპერაციების საკითხებში გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილემ ჟან მარი გიენომ.

შეხვედრაში, რომელზეც მხარეებმა მარტის შუა რიცხვებში ჟენევაში დაგეგმილი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების დეტალებზე იმსჯელეს, მონაწილეობა მიიღეს გაერო-ში საქართველოს ელჩმა რევაზ ადამიამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ, კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ და საქართველოში გაერო-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა ჰაიდი ტალიავინიმ.

"გაეროს დელეგაცია საქართველოს ახალი ინიციატივებითა და პრაქტიკული იდეებით ეწვია. იმედია, ჩვენს წინადადებებს ორივე მხარე გაითვალისწინებს, რადგან გაერო-ს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად სერიოზული განზრახვები აქვს. ჩვენ იმედით ველით ასევე ჟენევის ფორმატში დაგეგმილ შეხვედრას, სადაც მხარეებმა სერიოზული წინადადებები უნდა წარმოადგინონ," - აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილემ.

თბილისში მოქმედი, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელის ირაკლი ალასანიას განცხადებით, შეხვედრის დროს განხილული იყო ქართული მხარის ხედვა კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე.

მისივე თქმით, **"ქართული მხარისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ დაინიშნება აფხაზეთის ახალი ხელისუფლების წარმომადგენლად მოლაპარაკებებზე",** რაც მას შემდეგ გაირკვევა, რაც ჟან მარი გიენო სოხუმს ეწვევა და თბილისში, საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას გამართავს.

ამასთან, საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილის ჟან მარი გიენოს ვიზიტის პირველივე დღეს ცნობილი გახდა, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა, შესაძლოა, თბილისში გაიმართოს, თუმცა, სხდომის ზუსტი თარიღი ჯერ შეთანხმებული არ არის.

გიენო დღეს სოხუმში გაემგზავრება, სადაც სერგეი ბაგაფშსა და სხვა ლიდერებს, აგრეთვე, გაერო-ს მისიის წარმომადგენლებს შეხვდება. სოხუმიდან დაბრუნების შემდეგ იგი მოლაპარაკებებს საქართველოს პრეზიდენტთან გამართავს.

სერგეი ბაგაფში - თუ საქართველოს ხელისუფლებას ამერიკელები დაეხმარებიან, დამხმარეებს აფხაზებიც იპოვიან

თუ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის დაბრუნებას ძალისმიერი მეთოდებით შეეცდება და ამაში მათ ამერიკელები დაეხმარებიან, დამხმარეებს აფხაზებიც იპოვნიან. ამის შესახებ აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა "როსიისკაია გაზეტასთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

კორესპონდენტის კითხვაზე, რა კომენტარს გაუკეთებს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომელიც აფხაზეთის წინააღმდეგ "ძალის გამოყენების აშკარა მუქარას შეიცავს", ბაგაფში პასუხობს: "მან თქვა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკება ჩვენთან შეუძლებელია, მაშინ რა არის შესაძლებელი, ომი? დაე სცადონ, თუ წარსულის გაკვეთილებმა მათ არაფერი ასწავლა."

ბაგაფშის თქმით, მას საქართველოს ხელისუფლების ქმედებები აშფოთებს, თუმცა "აქედან ტრაგედიას არ ქმნის".

"არ დაივიწყოთ, რომ აფხაზეთის მოსახლეობის 80 პროცენტი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა და რუსეთი, ისევე, როგორც ყველა დიდი სახელმწიფო, ვალდებულია, თავისი მოქალაქეები დაიცვას, თუ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება," - აღნიშნა ბაგაფშმა.

მისივე განცხადებით, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების პოზიცია უცვლელია. "მზად ვართ, მოლაპარაკება ვაწარმოოთ მათთან, ვინც მხარს უჭერს კონსტრუქციულ დიალოგს. "ქორებს" კი ვურჩევდი, ხშირად გაიხსენონ ახლო წარსული," - აცხადებს აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი.

სერგეი ბაგაფში მოვლენების "აჭარული სცენარით" განვითარებას კატეგორიულად გამორიცხავს, რადგან, მისი თქმით, აფხაზეთში არ არსებობენ ძალები, რომლებსაც მიხეილ სააკაშვილი და მისი თანამებრძოლები დაეყრდნობიან.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

სოხუმი. აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა გუშინ ხელი მოაწერა განკარგულებას პრემიერ-მინისტრის პოსტზე ალექსანდრე ანქვაბის დანიშვნის შესახებ. აღნიშნული განკარგულების ხელმოწერამდე, მან ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლითაც მინისტრთა კაბინეტის ძველი შემადგენლობის გადადგომა დაადასტურა. სერგეი ბაგაფშმა ალექსანდრე ანქვაბს თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობის წარსადგენად ორკვირიანი ვადა მისცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

მოსკოვი. ევროსაბჭო პატივს სცემს რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას, ისევე როგორც - საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილებია, ამ კუთხით კი ევროსაბჭო რუსეთისა და საქართველოს მიმართ ყოველთვის ერთნაირ სტანდარტებს დაუჭერს მხარს, - განაცხადა რადიოსადგურ "ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ტერი დევისმა. მისივე თქმით, საერთაშორისო საკითხებში აუცილებელია თანმიმდევრობის დაცვა. აქედან გამომდინარე, დნესტრისპირეთი მოლდოვის ნაწილია, აფხაზეთი - საქართველოს, ჩეჩნეთი კი - რუსეთის ფედერაციის. "ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტისას, ერთიანი სტანდარტები აუცილებლად უნდა დავიცვათ," - დასძინა დევისმა. **მედიანიუსი**

პროკრედიტ ბანკი მეოცე ფილიალს ხსნის და კონკურსში გამარჯვებულებს ასახელებს

გუშინ თბილისში "პროკრედიტ ბანკის" მეოცე ფილიალი გაიხსნა. ბანკის გენერალური დირექტორის ფილიპ ზიგვარტის განცხადებით, მიმდინარე წელს დაგეგმილია კიდევ ორი ფილიალის გახსნა დედაქალაქში. აგრეთვე თელავში, რუსთავში და ხაშურში, სადაც უკვე შესყიდულია შენობები და სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. გასული წლის დეკემბერში კი პროკრედიტ ბანკის ყველა ფილიალში ჩატარდა კონკურსი "საუკეთესო ბიზნეს იდეა", რომლის მიზანი იყო მიკრო და მცირე ბიზნესის სეგმენტის განვითარების ხელშეწყობა და რომლის გამარჯვებულიც, ფილიპ ზიგვარტის თქმით, სესხს დაბალი საპროცენტო განაკვეთით მიიღებს. გუშინ ბანკმა კონკურსის ოთხი გამარჯვებული გამოავლინა.

24 საათი

მოკლედ

"სგსე" სერვისცენტრების ქსელს აფართოებს

გუშინ "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" რუსთავში კიდევ ერთი სერვისცენტრი გახსნა. ეს ქვემო ქართლის ფილიალის რუსთავის მომსახურეობის ცენტრის მეორე ენერგოგასაღების უბანია. რუსთავის სერვისცენტრის ადმინისტრაციის განცხადებით, აღნიშნული ღონისძიება საგრძნობლად გაამარტივებს აბონენტთა მომსახურების პროცესს, რამდენადაც მანამდე არსებულ ორ უბანზე მოსახლეობის დიდი ოდენობა მოდიოდა. ამასთან, ამ მხრივ გამოირჩეოდა ყოფილი მეორე უბანი, რომელიც 32 ათასზე, ხოლო პირველი 9 ათასზე მეტ აბონენტს ემსახურებოდა, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა და აბონენტთა დიდ რიგებში აისახებოდა. ამჟამად, ყოფილი მეორე უბანი, მესამე უბნის სახელით აგრძელებს ფუნქციონირებას, ხოლო ახლადგახსნილ მეორე უბანზე დაახლოებით 13 ათასი მცხოვრები შეძლებს მისვლას.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის მონაცემებით, თამბაქოს ნაწარმზე ფასების ზრდის პარალელურად, კატასტროფულად გაიზარდა თამბაქოს კონტრაბანდის მაჩვენებელი, რასაც აუცილებლად მოჰყვება მძიმე ფისკალური ეფექტი. სამომხმარებლო ბაზარზე ჭარბობს კონტრაბანდის გზით შემოტანილი რუსულაქციზიანი საგარეტი, ამ გზით შემოტანილი სიგარეტის უმრავლესობა კი ფალსიფიცირებულია და მისი მოხმარება საშიშია სიცოცხლისთვის, - აცხადებენ თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრში. მათივე თქმით, თამბაქოს არალეგალური ბრუნვის სისტემა შეიცვალა, შეიმჩნევა გარკვეული ჯგუფების ინტერესები, რათა განადგურდეს სიგარეტის ადგილობრივი ინდუსტრიის ნაწილი, რაც მათი ბიზნეს-ინტერესების განხორციელებას შეუწყობს ხელს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ფინანსთა მინისტრობის კანდიდატი ვალერი ჩეჩელაშვილი პარლამენტის განათლების კომიტეტს სექტემბრისთვის მასწავლებელთა ხელფასების გაზრდას დაჰპირდა. როგორც ჩეჩელაშვილმა განაცხადა, იანვარ-თებერვალში ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები სექტემბერში მასწავლებლებისთვის ხელფასების გაზრდის რეალურ იმედს იძლევა. ჩეჩელაშვილის განცხადებით, ახალი საგადასახადო კოდექსისა და "ფინანსური ამნისტიიის" შესახებ კანონის მიღების შემდეგ, ბიუჯეტში თანხების მობილიზებასთან დაკავშირებით გარკვეული შიში არსებობდა, თუმცა იანვარ-თებერვლის საბიუჯეტო გეგმა წარმატებით შესრულდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მცირე პროექტების დასაფინანსებლად, თბილისის მერია ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) ემისიას გეგმავს. ამის შესახებ, თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დედაქალაქის ხელმძღვანელობას მოლაპარაკებები დაწყებული აქვს ფინანსთა სამინისტროსთან. ქურხულის განცხადებით, ფასიანი ქაღალდების გამოცემასთან დაკავშირებით, თბილისის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელები მოსკოვში გაემგზავრებიან და შესაბამის პრაქტიკას გაივლიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ავიაკომპანია "ჯორჯიან ეარვეიზმა" ამერიკული სალიზინგო კომპანია ILFE-სგან ლიზინგით აიღო "ბოინგ 737-400" ტიპის თვითმფრინავი, რომელიც 14 თებერვალს თბილისში ფრანკფურტიდან მგზავრებიანად ჩამოფრინდა და იმავე დღეს შეასრულა რეისი პარიზის მიმართულებით. როგორც ავიაკომპანიის პრესსამსახურში განაცხადეს, ამ ბოინგმა ლიზინგით ჩამოყვანილი ძველი ბოინგი შეცვალა. ახალი ბოინგი 112-ის ნაცვლად 154 მგზავრს იტევს. ცნობისთვის: ახალი ბოინგი იფრენს სახელწოდებით - "თბილისი". **მედიანიუსი**

P&G

სამომხმარებლო ბიზნესის განვითარების (CBD) მენეჯერის თანამდებობაზე

www.pg-ca.com
www.go2pg.com - CBD00002125 Sales/Customer Business DevelopmentAccount Manager,
CV
muradova.n@pg.com - 995 32 94 18 94.
+994 50 350 5855

ახალი კანონპროექტი - ელექტრონული კომუნიკაციებისა და ფოსტის შესახებ

გუშინ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ელექტრონული კომუნიკაციებისა და ფოსტის შესახებ კანონპროექტის პრეზენტაცია მოაწყო. კომუნიკაციების კომისიაში მიიჩნევენ, რომ მათ მიერ მომზადებული კანონპროექტი, ბაზრის ლიბერალიზაციის პარალელურად, კომუნიკაციებისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის დაწყების და განხორციელების გამარტივებას შეუწყობს ხელს.

დიანა ჩაჩუა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მომზადებული ელექტრონული კომუნიკაციებისა და ფოსტის შესახებ კანონპროექტი ლიცენზირების სისტემას, სანებართვო და სალიცენზიო გადასახდელებს რადიკალურად ცვლის და პროცედურებს აუქმებს.

"ჩვენ მიერ მომზადებული კანონპროექტის უმთავრესი მიზანი ლიცენზიების შემცირება, სისტემის გამარტივება, ბაზრის ლიბერალიზაცია და ევროპასთან ინტეგრაციის ხელშეწყობაა," - განაცხადა კომისიის თამჯდომარემ დიმიტრი ქიტოშვილმა. მისი თქმით, კანონპროექტის მიხედვით, ამჟამად არსებული ლიცენზიის 15 სახეობიდან არც ერთი აღარ რჩება. **"რეგისტრაციის ვადა კი 45 დღიდან, 30 დღემდე მცირდება,"** - აღნიშნა ქიტოშვილმა.

ამასთან, ელექტრონული კომუნიკაციებისა და ფოსტის შესახებ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, სისტემაში კიდევ რამოდენიმე სიახლე გატარდება. საქმე ის არის, რომ კანონპროექტით, კომისიას აღარ ექნება რეგისტრაციაზე უარის თქმის უფლება, ხოლო ამოწურვადი რესურსების სხვა პირისთვის გადაცემა შესაძლებელი გახდება. ასევე, ელექტრონული კომუნიკაციების და ფოსტის შესახებ კანონპროექტის ერთ-ერთი მიზანი მეორადი ბაზრის შექმნაა, სადაც ამოწურვადი რესურსის გადაყიდვა დაშვებული იქნება.

როგორც დიმიტრი ქიტოშვილმა კანონპროექტის პრეზენტაციაზე აღნიშნა, კომისია კანონპროექტის მიღების შემთხვევაში ბიუჯეტში 10 მილონზე მეტი ლარის მობილიზებას შეძლებს. **"კანონპროექტში გათვალისწინებული ცვლილებები ეტაპობრივად ერთ წლიანი ლუფტით გატარდება,"** - დაამატა დიმიტრი ქიტოშვილმა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია კანონპროექტის პარლამენტში გადაგზავნას უახლოეს დღეებში გეგმავს.

ენერგოდეფიციტი მწვავდება

საქართველოში ენერგოდეფიციტი მწვავდება. ელექტროსადგურებში წყლის დონემ უკვე საგრძნობლად იკლო. "კავკასიონზე" მომხდარი დივერსიის გამო შეწყვეტილი იყო დენის რუსეთიდან გადმოდინება, რის საკომპენსაციოდაც "ენგურჰესმა" სრული დატვირთვით იმუშავა და კაშხალზე წყლის დონემ დაიწია. ამის გამო, დღის წესრიგში ჰიდრორესურსების დაზოგვის საკითხი დადგა.

როგორც "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აცხადებენ, საბითუმო ბაზრის განკარგულებით, დასავლეთ საქართველოს ყველა ელექტროსადგურის მუშაობა შეიზღუდება. ენგურჰესზე დღე-ღამის განმავლობაში იმუშავებს მხოლოდ ერთი აგრეგატი, მე-2 აგრეგატი კი მხოლოდ პიკის საათებში ჩაირთვება და, ისიც, შეზღუდვით.

წყლის სიმცირის გამო, ენგურჰესის ორი აგრეგატი 400-ის ნაცვლად მხოლოდ 300 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. პიკის საათებში დეფიციტი, საშუალოდ, 100 მეგავატს შეადგენს, რის განეიტრალებასაც ენერგოსისტემა აჭარის, კახეთის და გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის აბონენტების გადახდის მიხედვით შეზღუდვის გზით მოახერხებს.

რაც შეეხება "თელასს", მასზე ეს დეფიციტი ნაკლებად აისახება, რადგან კომპანია საკუთარ მოთხოვნილებას იმპორტისა და საკუთარი თბორესურსების მეშვეობით აკმაყოფილებს.

"თბილისისთვის პიკის საათზე 510 მეგავატი სიმძლავრეა გათვალისწინებული. სავარაუდოდ, დედაქალაქის სრულად დატვირთვისთვის ეს საკმარისი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეზღუდვები უმნიშვნელოდ, მაგრამ თბილისსაც შეეხება," - აცხადებენ საბითუმო ბაზარში.

ვითარებას გამოასწორებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული "თბილსრესის" მესამე ენერგობლოკის ჩართვა. ბლოკის ჩართვა თებერვლის შუა რიცხვებისთვის იყო ნავარაუდევი, მაგრამ ამ ვადამ თვის ბოლომდე გადაიწია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ამჟამად ბლოკზე მიმდინარე მაღალი ძაბვის დაზიანებული ელექტროსადენების აღდგენითი სამუშაოები მეტეოროლოგიური პირობების გამო შეფერხდა.

24 საათი

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის
განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2005 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებულ საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და მობილურ სატელეფონო კავშირების ოპერატორებზე გამავალი ზარების მომსახურებაზე აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურება განხორციელდება 2005 წლის განმავლობაში. მომსახურება ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით, დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ(CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტ გოსტ-I-64.20.12; CPC-75212; I-64.20.13; CPC-75213; I-64.20.16; CPC-75231; I-64.20.17; CPC-75232;

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17.00-სთ-მდე, სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-24-99, შიდა ტელ. 4-99; 3-88.

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);
ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება,
არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);
გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება(ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);
დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის(ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);
ე) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).
ზ) ბოლო სამი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;
თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;
ი) მინდობილობა ხელისმომწერ უფლებამოსილ პირზე;
კ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;
ლ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი,ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
მ) საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერთიფიკატი ან ნებათვა;
ნ)) წარდგინების წერილი წარმოდგენილი საბუთების ჩამონათვალისა და გვერდების აღნიშვნით. (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციები უნდა წარმოადგინონ ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, რომლებიც გასცემენ აღნიშნულ ცნობებს).

5. მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი ორიგინალების სახით. ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით.

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკავალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სებ-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებულ სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი; 220101107.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკში მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5,საფოსტო ინდექსი 380005, ოთახი N126,128 ტელ./ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-24-99; შიდა ტელ. 4-99; 3-88.

ტენდერის პირობების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე (www.nbg.gov.ge).

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის
განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი 2005 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებული საწვავის შეძენა მოწოდებასა და ავტოგასამართ სადგურებზე მომსახურებაზე, აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მოწოდება განხორციელდება 2005 წლის განმავლობაში ეტაპობრივად, საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად, კერძოდ:

N	საქონლის დასახელება	სავარაუდო რაოდენობა ლიტრებში	მიწოდების ადგილი
1	ბენზინი-„რეგულარი" ოქტანური რიცხვით არანაკლებ-92, სსტ-41-2000	100000 (ეტაპობრივი მიწოდებით)	მიმწოდებლის ბენზინ გასამართი სადგური
2	ბენზინი-„სუპერი" ოქტანური რიცხვით არანაკლებ-98, სსტ-41-2000	45000. (ეტაპობრივი მიწოდებით)	მიმწოდებლის ბენზინ გასამართი სადგური
3	დიზელი ლ-02-62 გოსტ-305-82	125000 (ეტაპობრივი მიწოდებით)	საქ. ეროვნული ბანკის ა/ფარეხი გურგენის ქ.N3 და მიმწოდებლის ბენზინ გასამართი სადგური.
4	ანტიფრიზი 25%	750 ლიტ.	საქ.ეროვნული ბანკის ა/ფარეხი, გურგენის ქ.N3
5	ზეთი "მობილ 4" 10w-40	200 ლიტ.	საქ. როვნული ბანკის ა/ფარეხი, გურგენის ქ.N3
6	ზეთი „ესსო A5000" 5w-40	40ლიტ.	საქ. ეროვნული ბანკის ა/ფარეხი, გურგენის ქ.N3
7.	ზეთი "SAE" - 10w -40	50 ლიტ.	საქ. ეროვნული ბანკის ა/ფარეხი, გურგენის ქ.N3
8	სამუხრუჭე სითხე	150ლიტ.	საქართველოს ეროვნული ბანკის ა/ფარეხი, გურგენის ქ.N3

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17.00-სთ-მდე, სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-24-99 შიდა ტელ. 4-99; 3-88.

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);
ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);
გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);
დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);
ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);
ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).
ზ) ბოლო სამი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;
თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;
ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
კ) საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერთიფიკატი ან ნებათვა;
ლ) ქსელის განვითარების გეგმა როგორც თბილისში, ისე ქვეყნის მასშტაბით.
მ) რეკვიზიტები: (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ნ) წარდგინების წერილი წარმოდგენილი საბუთების ჩამონათვალისა და გვერდების აღნიშვნით. (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციები უნდა წარმოადგინონ ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, რომლებიც გასცემენ აღნიშნულ ცნობებს).

5. მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი ორიგინალების სახით. ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით.

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7 სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სებ-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

8 დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკი ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი N126, 128 ტელ./ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-29-99. შიდა ტელ: 4-99; 3-88.

ტენდერის პირობების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე (www.nbg.gov.ge).

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია

რუსეთს დასავლური დემოკრატია არ სჭირდება

პირველი გვერდიდან

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ალექსანდრ იაკოვენკოს განცხადებით, რუსეთში განხორციელებული ფართომასშტაბიანი სამართლებრივი რეფორმების შემდეგ ქვეყნის კანონმდებლობა უკვე ევროპულ სტანდარტებს მიუახლოვდა. ამდენად, უკვე დროა, ევროსაბჭოს მონიტორინგის გარეშე გაგრძელდეს პროცესები. რუსეთში მიიჩნევენ, რომ საჭიროა "რუსეთში შექმნილი სიტუაციის შეფასებისას მიკერძოებული მიდგომების დაძლევა, განსაკუთრებით ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მხრიდან, რაც ძველი სტერეოტიპებითაა გამოწვეული". რუსული მხარის მოთხოვნის მიუხედავად, შეწყდეს ევროპის საბჭოს კონტროლი იმ ვალდებულებების შესრულების პროცესზე, რომელიც რუსეთმა საკუთარ თავზე ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას აიღო, ტერი დევისი მონიტორინგის გაგრძელებას საჭიროდ მიიჩნევს. მისი თქმით, ჩეჩნეთის პრობლემის ამოწურვა მოლაპარაკებების გარეშე შეუძლებელია. ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ასეთი განცხადება, თავისთავად ცხადია, რუსეთის ხელისუფლების გაღიზიანების საბაბადაც შეიძლება იქცეს, რომელიც სეპარატისტებთან ყოველგვარ მოლაპარაკებას დაუშვებლად მიიჩნევს.

შეგახსენებთ, ევროსაბჭოში რუსეთის გაწევრიანებისას უმთავრესი ვალდებულებები ადამიანის უფლებების დაცვას, სიკვდილით დასჯის გაუქმებასა და კანონების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას ითვალისწინებდა.


"ევროსაბჭოში გაწევრიანებისას რუსეთმა გააკეთა გარკვეული განცხადებები, რომლებიც დაპირებად დარჩა. რუსეთს ყველა მათგანი არ მოუყვანია სისრულეში. ჯერ კიდევ რჩება საკითხები, რომლებიც გადაწყვეტას საჭიროებს," - განაცხადა ტერი დევისმა.

თუმცა, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ვითარება რუსეთში დიდად რომ არ გაუმჯობესებულა, იგივე ჩეჩნეთის მდგომარეობაც ადასტურებს. "ევროსაბჭოში გაწევრიანებისას რუსეთმა სხვა ისეთი ქვეყნების მსგავსად, როგორებიცაა პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი და საქართველო, გააკეთა გარკვეული განცხადებები, რომლებიც დაპირებად დარჩა. რუსეთს ყველა მათგანი არ მოუყვანია სისრულეში. ჯერ კიდევ რჩება საკითხები, რომლებიც გადაწყვეტას საჭიროებს," - განაცხადა ტერი დევისმა. ამდენად, რუსეთის მხარის, კერძოდ, სახელმწიფო სათათბიროს სპიკერის ბორის გრიზლოვის მიერ "ორმაგი სტანდარტების" შესახებ საუბარი გაუმართლებელი თუ არა, სულ მცირე, უხერხული მაინცაა.

რუსეთში ატროფირებულ დემოკრატიაზე, დამოუკიდებელი მასმედიისა და პოლიტიკური ოპოზიციის არარსებობაზე საუბრობს ამერიკელი მილიარდერი ჯორჯ სოროსიც ავსტრიული გაზეთისათვის "პრესე" მიცემულ ინტერვიუში. "რუსეთში აღარ ფუნქციონირებს დემოკრატია. აღარ არსებობს დამოუკიდებელი მასმედიის საშუალებები, ისევე როგორც პოლიტიკური ოპოზიცია და ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოები. ეს რუსეთისათვის უკან გადადგმული ნაბიჯია," - აღნიშნავს სოროსი. მისი თქმით, ამაზე აუცილებელია დაუყოვნებელი რეაქცია როგორც აშშ-ს, ასევე ევროპის მხრიდანაც. "მათ ეს უნდა გაითვალისწინონ. "დიდი რვიანის" წევრობის უმთავრესი პირობა დემოკრატიული პრინციპების დაცვაა. სწორედ ამიტომ რუსეთი არ უნდა იყოს მისი წევრი," - აცხადებს სოროსი.

თუმცა, რუსეთისათვის "დიდი რვიანის" წევრობის სტატუსის ჩამორთმევის შესახებ საუბარი სოროსის განცხადებამდეც დაიწყო, კერძოდ, ჯერ კიდევ გასული წლის აპრილში, როდესაც აშშ-ს კონგრესში საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტმა №336 რეზოლუცია მიიღო. აღნიშნული რეზოლუციის მიღების ინიციატორები რესპუბლიკური პარტიიდან ჯონ მაკკეინი, ხოლო დემოკრატების გუნდიდან ჯოზეფ ლიბერმანი იყვნენ. დოკუმენტის ავტორთა აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა რუსეთის დასჯა დემოკრატიული ნორმების უგულებელყოფის გამო, რომ აღარაფერი ვთქვათ თავისუფალი მასმედიისა და მსხვილი ბიზნესმენების დევნაზე.

სხვათა შორის, რუსეთში მასმედიის მდგომარეობაზე კითხვები თავდაცვის მინისტრს სერგეი ივანოვს მიუნხენის პრეს-კონფერენციაზეც დაუსვეს. მან პასუხად მხოლოდ ის აღნიშნა, რომ გაზეთების უმრავლესობა ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ პოზიციას ინარჩუნებს, მაგრამ არაფერი უთქვამს ცენტრალური ტელეკომპანიების შესახებ.

ბეირუთის ტერაქტმა ექს-პრემიერის სიცოცხლე შეიწირა

ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში მომხდარი ტერაქტის შედეგად ქვეყნის ექს-პრემიერი რაფიკ ხარირი გარდაიცვალა. მომხდარზე პასუხისმგებლობა დღემდე უცნობმა ტერორისტულმა დაჯგუფება "ანნასრ ვალჯიხად ფი ბილად აშ-შამ"-მა აიღო. დაშავებულთა შორის ქვეყნის ყოფილი ეკონომიკის მინისტრი ბასილ ფულეიხანიცაა.

ნანა ნასყიდაშვილი

ლიბანის დედაქალაქის ცენტრში დანაღმული მანქანა სწორედ მაშინ აფეთქდა, როდესაც პარლამენტიდან წამოსული ყოფილი პრემიერის, რაფიკ ხარირის კორტეჟი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს "სანტ-ჯორჯი" მიმდებარე ტერიტორიას კვეთდა. პრემიერის სიკვდილს ბეირუთში ამერიკული ჰოსპიტალის მედპერსონალიც ადასტურებს. ხარირის გარადაცვალების შესახებ ცნობას მისი ტელევიზია "ალ-მუსთაქბალ"-იც ავრცელებს. აფეთქებამ, რომელმაც მიწაში ღრმა ღრმული დატოვა, ასი მეტრის რადიუსში მდებარე შენობებს მინები ჩაუმსხვრია. ტელეკომპანია "ალ-არაბია"-ს გადმოცემით, დანგრეულია რამდენიმე შენობა, მათ შორის ბანკი "HSBC" და საცურაო აუზი. 20-მდე ავტომანქანა ადგილზევე დაიწვა. ტერაქტმა განსაკუთრებით ბეირუთის ყველაზე ცნობილი სასტუმრო "სენტ-ჯორჯი" დააზიანა, რომელსაც აფეთქების ტალღამ რამდენიმე აივანი მოგლიჯა. "ჩვენს გარშემო ყველაფერი დაინგრა, თითქოს მიწისძვრა მოხდა," - აცხადებს ერთ-ერთი თვითმხილველი. წინასწარი ცნობებით, დაშავებულია 25, ხოლო დაღუპულია 9 ადამიანი, მათ შორის 6 ექს-პრემიერის მცველი იყო. დაშავდნენ უბრალო მოქალაქეებიც. ზოგიერთი მათგანის ცეცხლმოკიდებული მანქანებიდან ევაკუირება სახელდახელოდ შეკრული საკაცეებით ხორციელდებოდა. ექს-პრემიერთან ერთად დაიღუპნენ ყოფილი იუსტიციის მინისტრი სამირ ალ-ჯისრი და ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრი ბასილ ფულეიხანი, რომელიც თავდაპირველად კრიტიკულ მგომარეობაში ამერიკის უნივერსიტეტთან არსებული საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოათავსეს, აცხადებს სააგენტო "იტარ-ტასი" ლიბანის ტელევიზიაზე დაყრდნობით. შემთხვევის ადგილი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა უმარ კარამიმ მოინახულა. "სირია მომხდარს ტერორისტული აქტის სტატუსს ანიჭებს, რომელსაც დესტაბილიზაციის გამოწვევა შეუძლია. ეს ლიბანსა და სირიაზე დიდი საერთაშორისო ზეწოლის ფონზე ხდება, რომლის მიზანიც რეგიონში ისრაელის სურვილების განხორციელებაა. მომხდარი ტერაქტი ამ ზეწოლასთან კავშირშია," - განაცხადა სირიის ინფორმაციის მინისტრმა დახლ-ალაჰმა სააგენტო "როიტერთან" სატელეფონო საუბარში.

ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიზნესმენი რაფიკ ხარირი ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო. 1992 წლიდან ის ომის შემდგომი ლიბანის რეკონსტრუქციის მძიმე პროცესს ედგა სათავეში. 90-იანი წლების ბოლოს მან პრემიერის სავარძელი ორი წლით სელიმ ხოსუსს დაუთმო. 2002 წლის არჩევნების შემდეგ კი კვლავ დაბრუნდა "სარაი"-ს სამთავრობო სასახლეში. ის დაკავებული თანამდებობიდან გასული წლის ოქტომბერში გადადგა ქვეყნის პრეზიდენტთან, ემილ ლახუდთან ახალი სამთავრობო კაბინეტის დაკომპლექტებასთან წარმოქმნილი უთანხმოების გამო, თუმცა გავლენა არ დაუკარგავს და გაზაფხულზე დაგეგმილი არჩევნების შემდეგ პოლიტიკაში აპირებდა დაბრუნებას. მისი ბლოკის "ბეირუთის არჩევანი"-ს წევრები ოპოზიციურ პარტიებს დაუკავშირდნენ და წინა საარჩევნო კამპანიის დედაქალაქში ჩატარებას ერთად გეგმავდნენ. თვითონ ხარირი თავს იკავებდა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებისგან, თუმცა არ მალავდა თავის სიმპათიას პროგრესულ-სოციალისტური პარტიის ლიდერის ვალიდა ჯუმბლატტას მიმართ, რომელიც ფართო ოპოზიურ ფრონტს ხელმძღვანელობს. ხარირის საერთაშორისო კავშირებმა (ის საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის, საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრისა და აზიისა თუ დასავლეთ ევროპის სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურების მეგობარი იყო) ლიბანს მსხვილი ეკონომიკური დახმარების მიღებაში შეუწყო ხელი.

ლიბანი პატარა მთა-გორიანი სახელმწიფოა, რომელიც 1943 წლამდე, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, საფრანგეთის გამგებლობაში იმყოფებოდა. ის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურად ყველაზე მეტად დანაწევრებული ქვეყანაა, რომელიც დევნილ რელიგიურ უმცირესობათა თავშესაფრად იქცა. ამ სახელმწიფოში ცხოვრობენ როგორც ქრისტიანები, ასევე სუნიტები, შიიტები, დრუზები და სხვა რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანები. სამოქალაქო ომის დროს, რომელიც 1975 წლიდან 90-იან წლებამდე მიმდინარეობდა, ლიბანი რეგიონის მთავარი ძალების: ისრაელისა და სირიის დაპირისპირების არეს წარმოადგენდა. ისრაელის სამხედრო ძალები 1982 წელს შევიდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო 1985 წელს ეგრეთ წოდებულ "ბუფერულ" ზონაში გადავიდნენ, რომელიც 2000 წელს დატოვეს. დღესდღეობით ყველაზე დიდი გავლენა ქვეყანაში სირიას აქვს. თუმცა, ისრაელის სამხედრო ძალების ამ სახელმწიფოდან წასვლის შემდეგ, სულ უფრო ხშირად ისმის ლიბანში სირიის სამხედრო პოლიტიკის აღკვეთის მოთხოვნა. ყველაფრის მიუხედავად, სახელმწიფოში არსებული მძიმე მდგომარეობის ფონზე განათლების მაღალი დონე და ვაჭრობის ტრადიციული კულტურა ეხმარება ქვეყანას, უახლოეს აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი კომერციული ცენტრის სტატუსი შეინარჩუნოს.

ერაყის არჩევნების შედეგები - წარმატებული ქურთები და მეტის მოსურნე შიიტები

ერაყის არჩევნებში სავარაუდო გამარჯვებულზე ხმის მიცემის დასრულებისთანავე საუბრობდნენ. იმ პირობებში, როდესაც ერაყში მცხოვრები სუნიტების უმრავლესობა ბოიკოტისა თუ ტერაქტების შიშის გამო საარჩევნო ურნებთან არ მისულა, ცხადია, თავიდანვე ნათელი იყო, რომ გამარჯვებას ქვეყნის 60 პროცენტიანი შიიტური მოსახლეობის მხარდაჭერის მქონე პოლიტიკური ძალა მოიპოვებდა. თუმცა, აქამდე ყველა ერთგვარი დაძაბულობით მოელოდა შედეგების ოფიციალურ გამოცხადებას, და, როგორც აღმოჩნდა, არცთუ უსაფუძვლოდ. მართალია, წინასწარი პროგნოზებით ლიდერმა პოლიტიკურმა ძალამ (აიათოლა ალი ას-სისტანის გარშემო შემოკრებილი შიიტთა ჯგუფი) დამაჯერებლად გაიმარჯვა, მაგრამ იგივე პროგნოზების საპირისპიროდ, ეს გამარჯვება მაინც არ გახდება იმის საწინდარი, რომ სისტანის მომხრეთა მიერ დეკლარირებული მიზნები (მათ შორის თეოლოგიური სახელმწიფოს ჩამოყალიბება) რეალობად იქცევა.

ნიკა თარაშვილი

ერაყში საბოლოო შედეგები მხოლოდ კვირას გახდა ცნობილი. აღმოჩნდა, რომ მოსალოდნელის საპირისპიროდ, რეალურად ყველაზე მეტი სარგებელი ძალთა ახალი გადანაწილებიდან არა შიიტებმა, არამედ ქურთებმა მიიღეს. სწორედ მათზე იქნება დამოკიდებული ქვეყნის მომავალი პრეზიდენტისა და, შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის არჩევის ბედი.

მიღებული ხმებით (ბიულეტენების 48 პროცენტი) ყველას უსწრებს "გაერთიანებული ერაყული ალიანსი". აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ელოდნენ (ზოგიერთი პროგნოზით, მათ ხმების 60 პროცენტსაც კი უწინასწარმეტყველებდნენ.). ალიანსში შედიან რელიგიური შიიტური პარტიები დიდი აიათოლა ალი ას-სისტანის "სულიერი" ხელმძღვანელობით. ასე რომ, მათ 275 ადგილიან ეროვნულ ასამბლეაში მხოლოდ 140 მანდატი ხვდათ წილად, რაც გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მისაღებად საკმარისი ვერ იქნება.

სხვათა შორის, გამარჯვებული პარტია შედეგების გამოცხადების მეორე დღესვე დადგა დილემის წინაშე. საქმე ისაა, რომ ახალი კონსტიტუციით, ასამბლეის ორი-მესამედის თანხმობით ირჩევა პრეზიდენტი და ორი ვიცე-პრეზიდენტი - სინამდვილეში რეალური ძალაუფლების არმქონე ფიგურები. თუმცა, შემდგომში მათ არჩევანზე დამოკიდებულია "ძლევამოსილი" პრემიერ-მინისტრისა და კაბინეტის სხვა წევრების კანდიდატურათა დასახელების ბედი, რომელიც უკვე უმრავლესობით უნდა დაამტკიცოს ასამბლეამ.

შექმნილ მდგომარეობაში განუზომლად იზრდება მეორე ადგილზე გასული ძირითადი ქურთული პარტიების კოალიციის როლი - მას ამომრჩეველთა 25,7 პროცენტმა დაუჭირა მხარი, რამაც საშუალება მისცა, ასამბლეაში 70 წარმომადგენელი გაეყვანა. სისტანის ბლოკს სწორედ ამ გაერთიანებასთან მოუწევს მთავრობის დასაკომპლექტებლად მოლაპარაკებების გამართვა.

საინტერესოა, რომ ამჟამად მმართველი პრემიერ-მინისტრის აიად ალავის ბლოკმა "ერაყის სია" მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა (13,8 პროცენტი) და 40 მანდატი მიიღო საკანონმდებლო ორგანოში, შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რაიმე მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ახალი ერაყის მთავრობის დაკომპლექტებისას.

სხვა დანარჩენმა წვრილმა პარტიებმა ერთად 12 პროცენტი მოაგროვეს.

აშშ უკვე გამოხატა კმაყოფილება არჩევნების შედეგების გამო და პათეტიკური ტონითაც მოულოცა გამარჯვებულებს: "ორი კვირის წინ 8 მილიონმა ერაყელმა გამოწვევა ესროლა ტერორისტებს და მაინც მივიდა ხმის მისაცემად, - ნათქვამია პრეზიდენტ ბუშის განცხადებაში, - აშშ-ს და მის პარტნიორებს კოალიციაში შეუძლიათ იამაყონ იმ როლით, რომელიც მათ ითამაშეს, რათა ეს დიადი მოვლენა მომხდარიყო. ახლა, როცა წინასწარი შედეგები ცნობილია, ჩვენ მათ გადამოწმებას დაველოდებით. მე მივესალმები ერაყელებს, რომლებიც არ შეუშინდნენ ტერორისტებს და თავისი ქვეყანა დემოკრატიისა და თავისუფლების გზაზე დააყენეს."

გამარჯვებული პარტიის ლიდერებმა მომავალი მთავრობის დაკომპლექტების შესახებ მოლაპარაკებები გუშინვე დაიწყეს. მათი "ამბიციური" პროგრამა ერაყში "ფართო ეროვნული ჰარმონიის გზით არჩეული მთავრობის შექმნას" ისახავს მიზნად. ასეთივე "გამაერთიანებელი" მოწოდება გააკეთა ამჟამინდელმა ფინანსთა მინისტრმა, ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა ადელ აბდელ მაჰდიმ: "ერაყი სისხლისგან იცლება და აუცილებელია, რათა ამ მომენტში ყველამ ერთად ვიმოქმედოთ სოლიდარობისა და სამართლიანობის სახელით."

გაცილებით კონკრეტული იყო მეორე ადგილზე გასული ქურთების განცხადება. ისინი ამბობენ, რომ მზად არიან, კონსტრუქციულ კომპრომისზე წავიდნენ გამარჯვებულ ძალასთან. მათი აზრით, შიიტი პრემიერ-მინისტრის სანაცვლოდ, პრეზიდენტი აუცილებლად ქურთი უნდა იყოს.

დღეისთვის, თუ ქურთთა მიერ პრეზიდენტის პოსტისთვის შერჩეული კანდიდატურა უკვე ცნობილია - ამ ადგილს, სავარაუდოდ, ჯალალ თალაბანი დაიკავებს - იგივეს თქმა მინისტრთა კაბინეტის შიიტი ხელმძღვანელის შესახებ ძალიან რთულია. უნდა ითქვას, რომ თავად ალიანსში საკმაოდ ბევრია ძლიერი პოლიტიკური ფიგურა, რომელთაგან ერთზე შეჩერება, ალბათ, გაჭირდება. გუშინ სააგენტო "როიტერსი" ყველაზე რეალურ კანდიდატებად პარტია "დაუა"-ს ლიდერს, იბრაჰიმ ალ-ჯაფარისა და ამჟამინდელ ფინანსთა მინისტრს, ადელ აბდელ მაჰდის (ერაყში ისლამური რევოლუციის უზენაესი საბჭო) ასახელებდა. ასევე გარკვეული შანსები რჩება გავლენიან ერაყელ პოლიტიკოსს აჰმედ ჩალაბის, თუმცა ამ შანსებს უკანასკნელ დროს აშშ-სთან გაუარესებული ურთიერთობები ამცირებს. სააგენტოს ინფორმაციით, ამავდროულად, მოქმედი პრემიერ-მინისტრი აიად ალავიც (ისიც შიიტია, თუმცა აშკარად, სეკულარული ფენის წარმომადგენელი) აპირებს პოსტის შენარჩუნებისთვის ბრძოლას და ანალიტიკოსთა აზრით, ამისთვის აშშ-ს მხარდაჭერის გამოყენებასაც არ მოერიდება. ასე რომ, "ერაყელ პატრიოტებს" ქვეყნის გასაერთიანებლად და დემოკრატიის დასამკვიდრებლად წინ კიდევ დიდი ბრძოლა ელოდებათ.

ყველაზე მნიშვნელოვანმა მომენტმა - ქურთების წარმატებამ - კი უკვე ჰპოვა გამოძახილი. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ფაქტს შეშფოთებით შეხვდნენ მეზობელ თურქეთში. თურქეთის საგარეო საქმეთა სამისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ ქურთებმა დაუმსახურებელ უპირატესობას მიაღწიეს, რის შედეგადაც ერაყის გარდამავალი პარლამენტი ვერ იქნება ქვეყნის მთელი საზოგადოების აზრის გამომხატველი. ანკარა შიშობს, რომ ერაყის შიგნით ქურთთა პოზიციების გამყარება უდავოდ გამოიწვევს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მცხოვრები ქურთების სეპარატისტული განწყობის გაძლიერებას. თუმცა, სავარაუდოდ, ანკარას პროტესტი ახლა უკვე ველარაფერს შეცვლის.

"სამხედრო რეფორმა არც კი დაწყებულა"

ყოფილი სამხედრო ომბუდსმენი ხმაურიან პრესკონფერენციას გეგმავს

ვერიკო თევზაძე

"ყოფილი შინაგანი ჯარების პირადი შემადგენლობის ზოგიერთ ოფიცერს ეუბნებიან, რომ საკუთარი ხელით დაწეროს განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე," "საქართველოში სამხედრო რეფორმა არ დაწყებულა;" "5 ნოებრის პრეზიდენტის ბრძანებულებაში საკმაოდ ბევრი შეცდომაა დაშვებული;" "რეზერვი კანონმდებლობის დარღვევით, საერთაშორისო რეკომენდაციების სრული უგულებელყოფით ხორციელდება"... - ამგვარი ხმაურიანი განცხადებების გაკეთებას ყოფილი სამხედრო ომბუდსმენი, ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" წარმომადგენელი ირაკლი სესიაშვილი ხვალისთვის დაგეგმილ პრესკონფერენციაზე აპირებს. ერთი წლის საქმიანობის შესახებ მონიტორინგის განხორციელების შედეგად ასოციაცია საზოგადოებას თავის პოზიციას და შეფასებებს გააცნობს.

"პრეზიდენტმა ბოლო ხანებში, განსაკუთრებით კი - ერთი წლის ანგარიშში, არაერთხელ აღნიშნა, რომ ქვეყანაში მიღწეული წარმატებებიდან ერთ-ერთი უმთავრესი არის სამხედრო სფეროში განხორციელებული რეფორმები. რა თქმა უნდა, რაღაც გარკვეული ძვრები იყო, მაგრამ როდესაც ერთი წლის მონიტორინგი განვახორციელეთ და ვითარება გავაანალიზეთ, მივედით იმ დასკვნამდე, რომ რეფორმა არა თუ არ განხორციელებულა, საერთოდ არ დაწყებულა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს შემდეგი რეალობა: არ შექმნილა ერთიანი სამხედრო მმართველობა; არ მომზადებულა უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც პრეზიდენტმა უნდა დაამტკიცოს; არ გამიჯნულა სამხედრო და სამოქალაქო მმართველობა; 5 ნოემბრის პრეზიდენტის ბრძანებულებებით განისაზღვრა სამხედრო მოსამსახურეებისათვის სოციალური გარანტიები. ამ ბრძანებულებაში საკმაოდ ბევრი შეცდომაა დაშვებული. რიგ შემთხვევებში სამხედროთა მდგომარეობა, სოციალური კუთხით, გაუარესდა. გარდა ამისა, აღნიშნულმა ბრძანებულებამ უთანასწორობის პრინციპი დაამკვიდრა. საქმე ის გახლავთ, რომ ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებზე. რაც შეეხება საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, იგი საერთოდ ამოვარდნილია კონტექსტიდან," - განუცხადა "24 საათს" ირაკლი სესიაშვილმა.

პრესკონფერენციაზე სესიაშვილი ასევე ყურადღებას გაამახვილებს საკადრო საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მისი აზრით, ერთი წლის განმავლობაში თავდაცვის სამი მინისტრისა და გენერალური შტაბის ორი უფროსის შეცვლამ უმძიმესი შედეგები გამოიღო: **"ახლად დანიშნულმა მინისტრებმა არ გაითვალისწინეს წინა მინისტრების საქმიანობა. შედეგად, მივიღეთ ის, რომ ამ მიმართულებით რეფორმა, ფაქტობრივად, არ დაწყებულა."**

16 თებერვლის პრესკონფერენციის ორგანიზატორები რეზერვისტთა მომზადების საკითხზეც ისაუბრებენ. სესიაშვილი აცხადებს, რომ დღეს რეზერვი კანონმდებლობის დარღვევით ხორციელდება, ასევე მთლიანად უგულებელყოფილია საერთაშორისო რეკომენდაციები.

ხვალინდელ პრესკონფერენციაზე განსახილველ საკითხთა შორის ირაკლი სესიაშვილი თავდაცვის სამინისტროში არსებულ "მძიმე ვითარებასაც" ასახელებს: **"სამინისტროში საკმაოდ დაძაბული ვითარებაა. ბატონი ირაკლი ოქრუაშვილი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს, რის გამოც, ფაქტობრივად, უმოქმედოდ და უფუნქციოდ რჩება გენერალური შტაბი და მისი ხელმძღვანელობა. გარდა ამისა, სწორედ რეფორმის გეგმის არარსებობის გამო, ჯერ კიდევ ჰაერშია გამოკიდებული შინაგანი ჯარის დაშლის შედეგად დარჩენილი სამხედრო ნაწილები."**

სესიაშვილის განცხადებით, შინაგანი ჯარების ოფიცრებს, რომელიც კადრების განკარგულებაში არიან გადაყვანილები, ორი თვეა, ხელფასი არ აუღიათ. მათი ბედი აბსოლუტურად გაურკვეველია. საქმე ეხება, - დასძენს სესიაშვილი, - საკმაოდ ახალგაზრდა ოფიცრებს, მოწოდებით სამხედროებს, რომელთაც მოვლილი აქვთ თითქმის ყველა კონფლიქტური ზონა. როგორც ირაკლი სესიაშვილმა "24 საათს" განუცხადა, ზოგიერთ ოფიცერს ეუბნებიან, რომ თავისი ხელით დაწეროს განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ. ამ ფაქტზე საუბრისას ყოფილ სამხედრო ომბუდსმენს პარლამენტარ გიგა ბოკერიას გამოსვლა ახსენდება (ბოკერიამ განაცხადა, რომ საქართველოში ჯარი პრესტიჟულად იქცა) და რიტორიკულ შეკითხვას სვამს: **"რა პრესტიჟულობაზეა საუბარი?!"**

ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც სამხედრო ძალების განვითარებას ეხება, პასუხი უნდა აგოს ქვეყნის პრეზიდენტმა, რომელიც, იმავდროულად, უმაღლესი მთავარსარდალიცაა.

რაში დაიხარჯა ავარიული სახლებისთვის გამოყოფილი თანხები?

2004 წლის ბიუჯეტიდან ავარიული სახლების შესაკეთებლად თბილისის ხუთივე რაიონში 6 მილიონი ლარი დაიხარჯა. მართალია, ეს თანხა ძალიან მცირეა იმასთან შედარებით, რაც თითოეულ რაიონში ათასობით ავარიული სახლის გამაგრებას სჭირდებოდა, მაგრამ ნგრევის პროცესი დროებით მაინც შეჩერდა. შედეგი უკეთესი იქნებოდა, აღნიშნული თანხა მთლიანად მიზნობრივად რომ გამოეყენებინათ. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში მდებარე ერთ-ერთი ავარიული სახლისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხების მიმართულებას კონტროლის პალატა სწავლობს. თუმცა, დაეჭვების საფუძველს კიდევ რამდენიმე სახლში ჩატარებული გამაგრებითი სამუშაოებიც იძლევა. საკრებულოს ფრაქცია "მემარჯვენეები" უახლოეს სხდომაზე აპირებენ, დაასახელონ ის მისამართები, სადაც არასპეციალისტის თვალითაც აშკარაა, რომ ავარიული შენობების გასამაგრებლად გამოყოფილი საბიუჯეტო თანხები არამიზნობრივად დაიხარჯა.

ნანა ქადაგიშვილი

გასული წლის ბიუჯეტში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში მდებარე 22 სახლის გასამაგრებლად 389 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული და ბუღალტერიის მონაცემებს თუ დავუჯერებთ, ამდენივე დაიხარჯა. თუმცა, მოსახლეობისა და საკრებულოს ფრაქცია "მემარჯვენეების" აზრით, დახარჯული თანხა მთლიანად სახლების გამაგრებას არ მოხმარებია.

მაზნიაშვილის ქ.№9-ში მდებარე სახლი, სადაც 13 ოჯახი ცხოვრობს, შარშან დაიწვა. გასული წლის ბიუჯეტში ამ სახლის შესაკეთებლად 117 ათასი ლარი ჩაიდო (პირველ ეტაპზე - 90 ათასი ლარი, მეორეზე - 27 ათასი ლარი). თუმცა, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები აცხადებენ, მათ სახლში აღნიშნული თანხის მესამედიც კი არ იქნება დახარჯული. **"თითოეულ ოჯახს 500-500 ლარი მოგვცეს და სახლის სახურავი გადახურეს. ერთი კედლის ამოშენებაც დაიწყეს, მაგრამ შუა გზაში მიატოვეს. დანარჩენი ყველაფერი საკუთარი ხარჯებით აღვადგინეთ,"** - გვითხრა მაზნიაშვილის №9-ში მცხოვრებმა ალექსანდრე როსტმა.

დოლიძის ქ.№41-ის გასამაგრებლად ბიუჯეტში 11,8 ათასი ლარი იდო. როგორც სახლის მობინადრეებმა გვითხრეს, მშენებლებმა მხოლოდ ერთი კედელი ამოაშენეს, საწვიმარი მილი გააკეთეს და ოთახებში დაბზარული კედლები ამოლესეს. **"ამ საქმეში კარგად ვარ გარკვეული. ეს ყველაფერი 3 ათას ლარზე მეტი არ დაჯდებოდა. ერთი კედლის ამოშენებას 150 ბლოკი თუ დასჭირდებოდა. ამ სახლის მთავარი პრობლემა ის არის, რომ მეზობლად მდებარე სახლის კედელი აწვება (ერთი სახლის კედელს მეორესთან ეზოს შესასვლელი კარი აკავშირებს). დოლიძის №39-ის საძირკველი და კედელი ისეთ მდგომარეობაშია, დღე-დღეზე ჩამოინგრევა. თუ ეს სახლი არ გამაგრდა, №41-ის გამაგრებას აზრი არ აქვს. ამიტომაც, დაბზარული კედლები კი ამოლესეს, მაგრამ რამდენიმე თვეში ისევ დაიბზარა. დოლიძის №39-ის კედლის გასამაგრებლად გამგეობისგან 4 ათას ლარს ვითხოვდით. ოღონდ, კედელი ჩამოგვიშალეთ და ჩვენ ავაშენებთო, ვეხვეწებოდით მაშინდელ გამგებელს თემურ ჭეიშვილს, მაგრამ უარით გამოგვისტუმრა, ფული არ გვაქვსო. ძნელი მისახვედრი არ არის, რატომაც არ მოგვცეს ფული,"** - ჩივის დოლიძის ქუჩის მოსახლეობა.

ნორიოს აღმართი №7-ის გასამაგრებლად კი ერთი თეთრიც არ დახარჯულა, არადა, 2004 წლის ბიუჯეტში ნორიოს აღმართი №7-9 სახლების შესაკეთებლად 28 ათასი ლარი იდო. როგორც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში განგვიმარტეს, №9-ში მდებარე შენობის კანალიზაციის შეკეთებისას მეზობელი №7-ში მდებარე სახლი დაზიანდა და გეგმაში ორივე შენობა ერთად ჩასვეს. როგორც მოსახლეობა აცხადებს, შარშანდელი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით მხოლოდ №9-ში მდებარე სახლის კედელი ამოაშენეს, №7-ში კი არაფერი გაკეთებულა. თუმცა, 28 ათასი ლარი ერთი სახლის გამაგრებაც ვერ მოხერხდა და წლევანდელ ბიუჯეტში ორივე სახლის შესაკეთებლად ისევ გამოიყო თანხები - №7-ის გასამაგრებლად - 10 ათასი ლარი, №9-ის გასამაგრებლად - 25 ათასი ლარი. "24 საათის" ინფორმაციით, გამგეობის ახალმა ხელმძღვანელობამ კონტროლის პალატას დაავალა, გამოარკვიოს, აღნიშნულ ორ მისამართზე შარშანდელი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები რამდენად მიზნობრივად დაიხარჯა.

ორი თვის წინათ, აღნიშნულ მისამართებზე მდებარე ავარიული სახლები საკრებულოს ფრაქცია "მემარჯვენეების" წევრებმაც მოინახულეს. "მემარჯვენეები" მოსახლეობის განცხადებებს საფუძვლიანად მიიჩნევენ და უახლოეს სხდომაზე მოითხოვენ, გაირკვეს, გასული წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიდან ავარიული სახლების გამაგრებაზე რეალურად რამდენი დაიხარჯა.

GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ქარელის რაიონის სოფელ ბებნისის საშუალო სკოლის რემონტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სათემო კავშირ "ბებნისთან", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ბებნისი" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ქარელის რაიონი,

სოფელი ბებნისი, ბებნისის საშუალო სკოლის შენობა.

საკონტაქტო პირი გიორგი იმერლიშვილი სათემო კავშირი "ბებნისი" თავჯდომარე.

2005 წლის 16 თებერვალი 17 მარტამდე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2300 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ქარელის რაიონი

სოფელი ბებნისი, ბებნისის საშუალო სკოლის შენობა.

საკონტაქტო პირი გიორგი იმერლიშვილი. სათემო კავშირი "ბებნისი" თავჯდომარე

2005 წლის 17 მარტამდე 14 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით თიანეთის რაიონის დაბა თიანეთის მირზა გელოვანის სახელობის N1 საშუალო სკოლის სარემონტო სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სათემო კავშირ "თიანეთთან", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "თიანეთი" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თიანეთის რაიონი,

დაბა თიანეთი, მირზა გელოვანის სახელობის N1 საშუალო სკოლის შენობა.

საკონტაქტო პირი მერი ბოდაველი სათემო კავშირი "თიანეთის" თავჯდომარე.

2005 წლის 15 თებერვლიდან 16 მარტამდე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2600 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თიანეთის რაიონი

დაბა თიანეთი მირზა გელოვანის სახელობის N1 საშუალო სკოლის შენობა

საკონტაქტო პირი მერი ბოდაველი. სათემო კავშირი "თიანეთის" თავჯდომარე

2005 წლის 16 მარტამდე 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

რეგიონი

"წინწყარო ჩამოვიარე..."

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში ჯერ კიდევ გვიანი ბრინჯაოს ხანიდან სახლობდნენ ქართველთა წინაპრები. შემდეგ ისტორიული ბედუკუღმართობის გამო იქაურობა დაცარიელდა. 1813-1815 წლებში მეფის რუსეთის არმიის გენერალ პასკევიჩის ძალისხმევით ქართველების ნასახლარზე თურქეთის აღმოსავლეთ ვილაეთებიდან გამოსული ბერძნული მოსახლეობა ჩაასახლეს. მას შემდეგ თითქმის ორი საუკუნეა, რაც ბერძნებისთვის იქარობა მშობლიურ მხარედ იქცა.

ლელა მარგიანი

1989 წლის სახელმწიფო აღწერის მიხედვით, საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე 130 ათასი ბერძენი ცხოვრობდა. ამჟამად მათი რაოდენობა 30 ათასს არ აღემატება. ასეთი კლება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა და მძიმე ეკონომიკურმა პრობლემებმა გამოიწვიეს. ასე დაცარიელდა ერთ დროს დიდი სოფელი წინწყაროც. 900 ოჯახიდან 68 ოჯახიღა დარჩა.

"ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" მონაცემებით, წინწყარო სოფსაბჭოს ცენტრი ყოფილა, რომელიც უახლოესი რკინიგზის სადგურიდან დაშორებული იყო სამი კილომეტრით. იქ არსებობდა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის ფილიალი, საშენი ქვის კარიერი, საშუალო სკოლა, ორი ბიბლიოთეკა, კლუბი კინოდანადგარითურთ, ამბულატორია და კავშირგაბმულობის განყოფილება.

ამჟამად, თითქმის, აღარაფერია. სკოლაში 1200 მოსწავლის ნაცვლად მხოლოდ 28 სწავლობს. არის მაღაზია და ამბულატორია, რომელიც "BP"-მ გაარემონტა.

ცარიელია სოფლის დასაწყისში აშენებული თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის ფილიალის რამდენიმე სართულიანი შენობა, სადაც თავის დროზე ამზადებდნენ მასობრივი მოხმარების საგნებს. ასევე მიტოვებული და გამოკეტილია სოფლიდან წასული ბერძნული მოსახლეობის სახლების უმეტესობა. მძიმე სანახავია, დარაბებმიხურული, ჩაბნელებული, რკინის ჭიშკრებზე ბოქლომდადებული ჯერ კიდევ მშვენიერი სახლები.

როგორც სოფლის საკრებულოს მდივანმა პავლე ბოსტანიდმა გვითხრა, არსებობს სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში გაჩენილ ეკომიგრანტებს, ანუ დამეწყრილი ზონებიდან ჩამოსახლებულებს, სახელმწიფო აძლევს დახმარების სახით 3 ათას დოლარს, რათა მათ პატრონებისგან გარკვეული თანხის დამატებით, შეისყიდონ მიტოვებული სახლები.

პავლე ბოსტანიდი: **"სახლები, რა თქმა უნდა, უფრო ძვირი ღირს. ზოგის ფასი 30 ათასამდეა. თითქმის ყველა სახლის მფლობელს მინდობილობა აქვს დატოვებული თავის ახლობლებთან და გაყიდვის შემთხვევაში სახლის ღირებულების საფასური მათ პირდაპირ თავის ანგარიშზე ერიცხებათ იმ ქვეყანაში, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. სახლებში ავეჯი აღარ არის, რადგან რაც წასაღები იყო თავად პატრონებმა საქართველოდან წასვლისას წაიღეს. ხოლო რაც არ ვარგოდა, გასული არეული წლების განმავლობაში ქურდებმა გაზიდეს."**

ძირითადად ისეთი მოსახლეობა ყიდულობს მიტოვებულ სახლებს, ვისაც აქაურობა მუდმივ საცხოვრებლად უნდა და არა მხოლოდ საგარაკოდ. ჩვენთან ასე ამბობენ: როცა მიწაზე ლეღვი მოდის, იქ ყველაფერი ხარობსო. მართლაც ყველაფერი გვაქვს - ბალი, ალუბალი, ვაშლი, ვაზი, კაკლის ხეებიც ბევრია, მაგრამ გასული ცივი გაზაფხულის გამო, წელს ხილის მოსავალი არ გვქონია."

ბატონმა პავლემ გაგვაცნო თავისი ქართველი მეგობარი, წინწყაროს საკრებულოს წევრი შალვა თოფურიძე, რომელიც სულ რამდენიმე წელია, რაც მეუღლესთან ერთად სოფელში დასახლდა. მართალია, წინწყაროელი სხვა ახალმოსახლეების მსგავსად არ ჰყავს ბევრი საქონელი, მაგრამ ძალიან კმაყოფილია იმით, რომ თბილისში ბინა დაკეტა და სოფელში წავიდა. **"მე და ჩემი მეუღლე ორივე თბილისში ვმუშაობდით. 33 წელი გეოლოგიურ სამმართველოში ვიმუშავე. ახლა აქა ვარ. თბილისში ყოფნას აქ ყოფნა მირჩევნია, "** - ამბობს ბატონი შალვა.



ბერძნული ტაძარი წინწყაროში.

იმის მიუხედავად, რომ სოფელი ორწყალს შუა დგას, ზაფხულში სიცხისგან იწვის. **"მარჯვნივ - ალგეთია, მარცხნივ - მდინარე ხრამი. შუაში ვართ, მაგრამ არა გვაქვს სარწყავი წყალი. სამი კილომეტრია სოფლის ცენტრიდან ალგეთამდე, ხოლო ხუთი კილომეტრი - ხრამამდე. მაგრამ იმის საშუალება არა გვაქვს, მილებით იქიდან წყალი ამოვქაჩოთ. ჩვენ მაღალზე ვართ, მდინარეები - დაბალზე,"**- აგვიხსნა ყოფილმა გეოლოგმა.

წინწყაროში არც სასმელი წყალი აქვთ ყოველდღე, რადგან გასული საუკუნის 40-იან წლებში გაკეთებული წყალგაყვანილობის 90 პროცენტი დაზიანებულია, სამი დღის განმავლობაში აგროვებენ წყალს სოფლის წყალსაცავში და მერე უშვებენ. **"ადრე, როცა სოფელში ბევრი ხალხი ცხოვრობდა, სოფელი თვითონ უვლიდა ამ საქმეს. ახლა ხალხი ცოტაა, შემოსავალი არაა და ვერ ვუვლით,"**- შემოგვჩივლა ბატონმა პავლემ.

რა გასაკვირია, სოფელს შემოსავალი რომ არ ჰქონდეს, მისი დარჩენილი მოსახლეობის უმეტესობა ხომ პენსიონერები არიან, რომლებიც თავიანთი მიზერული პენსიით მიწის, შუქისა და წყლის გადასახადს ვერ იხდიან. ამიტომ წლების განმავლობაში ვერ ივსება სოფლის საკრებულოს ბიუჯეტი, რომლის ძირითადი შემოსავალი მიწის გადასახადია.

"შარშან მიწის გადასახადის მხოლოდ 12 პროცენტის ამოღება შევძელით, წელს ალბათ ესეც არ გვექნება," - ამბობს საკრებულოს თავმჯდომარე. მას თანასოფლელების მსგავსად საზღვარგარეთ წასული შვილი ეხმარება და ყოველთვიურად საარსებო მინიმუმისთვის სამყოფ თანხას უგზავნის.

კითხვაზე, თვითონაც ხომ არ აპირებს აქაურობის მიტოვებას, სოფლის თავკაცი გულახდილად გვპასუხობს, რომ ჯერჯერობით უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობის იმედი არა აქვს და ალბათ ათი წლის შემდეგ, როდესაც დამოუკიდებლად ვეღარ შეძლებს თავის მოვლას, ისიც დატოვებს სოფელს.

P.S. უკეთესი მომავლის იმედად გვესახება საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული და დამკვიდრებული რამდენიმე ახალგაზრდა ოჯახი და ის ფაქტი, რომ ჩვენს სტუმრობამდე ორი კვირით ადრე, ჯერჯერობით, ერთადერთი ქართულ-ბერძნული შერეული ოჯახი შექმნილა და ორასკაციანი ქორწილიც გადაუხდიათ.

GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით პატარა ლიახვის ხეობის, სოფელ ერედვის კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ბერულას თემის განვითარების კომიტეტთან, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე ბერულას თემის განვითარების კომიტეტი იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, პატარა ლიახვის ხეობა,

ერედვის თემის' საკრებულოს შენობა.

საკონტაქტო პირი მურმან ქრისტესიაშვილი თემის განვითარების კომიტეტის თავჯდომარე.

2005 წლის 16 თებერვლიდან 17 მარტამდე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2700 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, პატარა ლიახვის ხეობა

ერედვის თემის საკრებულოს შენობა

საკონტაქტო პირი მურმან ქრისტესიაშვილი თემის განვითარების კომიტეტის თავჯდომარე

2005 წლის 17 მარტამდე 11 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **11:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით თიანეთის რაიონის სოფელ ტუშურების საშუალო სკოლის სპორტდარბაზის და გადასასვლელი გალერიის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სათემო კავშირ "ტუშურებთან", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ტუშურები" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თიანეთის რაიონი,

სოფელი ტუშურები, ტუშურების საშუალო სკოლის შენობა.

საკონტაქტო პირი ზვიად ბაგაშვილი სათემო კავშირი "ტუშურების" თავჯდომარე.

2005 წლის 15 თებერვლიდან 16 მარტამდე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1800 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თიანეთის რაიონი

სოფელი ტუშურები, ტუშურების საშუალო სკოლის შენობა.

საკონტაქტო პირი ზვიად ბაგაშვილი. სათემო კავშირი "ტუშურების" თავჯდომარე

2005 წლის 16 მარტამდე 11 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **11:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურა მოსამართლეს ღიად უპირისპირდება

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურატურა აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის გიორგი გიორგაძის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებს და ირწმუნება, რომ მოსამართლემ, ამჯერად უკვე მეორედ, პატიმრობიდან უკანონოდ გაათავისუფლა ადამიანის გატაცებაში ბრალდებულები - პარტიზანული დაჯგუფება "ტყის ძმების" ყოფილი წევრი, შემდეგ უკვე საკუთარი პარტიზანული დაჯგუფების მეთაური სლავიკ ბიგვავა და გენო ქულავა, მეტსახელად "კაბანი".

საქმე ის გახლავთ, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორი როლანდ ახალაია მოსამართლე გიორგი გიორგაძის გადაწყვეტილებას უკვე მეორედ აპროტესტებს, თუმცა, პირველი შემთხვევისგან განსხვავებით, საპროცესო კანონმდებლობა პროკურატურას არც სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას აძლევს და არც მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების. ერთი სიტყვით, რამდენიმე თვის წინ მძიმე ბრალდებებით დაკავებული სლავიკ ბიგვავა და გენო ქულავა თავისუფლები არიან.

აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება - სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული სლავიკ ბიგვავასა და გენო ქულავასთვის პატიმრობის შეცვლა პოლიციის ზედამხედველობით - პროკურატურისთვის მიუღებელი ჯერ კიდევ ექვსი თვის წინ აღმოჩნდა და სასამართლოს მიერ წინასწარი სამთვიანი პატიმრობიდან გათავისუფლებული სლავიკ ბიგვავა და გენო ქულავა უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა მაშინ ზუგდიდის საპყრობილის კარებთან, გათავისუფლებისთანავე დააკავეს და ორივე კვლავ წინასწარი დაკავების საკანში შეაბრუნეს. ხელმეორედ დაკავებულებს ადამიანის გატაცების ბრალდება წარუდგინეს. დაკავებულთა ადვოკატი აცხადებდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფების საპატიმროში შებრუნება შეკვეთა იყო, რომელსაც პროკურატურა ასრულებდა.

"სასამართლომ მიიღო აბსოლუტურად ობიექტური გადაწყვეტილება, რაც პროკურატურამ და უშიშროებამ, უფრო სწორად, დაინტერესებულმა პირებმა ინტერესების შელახვად მიიჩნიეს და გათავისუფლებულებს ახალი აბსურდული ბრალი წაუყენეს," - ასეთი გახლდათ მაშინ სლავიკ ბიგვავასა და გენო ქულავას ადვოკატის პოზიცია.

თუმცა, ინფორმაცია ზუგდიდელი ბიზნესმენის შალვა ფონიას გატაცების საქმესთან ბიგვავასა და ქულავას შესაძლო კავშირის შესახებ, მანამდეც არსებობდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ყოფილმა მძევალმა, გათავისუფლებისთანავე საკუთარი გატაცების ორგანიზატორებად სწორედ ბიგვავა და ქულავა დაასახელა. სწორედ ეს გახდა საპყრობილის კედლებთან სლავიკ ბიგვავასა და გენო ქულავას ხელახლა დაკავების მიზეზი. მაგრამ, როგორც ჩანს, წინასწარი სამთვიანი პატიმრობის პერიოდში, ფონიას გატაცებაში მონაწილობის დამადასტურებელი მტკიცებულებები გამოძიებამ ვერ მოიძია.

ამჯერად სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურა ბრალდებულებისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებას ითხოვდა, თუმცა მოსამართლემ ეს შუამდგომლობა არ გაიზიარა და საქმეში არსებული პროცესუალური დარღვევების მოტივით ორივე ბრალდებული გუშინწინ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. არადა, სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულ ბიგვავასა და ქულავასთან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგებზე სამართალდამცველები დიდ იმედებს ამყარებდნენ.

"წინსწარი მონაცემებით, ისინი განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები არიან და ერთიანდებიან იმ ჯგუფში, რომლის წევრებიც წლების განმავლობაში იმყოფებოდნენ აფხაზ სეპარატისტებთან დანაშაულებრივ ალიანსში. იტაცებდნენ ადამიანებს, თავს ესხმოდნენ მოქალაქეთა საცხოვრებელ სახლებს, ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, მისდევდნენ რეკეტს, გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები გადაჰყავდათ ქართველების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, აფხაზეთის კრიმინალური სამყაროს ხელშეწყობით ეწეოდნენ აღურიცხავი ტვირთების გადაზიდვებს, მათ მოძრაობაზე აწესებდნენ კონტროლს, მონაწილეობდნენ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასა და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებში," - ასეთ კომენტარებს აკეთებდნენ სამართალდამცველები ბიგვავასა და ქულავას დაკავებისას. ერთი სიტყვით, მათი ვარაუდი, რომ ბიგვავასა და ქულავას მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულებიც გამოიკვეთებოდა და მათ საქმეში სხვა დანაშაულებრივი ეპიზოდებიც გაერთიანდებოდა, არ გამართლდა. მოსამართლემ ისინი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

24 საათი

საქართველოს ხელისუფლებას ტრეფიკინგთან ბრძოლის გეგმა მზად აქვს

საქართველოს ხელისუფლება თადარიგს იჭერს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შესახებ მოხსენებისთვის, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველწლიურად აქვეყნებს. მოხსენების გამოქვეყნება, როგორც წესი, სწორედ თებერვალში ხდება და საქართველოს ხელისუფლებამაც ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ამერიკის ხელისუფლებამ საქართველო რომელიმე არაპრესტიჟულ "კალათაში" არ გაამწესოს, როგორც ეს ორი წლის წინ მოხდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება ტრეფიკინგთან ანუ ადამიანით ვაჭრობასთან არაჯეროვნად მებრძოლ ქვეყნებს ეგრეთ წოდებულ მესამე კალათაში ამწესებს და მათ დახმარებას უწყვეტს. ასეთი საშიშროების წინაშე საქართველო ერთხელ უკვე იდგა, მაგრამ რიგი საკანონმდებლო ნაბიჯების გადადგმის, ანუ სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინგის დანაშაულის კვალიფიცირებით ეს საშიშროება აცილებულ იქნა. თუმცა, კანონს აღსრულება ჭირდება, ტრეფიკერთა დასჯის თვალსაზრისით კი ჩვენს ქვეყანას ბევრი სატრაბახო არაფერი აქვს. სამაგიეროდ, უკვე მზად არის 2005-2006 წლებზე გათვლილი, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა და უშიშროების საბჭოსთან შექმნილია ადამიანის ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი უწყებათაშორისი კომისია. გეგმაცა და კომისიის დებულებაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებითაა დამტკიცებული და ახლა ჯერი კონკრეტული ღონისძიებების გატარებაზე მიდგა.

გუშინ სასტუმრო "მარიოტში" გეგმის პრეზენტაცია მოეწყო. უნდა აღინიშნოს, რომ გეგმაში საკმაოდ კონკრეტულად არის გათვალისწინებული ყველა ის აუცილებლობა, რომელმაც ტრეფიკინგთან ბრძოლა ეფექტური უნდა გახადოს და ამასთან თითოეული ღონისძიების აღმსრულებელი და აღსრულების ვადაც დეტალურად არის გაწერილი, რაც არც თუ უმნიშვნელო ფაქტორია საქართველოს რეალობის გათვალისწინებით.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

რიჩარდ მაილსი გეგმის მოსმენისას.

ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა, ანუ შრომითი მიგრაციის საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება; ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, არსებული ხარვეზების სრულყოფა, ამ საკითხებთან მიმართებაში საზოგადოებრივი განათლებისა და ინფორმირებულობის ამაღლება; არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემის მასშტაბების შეფასება; ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია; ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი - ასეთი გახლავთ ზოგადი ჩამონათვალი იმ ღონისძიებებისა, რომელიც წარმოდგენილ გეგმაში დეტალურად არის გაწერილი და, რომელთა შესრულებაც ნაწილობრივ უკვე დაწყებულიც კი უნდა იყოს.

24 საათი

დააკავეს შეიარაღებული ჯგუფი

გუშინწინ, გვიან ღამით, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ავტომანქანის გატაცების ფაქტზე შეიარაღებული ჯგუფის წევრები დააკავეს. სამი დღის წინ, გორის ცენტრიდან გატაცებული ავტომანქანა გამტაცებლებს გორის რაიონის ერთ-ერთ მიტოვებულ სოფელში, ნადარბაზევში, ტბასტან ჰქონდათ გადამალული. სამართალდამცველებმა ისინი იმ დროს დააკავეს, როცა გამტაცებლები გატაცებული ავტომანქანის გადაადგილებას ცდილობდნენ.

"გვქონდა ინფორმაცია, რომ გატაცებული ავტომანქანა ტბასთან იყო გადამალული. ოპერატიული ჯგუფი ადგილზე გავიდა და გამტაცებლებს ჩაუსაფრდა. ისინი მართლაც გამოჩნდნენ. ხუთნი იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, სამართალდამცველებმა მხოლოდ სამის დაკავება შეძლეს. ორმა მათგანმა გაქცევა და მიმალვა მოახერხა, მათი ვინაობა ამჟამად დგინდება", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალეკო სუხიტაშვილმა.

ალეკო სუხიტაშვილის ინფორმაციითვე, დაკავებულთაგან ერთ-ერთს - ზაზა უნდილაშვილს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ყაჩაღობისთვის უკვე მოხდილი აქვს სასჯელი.

"რამდენიმე წლის წინ გორის რაიონის სოფელ სკრაში საზარელი ყაჩაღობა მოხდა. ოჯახის ერთ-ერთი წევრი თავდამსხმელებმა ცხელი უთოთი აწამეს, რასაც დაზარალებულმა ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. ზაზა უნდილაშვილი სწორედ ამ ყაჩაღური თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე იყო. ამ დანაშაულისთვის ყაჩაღობის მუხლით უკვე მოხდილი აქვს სასჯელი," - აცხადებს ალეკო სუხიტაშვილი.

გორის რაიონის სოფელ ნადარბაზევის ტბასთან დაკავებული გამტაცებლებისგან სამართალდამცველებმა "კარაბინი", გადაჭრილი სანადირო თოფი, ნიღბები და თოკები ამოიღეს.

ზაზა უნდილაშვილის მსგავსად, ბრალდებას მასთან ერთად დაკავებულებს: ზაზა თანდილაშვილსა და თემურ კულუმბეგაშვილს წარუდგენენ. პროკურატურამ მათთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით მართლმსაჯულებას უკვე მიმართა.

24 საათი

მოკლედ

კერძო მეწარმე დაცვის სამსახურს უჩივის

ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე მაღაზია T-STILE-ს მფლობელი თინათინ გოგაძე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს რაიონის დაცვის პოლიციის სამმართველოს საკუთარი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაში ადანაშაულებს.

თინათინ გოგაძის განცხადებით, მან ობიექტის მაქსიმალურად დაცვის მიზნით ხელშეკრულება სახელმწიფო დაცვის სამსახურთან გააფორმა. შეთანხმების თანახმად, ობიექტის გაქურდვის შემთხვევაში, დაცვის სამსახურის მიზეზით (უმოქმედობით, გულგრილობით, არაკანონიერი ქმედებით) მიყენებული ზარალი დაცვის პოლიციის სამმართველოს უნდა აენაზღაურებინა. გოგაძის თქმით, 2004 წლის 31 დეკემბერს მაღაზია T-STILE გაიქურდა. ქურდებმა მაღაზიაში შენობის გვერდითა კედლის გამონგრევით შეაღწიეს. მისივე განმარტებით, ინციდენტის დროს ვაკე-საბურთალოს რაიონის დაცვის პოლიციამ ე.წ. "განგაშის სიგნალი" სამჯერ მიიღო. "ადგილზე მისულმა დაცვის თანამშრომლებმა მაღაზია სათანადოდ არ დაათვალიერეს და გამოტეხილი კედელიც კი ვერ შეამჩნიეს. ქურდობა ვერც ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა და საპატრულო პოლიციის მუშაკებმა აღკვეთეს," - აცხადებს გოგაძე. მისივე თქმით, ქურდობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე ჭიანურდება, დაცვის სამსახურს, ჯერჯერობით, ზარალი არ აუნაზღაურებია, რაც სამეწარმეო საქმიანობის გაგრძელებას შეუძლებელს ხდის. მაღაზიის მფლობელი დაცვის სამსახურისგან ზარალის დაუყოვნებლივ ანაზღაურებას მოითხოვს.

ვაკე-საბურთალოს რაიონის დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსის მამუკა მაისურაძის განცხადებით, დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, სამსახურიდან უკვე გათავისუფლდა დაცვის პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი. მისივე თქმით, დაცვის პოლიციის სამმართველო, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, გამოძიების მიერ დადგენილ ზარალს საქმის სასამართლოში განხილვის შემდეგ უსათუოდ აანაზღაურებს. **ინტერ-პრესი**

ნოდარ ჯავახიშვილის სასამართლო პროცესი იწყება

გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლო ოთხშაბათს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის, ნოდარ ჯავახიშვილის საქმის არსებით განხილვას იწყებს. საქმე ეხება ოთხი წლის წინ ჯავახიშვილის მიერ გლდანში მომხდარ ავტოავარიას, რომელსაც საქართველოს მოქალაქის, ეროვნებით გერმანელი ალბერტ ფელენგერის სიცოცხლე ემსხვერპლა. ჯავახიშვილი აღნიშნული ავტოავარიის ბრალდებით გასული წლის აგვისტოში დააკავეს და ის 6 თვის განმავლობაში იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში. ორი კვირის წინ მას აღმკვეთი ღონისძიება არასაპატიმრო სანქციით შეუცვალეს.

ნოდარ ჯავახიშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს, რომ არც მისი ექვსთვიან წინასწარ პატიმრობაში ყოფნა იყო აუცილებელი, რადგან იგი გამოძიებას ოთხი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ დამალვია და საქმის შეჩერებამდე ყველა ჩვენება ჰქონდა მიცემული.

ჯავახიშვილი იმედოვნებს, რომ პროცესზე საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას შეძლებს. მოქმედი კანონის შესაბამისად, ავტოავარია, რომელიც სასიკვდილო შედეგით სრულდება, ბრალდებულისთვის 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **პრაიმ-ნიუსი**

რუსთავის ციხის რეკონსტრუქცია დღეს დაიწყება

ევროკავშირის დაფინანსებით რუსთავში იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 საპყრობილის სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყება. საქართველოში ევროკომისიის ოფისის პრეს-სამსახურის განცხადებით, სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე ზედამხედველობას გაერო-ს განვითარების პროგრამა განახორციელებს, რომელმაც თავის დროზე ტენდერი ჩაატარა და საუკეთესო სამშენებლო კომპანიაც გამოავლინა.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყების ცერემონიალს დღეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი პაპუაშვილი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ტორბენ ჰოლცე და გაერო-ს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ლანს კლარკი დაესწრებიან. წინასწარი მონაცემებით, N6 საპყრობილის რეკონსტრუქცია 6-თვეში უნდა დასრულდეს. **ინტერ-პრესი**

ელენე თევდორაძე მინისტრებით უკმაყოფილოა

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე მინისტრებთან დაკავშირებით გარკვეულ შენიშვნებს გამოთქვამს. მისი განცხადებით, მას და მის კოლეგებს მინისტრებთან დაკავშირება უჭირთ. "სამწუხაროდ, როდესაც ჩვენს კომიტეტში შემოდის შეკითხვები და მასზე პასუხი მინისტრებისგან უნდა მივიღოთ, ისინი ხშირად ამას უგულებელყოფენ, მათთან დაკავშირება კი თითქმის შეუძლებელია. ზოგჯერ ოფიციალურად გაგზავნილ შეკითხვებსაც არ პასუხობენ. ამის გამო ჩვენც გვიჭირს მოქალაქეების პრობლემებზე რეაგირება," - აღნიშნა ელენე თევდორაძემ. იგი იმედოვნებს, რომ მინისტრთა ახალი კაბინეტის წევრები ამ შეცდომას გამოასწორებენ. **მედიანიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. ფინანსურმა პოლიციამ დედაქალაქის გაზგამანაწილებელი კომპანია "თბილგაზის" თანამშრომლებზე სისხლის სამართლის საქმეები აღძრა. ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებით, ფინანსური პოლიციის ოპერატიულ-ანალიტიკურ სამმართველოში საქმეები "თბილგაზის" ყოფილი თანამშრომლების - ავთანდილ ქურიძის, გოჩა ჯორბენაძის და გიორგი ბარქაიას მიმართ აღიძრა, რომლებმაც აბონენტებისგან ამოღებული გაზის გადასახადი, დაახლოებით 5 ათასი ლარი მიითვისეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს სოფელ ჭალადიდში მცხოვრები, 56 წლის ვლადიმერ ალექსანდრენკო, რომლის სახლიდანაც ამოიღეს 24,8 კილოგრამი სარაკეტო-საზენიტო დენთი. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შს სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტისა და თბილისის ვაკე-საბურთალოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ 7 თებერვალს იარაღის უკანონოდ ტარებისთვის დაკავებული დავით ზურაბიანი და 9 თებერვალს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისთვის დაკავებული კალისტრატე ჯოჯუა ამჟამად მიმალვაში მყოფ, სამტრედიაში მცხოვრებ ნუგზარ თევზაძესთან და ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად 2004 წლის 28 დეკემბერს თავს დაესხნენ თბილისში, N1 სამგზავრო ავტობუსების პარკში განთავსებულ სალაროს და გაიტაცეს 2670 ლარი. 2005 წლის 1 თებერვალს იგივე პირები თავს დაესხნენ იმავე სალაროს და მოლარეს 3003 ლარი გასტაცეს, რაზეც დაზარალებულს პოლიციისთვის არ მიუმართავს. გრძელდება ოპერატიული ღონისძიებები მიმალვაში მყოფ ნუგზარ თევზაძის და ჯგუფის სხვა წევრების დადგენა-დაკავების მიზნით. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გორის შს სამმართველოს სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა სოფელ ერგნეთთან დააკავეს ავტომანქანა "ოპელ-ვექტრა" ე. წ. სამხრეთ ოსეთის სანომრე ნიშნებით. მანქანა ეკუთვნოდა შიდა ქართლის შს სამხარეო მთავარ სამმართველოს და წლის 17 იანვარს დაუდგენელმა პირმა სოფელ ტინისხიდიდან მოიპარა. დაკავების დროს ავტომანქანაში იმყოფებოდნენ ცხინვალში მცხოვრები 29 წლის რუსლან ხუგაევი და 27 წლის სერგო არსოევი. **მედიანიუსი**

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____

____

____

____

____

____

____

____

____

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი...

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ....

საკონტაქტო ტელეფონი..

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ძირითადი ასპექტები

ლევან ბოძაშვილი

მიმოხილვა

ზოგადად, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ესპ) ძირითადი დანიშნულებაა 2004 წელს ევროკავშირის გაფართოების შედეგად მიღწეულ წარმატებათა მეზობელ ქვეყნებთან გაზიარება სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად (ეს მეზობელი 14 ქვეყანაა: საქართველო, ალჟირი, აზერბაიჯანი, ეგვიპტე, ბელორუსი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, იორდანია, ლიბანი, მაროკო, ლიბია, ტუნისი, ისრაელი და პალესტინის ხელისუფლება). ესპ-ს მიზანია, ხელი შეუშალოს გაფართოებულ ევროპასა და მეზობელ სახელმწიფოთა შორის დამაშორებელი, გამყოფი პირობების წარმოშობას და შესთავაზოს მათ, მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის სხვადასხვა ღონისძიებებში, უფრო ფართო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის ფარგლებში; ამ პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ასევე წარმოადგენს სამეზობლო სივრცეში უსაფრთხოების მშენებლობა და განმტკიცება. ჩამოთვლილ ქვეყნებთან შემუშავდება კონკრეტული სამოქმედო გეგმები. ასეთი გეგმები შემუშავებულია ამ ქვეყნების უმრავლესობასთან, თუმცა შემუშავების პროცესშია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სამოქმედო გეგმები და ჯერ კიდევ ესპ-ს ფარგლებს გარეთ იმყოფებიან ბელორუსი, ლიბია და სამხრეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები, მათ მიერ მინიმალური პირობების დაკმაყოფილებამდე. ამ პირობების დაკმაყოფილების აღწერილობა მოცემულია გეგმის შედგენამდე მიღებულ თითოეული ქვეყნის მოხსენებაში. ასეთი მოხსენებები აღნიშნული ქვეყნების უმრავლესობაზე 2004 წლის განმავლობაში მომზადდა და 2005 წლის მარტში მზად იქნება საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან მიმართებაშიც.

ესპ უნდა განვასხვაოთ პოტენციური წევრობის ან რაიმე სტატუსით წევრობის კანდიდატობისაგან. ის გვთავაზობს სხვა ქვეყნებთან შედარებით პრივილეგირებულ ურთიერთობას, რომელიც უნდა ემყარებოდეს ორმხრივ მოწოდებას კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის, საბაზრო ეკონომიკისა და შეუქცევადი განვითარების საერთო ღირებულებების დაცვისაკენ. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის ურთიერთობის ხარისხი ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებთან განვითარდება ზუსტად ამ ღირებულებათა მიმართ თითოეული მათგანის დამოკიდებულების პროპორციულად.

ამ მიმართებით გამოვყოფდი რამდენიმე ძირითად ასპექტს, რომლებიც უფრო პოლიტიკური ხასიათისაა და უნდა განვიხილოთ, როგორც ევროკავშირის განვითარებისა და მასთან ურთიერთობის, ასევე რეგიონის თანამედროვე გეოპოლიტიკური ტენდენციების საერთო ჭრილში.

ინტეგრაცია თუ გაფართოება?

ესპ-ს არსებობა, თავისთავად, ადასტურებს, რომ ეს ორი ცნება შეუთავსებელი სულაც არ არის. პირიქით, ესპ აღრმავებს ინტეგრაციის შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ევროკავშირის მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს. გულისხმობს თუ არა ეს ტერმინი (ესპ) "ფართო ევროპას", დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პოზიციას დაიკავებს გაფართოებული ევროკავშირი თურქეთის, რომელმაც უკვე დაამთავრა თავისი "მეზობლობა" ევროკავშირთან, რუმინეთისა და ბულგარეთის, რომლებმაც უკვე მიერთების წინა მოლაპარაკებები დაიწყეს, და მაკედონიის მიმართ, რომელიც მსგავს მოლაპარაკებებს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან შეუდგება. ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს საკითხები მიდგომითაც განსხვავდება: კერძოდ, თუ ახლო საზღვარგარეთი - ახლო სამეზობლო რუსეთი (რომელმაც განაცხადა, რომ ევროკავშირისკენ სვლა არ წარმოადგენს მის პრიორიტეტს), უკრაინა, მოლდოვა, ბელორუსი, ბალკანეთი და ამიერკავკასიაა, ხმელთაშუაზღვისა და ჩრდილო აფრიკის მომიჯნავე ქვეყნები შორეულ საზღვარგარეთს - შორეულ სამეზობლოს წარმოადგენს და ინტერესთა სფეროს მეორე ეშელონს განეკუთვნება (ბუნებრივია, გეოპოლიტიკურ მეზობლობაზეა საუბარი). ისრაელი სადღაც ამ ყველაფრის შუაშია, თუმცა რომც დავუშვათ, ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი საშუალებას მისცემს რომელიმე სახელმწიფოს, ევროკავშირს რომ თავი დავანებოთ, პალესტინის მიმართ მის პოლიტიკაზე ზემოქმედება იქონიოს.

ზემოთქმულის მიუხედავად, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ესპ-ს წარმოშობის საფუძველი არა შესაძლო, პოტენციურ ან მომავალ წევრთა სელექცია და განვითარება იყო, არამედ იმ პოლიტიკურ, სოციალურ თუ უსაფრთხოების ასპექტთა პაკეტი, რომელიც ესპ-მ მოიცვა. ამ პროცესის წინაპირობები უნდა ვეძიოთ იუგოსლავიის დაშლასა და ევროპის კონტინენტზე მიმდინარე პროცესებს შორის, რომლებმაც "ევროპის მმართველებს" უშუალო სამეზობლოში კრიზისების მართვის სისუსტეზე მიუთითა. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მთავარ კომპონენტს უსაფრთხოება წარმოადგენს: უკანონო ემიგრაცია, ორგანიზებული დანაშაული, ტრეფიკინგი, არაკონტროლირებადი იარაღის გავრცელება. აქვე უნდა აღვნიშნოთ შედარებით შორს მიმავალი გათვლაც - ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ამ სტრატეგიის უსაფრთხოების საფუძველთა საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ ევროკავშირის უშუალო საზღვრებთან არ წარმოებდეს ომი ან მისი უშუალო მეზობლები არ ეომებოდნენ ერთმანეთს, რომ გათვალისწინებულ მეგობარ-მეზობელთა წრე არ წარმოშობს საფრთხეს კავშირისათვის ანუ ყველაფერი დემოკრატიული მშვიდობისა და თანაარსებობის თეორიას ემყარება.

გაწევრიანების პერსპექტივა

ევროკავშირის წამყვან წევრებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ გაწევრიანების შესაძლებელი პერსპექტივა წინაპირობაა მათ მიერ მეზობელი ქვეყნების წინაშე დასმული პირობების შესრულებისა. საერთო ოჯახში ინტეგრაცია აპრიორი გულისხმობს ეროვნულ საზოგადოებათა შიდა ინტეგრაციას და ყოველგვარი გაუცხოების წაშლას ეთნიკურ თუ რელიგიურ, ან თუნდაც სხვა ტიპის უმცირესობათა შორის. ამგვარი პოტენციური დანიშნულებითაა აღჭურვილი ესპ, რომლის მიზანსაც ასევე წარმოადგენს უნდობლობის ფაქტორის აღმოფხვრა მეზობლებთან ურთიერთობაში. თურქეთის მაგალითი ამ შემთხვევაში საუკეთესოა.

ევროკავშირისკენ თურქეთის ხანგრძლივი და მიზანმიმართული სვლის (მაგ. ეროვნული კანონმდებლობის ლიბერალიზაცია და ჰარმონიზაცია) უარყოფა იქნებოდა ცუდი მაგალითი რეგიონის სხვა მეზობლებისთვისაც, რომლებიც ესპ-ს ფარგლებში თანამშრომლობის აქტივირებით იმედოვნებენ ევროკავშირთან უფრო დაახლოებას, თვით გაწევრიანების ჩათვლით.

ბუნებრივია, ეს სახელმწიფოები წავლენ (და უნდა წავიდნენ) კომპრომისებზე (მათ შორის, მმართველი ელიტების სტატუს კვოს ხარჯზეც) საბოლოო შედეგისა და ევროკავშირის მხრიდან დანაპირებთა შესრულების იმედად.

სიტუაცია უფრო ნათელი რომ გახდეს, მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული "მეზობლის" მდგომარეობა ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რათა საქართველოს პერსპექტივის კარგად წარმოდგენა შევძლოთ.

თურქეთის - მნიშვნელოვანი, მაგრამ თავნება და ერაყის მოსაზღვრე მოკავშირის - გაწევრიანება დღის წესრიგშია, თუმცა გარკვეული პერიოდის გასვლის და სერიოზული პირობების (მაგ. კვიპროსისა და ქურთთა საკითხები, მიგრაცია, წამება და გენდერული თანასწორობა) შესრულების ფასად. უკრაინას, რომელიც ნაკლებ მნიშვნელოვანი, მაგრამ შედარებით სტაბილურია, მით უმეტეს, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ, არც უარს ეუბნებიან და არც თანხმობას. ყველაზე პერსპექტიულად ისევ ხორვატიის, რუმინეთისა და ბულგარეთის წევრობა ჩანს. ბოსნიის, მაკედონიის, სერბიისა და მონტენეგროს საკითხიც ჰაერშია გამოკიდებული, სახელმწიფოებრივი განვითარების სისუსტის გამო. იუგოსლავიას ჯერჯერობით წევრობას არავინ დაჰპირებია - აქ კავშირს სამეზობლო პოლიტიკაც კი არ აქვს და მხოლოდ უსაფრთხოებით შემოიფარგლება.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის გაწევრიანება ევროკავშირისთვის სხვადასხვა პრობლემებს წარმოშობს. მათგან უმთავრესი რუსეთთან პრობლემატური ურთიერთობაა, გამომდინარე რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებათა იმპერატიული (აჩემებულიც კი) გეოსტრატეგიულობისგან. თუმცა, სახელმწიფო და დემოკრატიული ინსტიტუტების სუსტი განვითარების ფონზე ამის გარეშეც ნაკლებ რეალური იქნებოდა ამ სამი რესპუბლიკის გაწევრიანება უახლოესი ათწლეულის განმავლობაში. საქართველოს, თუ სამი რესპუბლიკის შანსების შედარების გზით წავალთ, უფრო მეტი პერსპექტივა აქვს, თუნდაც მის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტური ზონების შიდასახელმწიფოებრივი ხასიათის გამო, განსხვავებით ყარაბაღისგან, რომელიც სახელმწიფოთშორისი კონფლიქტია და ერთიანი კავკასიური ენერგეტიკული სივრცის შექმნის გზაზე ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს.

ამ ეტაპზე ევროკავშირს ნაკლებად აქვს აქტუალური გეოსტრატეგიული მიდგომა სამეზობლო სივრცისადმი (გამონაკლისი შეიძლება იყოს ტრადიციული გავლენის რეგიონები ხმელთაშუაზღვის აუზში). პირიქით, ყურადღება გადატანილია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა არალეგალური მიგრაცია და მიგრანტთა სოციალური ინტეგრაცია, ენერგეტიკული საკითხები და ასე შემდეგ. ეს, ბუნებრივია, ერთ-ერთი ფაქტორია, რაც ევროკავშირს მიმზიდველს ხდის. შესაბამისად, დემოკრატიზაციის პროგრამები, კონფლიქტთა მოგვარებასა და მართვაში დახმარება, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის სოციალური თავსებადობის უზრუნველყოფა და მრავალი სხვა, ამავე დროს, საშუალებებია კავშირისკენ მეზობლების გაცხოველებული სწრაფვის დაშოშმინება-განეიტრალებისა.

ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტის გარეშე, როგორიც ენერგეტიკაა, ესპ-ს განხილვა არამართებული იქნებოდა.

ენერგეტიკა

ევროკომისიის მონაცემებით, უახლოესი 20-30 წლის შემდეგ, ევროპის ენერგეტიკული რესურსების 70 პროცენტი იმპორტირებული იქნება.

თურქეთზე, როგორც ენერგო-გამტარზე, აქცენტის გაკეთება ბუნებრივად რუსეთის გაღიზიანებას იწვევს. სწორედ ამიტომ, თურქეთის სტაბილურობის უზრუნველყოფა უმთავრესი ამოცანაა, რის გარანტირებულად მიღწევაც მხოლოდ სრული გაწევრიანებით შეიძლება.

ამდენად, ის პოლიტიკა, რომელსაც ევროკავშირი თურქეთის გაწევრიანებასთან მიმართებაში ატარებს, "იჩქარე ნელა"-ს კლასიკური მაგალითია. ამ პირობებში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მნიშვნელობაზე აღარ შევჩერდები, მისი მნიშვნელობა ევროკავშირთან და რუსეთთანაც კი, ურთიერთობის განვითარების მხრივ, განუზომელია.

ბუნებრივად ჩნდება ამიერკავკასიის სტაბილურობისა და უსაფრთხოების საჭიროება.

დაბოლოს, ევროპისათვის ევროკავშირის (მოყოლებული დასავლეთ ევროპული კავშირიდან) არსებითი, საწყისი მისია უსაფრთხოებისა და მშვიდობის უზრუნველყოფისა, გარდაიქმნა ეკონომიკური კეთილდღეობის მისიად, რომელიც განვითარების ამ ეტაპზე შიდაკავშირისეული პოლიტიკის ყველა ასპექტში დომინირებს. ამას ვერ ვიტყვით ევროპის სამეზობლო პოლიტიკაზე, რომელიც პირიქით, ორიენტირებულია მეზობელ ქვეყნებში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

სწორედ აქ, ამ პოლიტიკით, ევროკავშირი უბრუნდება თავის პირვანდელ მისიას და ამაში არაბუნებრივი არაფერია. მისი საგარეო პოლიტიკაც, რომლის ნაწილიც სამეზობლო პოლიტიკაა, ორიენტირებულია იმ მეთოდოლოგიაზე, რითაც მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და, ამავე დროს, მისი შენარჩუნებაა შესაძლებელი. ეს გზა ევროპამ უკვე გამოიარა. გასავლელი გვაქვს ჩვენც, და ამ გზაზე უმთავრესი არა მხოლოდ ევროპისკენ სწრაფვა, არამედ ღირებულებათა რეალური დამკვიდრებაა.

სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ ჰყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ____________ თარიღი ____________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

დეტალები „გრემიდან„

B2

"დინამო" ზესტაფონში თასს დაშორდა

B6

მუზეუმი სახელოვან პოლიტიკოსს

B8

აუცილებელია დამოუკიდებელი, კორუფციისაგან თავისუფალი სასამართლო

ეკა კვესიტაძე

სტივენ სესტანოვიჩი - კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, ყოფილი საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სპეციალისტი, კლინტონის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნის სპეციალური მრჩეველი - "საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის" მიერ მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო სტუმარი იყო.
გთავაზობთ ინტერვიუს სტივენ სესტანოვიჩთან.

- კონფერენციაზე გამოსვლის დროს აღნიშნეთ, რომ ტერმინი "პოსტ-სოციალისტური რესპუბლიკები" აღარ უნდა არსებობდეს და უკვე დროა, რომ დასავლეთი ამ ქვეყნებს სხვაგვარად მოიხსენიებდეს.

- იმ ქვეყნებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ, რა თქმა უნდა, ბევრი საერთო მახასიათებელი აქვთ, თუმცა თუ ჩვენ მათზე, როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე, ისე ვიფიქრებთ, მაშინ მათ მიმართ მიდგომები ისევ უცვლელი დარჩება და ახალი ტიპის ურთიერთობების დაწყება გაძნელდება.

გარდა ამისა, მათი, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მოხსენიება, საბჭოთა კავშირის უხილავ არსებობას უწყობს ხელს. მაშინ, როდესაც ეს ქვეყნები ბევრ რამეს აკეთებენ იმისათვის, რომ საბჭოთა მემკვიდრეობას თავი როგორმე დააღწიონ.

ეს განსაკუთრებით საქართველოსა და უკრაინის მაგალითზე შეიძლება ითქვას.

- მიუხედავად საერთო მახასიათებლებისა, რომელიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ჰქონდათ, როგორ ფიქრობთ, რა გახდა იმის მიზეზი, რომ ზოგიერთმა მათგანმა, როგორებიც არიან, მაგალითად, ბალტიის ქვეყნები, წარმატებას მიაღწიეს, ბევრი კი დღემდე არშემდგარი ქვეყნის სტატუსით სარგებლობს?

- მათ წარმატებაში ძალიან ბევრმა ფაქტორმა ითამაშა როლი, მაგრამ მე განსაკუთრებით ერთს გამოვყოფდი.

ყველაზე მნიშვნელოვანი და გარდამტეხი ეტაპი ამ ქვეყნების ცხოვრებაში დადგა მაშინ, როდესაც მთელმა საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ ძველი ცხოვრების წესი უიმედო იყო და ახალი ცხოვრება უნდა დაეწყოთ, ახალი ათვლის წერტილი უნდა მოეძებნათ, რომ სწრაფი პროგრესი აუცილებელი იყო ძველი სისტემისაგან თავის დასაღწევად. ეს იყო საერთო, ეროვნული კონსესუსი ქვეყნის მომავალზე.

ეს კონსესუსი ყველაზე ადრე ბალტიის ქვეყნებში დადგა, შემდეგ ის ვარდების რევოლუციის სულისჩამდგმელი გახდა საქართველოში, სულ ახლახან კი იგივე ეროვნული კონსესუსი გახდა უკრაინის რევოლუციის მამოძრავებელი ძალა.

ქვეყანამ, რომელიც კუჩმას მმართველობის ქვეშ წლების განმავლობაში იმყოფებოდა, გააცნობიერა, რომ სხვა რამ, აბოლუტურად გასხვავებული მმართველობა სჭირდებოდა. ხოლო მანამ, სანამ ძველი მეთოდების, ძველი მმართველობის წინააღმდეგ არ იქნებოდა რადიკალური შეტევა, მანამდე ეს ცვლილებები არ მოხდებოდა.

ამ კონსესუსის გამოსავლენად ყველაზე მნიშვნელოვანი დრო და მომენტი არჩევნებია. ის, რამაც საქართველოშიც და უკრაინაშიც ხალხის გალიზიანება და ამავე დროს გაერთიანება გამოიწვია, იყო ხელისუფლების გადაწყვეტილება - გაეყალბებინა არჩევნები და ხალხის ნება უგულებელყო.

ეს არის ის გამოცდილება, რომელიც სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ლიდერებმაც უნდა გაითვალისწინონ, მაშინ როდესაც არჩევნების გაყალბებაზე დაფიქრდებიან.

- როგორ ფიქრობთ, პოსტ-საბჭოთა სივრცეში დაწყებული დემოკრატიზაციის ეს მეორე ტალღა საქართველოსა და უკრაინის შემდეგ რომელ ქვეყანას მიადგება.

- დღეს შეუძლებელია, რომელიმე კონკრეტული ქვეყანა დაასახელო და თქვა, რომ იქ უკრაინისა და საქართველოს მსგავსი მოვლენები განვითარდება. გადამწყვეტი მომენტი დადგება იქ და მაშინ, სადაც არჩევნები გაყალბდება და სადაც მოინახება ძლიერი კოალიცია, რომელიც ხელისუფლებას დაუპირისპირდება და არ მიცემს უფლებას, ხალხის ხმები მოიპაროს.

არჩევნები ბევრ ქვეყანაში ახლოვდება, მაგალითად, ოქტომბერ-ნოემბრისთვის დაგეგმილია საპარლამენტო არჩევნები აზერბაიჯანში, სადაც, წინა არჩევნების დროს, მიუხედავად ოპოზიციის სისუსტისა, წინააღმდეგობის სურვილი და პროტესტი მაინც გაჩნდა ხელისუფლების მიმართ.

- რაც შეეხება რუსეთს?

- რუსეთში არჩევნებამდე რამდენიმე წელი დარჩა, მაგრამ მალე იქნება ადგილობრივი არჩევნები, მიუხედავად იმისა, რომ პუტინის მთავრობას უნდა, რეგიონული არჩევნების პროცესი შეაჩეროს. საინტერესოა, მოხვდება თუ არა ადგილობრივი არჩევნები ოპოზიციური პარტიების ინტერესების სფეროში. გახდება თუ არა ის მათი აქტიურობის გაზრდის და წარმატებული წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების მიზეზი.

დემოკრატიამ პიკს რუსეთში 90-იანი წლების დასაწყისში მიაღწია, თუნდაც ხუთი წლის წინ იქ უფრო მეტი პოლიტიკური პლურალიზმი იყო, ვიდრე ეს ახლა არის. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ეს პროცესები ისევ არ დაბრუნდება რუსეთში.



დემოკრატიამ პიკს რუსეთში 90-იანი წლების დასაწყისში მიაღწია, თუნდაც ხუთი წლის წინ იქ უფრო მეტი პოლიტიკური პლურალიზმი იყო, ვიდრე ეს ახლა არის. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ეს პროცესები ისევ არ დაბრუნდება რუსეთში.

ბუნებრივია, რომ დემოკრატიულ ექსპერიმენტს საქართველოსა და უკრაინაში პრობლემები შეექმნება, მაგრამ ახლა იმის მეტი შანსია, რომ ახალი ხელისუფლება ამ პრობლემებს უფრო ეფექტურად გაუმკლავდება, ვიდრე მათი წინამორბედები.

მედიის შეზღუდვა ყოველთვის, ყოველთვის ძალიან ცუდი იდეაა და ძალიან ცუდად უბრუნდება ხოლმე იმ ხელისუფლებას, ვინც ამას ცდილობს.

- ხშირად პოსტ-საბჭოთა და არა მხოლოდ პოსტ-საბჭოთა ლიდერები აცხადებენ, რომ როდესაც ქვეყანა მწვავე პრობლემების წინაშე დგას, მას არ აქვს ფუფუნება, დემოკრატია ჰქონდეს, რადგან პრობლემების გადასაჭრელად ძლიერი, ერთპიროვნული მმართველობაა საჭირო.

- წარსულში ბევრი რამ მოხდა ისეთი, რამაც ამ იდეის თუ მოსაზრების არასწორობა დაადასტურა. ავტორიტარიზმი ქვეყანას ასუსტებს და აბსოლუტურად არაეფექტურს ხდის პრობლემების გადაჭრის დროს.

როგორც თქვენმა პრეზიდენტმა აღნიშნა, საქართველოში დაიწყო არაპოპულარული რეფორმების გატარება, მაგრამ ამას არ მოჰყოლია დიდი წინააღმდეგობა მოსახლეობის მხრიდან. რადგან თქვენ გყავთ ლეგიტიმური მთავრობა, რომელმაც შეძლო, აეხსნა მოსახლეობისთვის ამ რეფორმების აუცილებლობა.

იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლება დიდი ლეგიტიმურობით არ სარგებლობს, ასეთი ტიპის რეფორმებს სახალხო მღელვარება მოსდევს ხოლმე.

ბუნებრივია, რომ დემოკრატიულ ექსპერიმენტს საქართველოსა და უკრაინაში პრობლემები შეექმნება, მაგრამ ახლა იმის მეტი შანსია, რომ ახალი ხელისუფლება ამ პრობლემებს უფრო ეფექტურად გაუმკლავდება, ვიდრე მათი წინამორბედები.

- თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ვარდების რევოლუცია დემოკრატიის გზაზე გაკეთებული უზარმაზარი ნახტომი იყო, საქართველოში ჯერ კიდევ მწვავედ დგას დემოკრატიასთან დაკავშირებული პრობლემები. დღეს ხელისუფლება ხშირად აცხადებს, რომ დაკარგული ტერიტორიები, ფინანსური კლანების გავლენა რეგიონებში და კიდევ სხვა ტიპის საფრთხეების არსებობა ამართლებს იმას, რომ არ არის თვითმმართველობა, რომ საარჩევნო ბარიერი 7 პროცენტია და არა ნაკლები, რომ მედიაზე შეზღუდვები დაწესდა და ასე შემდეგ.

- მედიის შეზღუდვა ყოველთვის, ყოველთვის ძალიან ცუდი იდეაა და ძალიან ცუდად უბრუნდება ხოლმე იმ ხელისუფლებას, ვინც ამას ცდილობს. ის ძირს უთხრის მის ლეგიტიმურობას, ართმევს საშულებას, რომ საზოგადოების აზრი გაიგოს და სოციალური აფეთქებისთვის ნიადაგს ამზადებს. ეს საშინელი იდეაა და ამას თანდათან ყველა აცნობიერებს.

სარგებელი, რომელიც მედიის თავისუფლების შეზღუდვას მოაქვს გრძელ პერსპექტივაში, ხშირად მოკლე დროშიც კი, გაცილებით ნაკლებია იმ ფასთან შედარებით, რომელიც ის შეიძლება დაჯდეს.

რაც შეეხება თვითმმართველობას. სხვადასხვა ქვეყანაში თვითმმართველობის სხვადასხვა მოდელია, სადაც რაღაც თანამდებობები არჩევითია, რაღაც თანამდებობები დანიშვნითი. არ არსებობს ერთი უნივერსალური მოდელი, რომელიც დემოკრატიულია და ყველა ქვეყანას მოერგებოდა.

მაგრამ, როდესაც ლაპარაკია ფინანსური კლანებზე, ამ შემთხვევაში, პრობლემის ერთადერთი რეალური გადაწყვეტა კორუფციასთან ბრძოლაა, ისეთი პირობების შექმნა, სადაც კორუფციული გზებით გავლენის მოხდენა შეუძლებელი იქნება.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების გამოცდილებამ აჩვენა, რომ სანამ რეალურად არ დაიწყებ კორუფციასთან ბრძოლას, მანამდე შეუძლებელი იქნება ცალკეული პირების მიერ კორუფციის გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდების ალკვეთა.

და რაც მთავარია, აუცილებელია დამოუკიდებელი, კორუფციისაგან თავისუფალი სასამართლოს არსებობა. რამდენიმე დღის წინ პუტინის ერთ-ერთმა უახლოესმა მრჩეველმა დმიტრი კოზაკმა თქვა, როცა მოსამართლეების მოსყიდვა იწყება, მაშინ იწყება სახელმწიფოს დასასრულიცო. და ეს მართლაც ასეა.

- რა უნდა გააკეთოს დღეს საქართველოს მთავრობამ, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები გააძლიეროს და რა არის მთავარი გამოწვევები?

- პროგრამა, რომელიც ხელისუფლებამ წარმოადგინა და რომელიც მმართველობის ბევრ სფეროში გულისხმობს რეფორმას, სწორია. აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ გადადგას რადიკალური ნაბიჯები დერეგულაციის გზაზე. რაც უფრო მეტი ძალაუფლება აქვს ხელისუფლებას, მით უფრო დიდია კორუფციული გარიგებების შესაძლებლობა. რაც უფრო შეზღუდულია ხელისუფლების უფლებამოსილებები, უფრო ნაკლები სივრცე რჩება კორუფციისთვის. ასე რომ, გადამწყვეტია, მთავრობას რეგულაციის რაც შეიძლება მეტი ფუნქციები მოეხსნას.

დღეს საქართველოსთვის მთავარი გამოწვევა იმ კონსოლიდაციის შენარჩუნებაა, რომელმაც ვარდების რევოლუცია მოახდინა. ამისათვის ხელისუფლებამ სწორი მიმართულებით უნდა იაროს და იმ კონკრეტულ შედეგებს მიაღწიოს, რომელსაც ხალხი იგრძნობს. ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ მთავრობა მუშაობს, ეს განსაკუთრებით მას შემდეგ არის მნიშვნელოვანი, რაც ისეთი დიდი ფიგურა დაილუპა, როგორიც ზურაბ ჟვანიაა.

დღეს მთავარია კონსესუსის მიღწევა იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ აუცილებელია, რათა შეინარჩუნო დემოკრატიული პროგრესი.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ჯუზეპე ვერდი
"აიდა"
(ოპერა ოთხ მოქმედებად)
დირიჟორი: ზაზა აზმაიფარაშვილი
რეჟისორი: დავით საყვარელიძე
მხატვარი: პოლინა რუდჩიკი
ქორეოგრაფი: ირაკლი შენგელია
დას: 19:00 სთ.

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
კიტა ბუაჩიძე
"მკაცრი ქალიშვილები"
რეჟისორი: გოგი ქავთარაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

პანტომიმის თეატრი
გურამ დოჩანაშვილი
"ფიროსმანი"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი-უმცროსი
დას: 18:00 სთ.

სამეფო უბნის თეატრი
პირველი კლასიკური გიმნაზიის საბალეტო სტუდია
(ხელმძღვანელი: მაკა მახარაძე) წარმოადგენს:
ჩაიკოვსკი
"მაკნატუნა"
დადგმა: თამაზ ვაშაკიძე
დას: 19:00 სთ;
ფასი: 5 ლარი.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

რუსთაველი
"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 11:30; 14:00; 16:30; 19:00; 21:30 სთ.

ამირანი
"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

ᲒᲐᲚᲔᲠᲔᲔᲑᲘ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
(საგამოფენო დარბაზი)
სამთო-ექსტრემალური ფილმების ფესტივალის ფარგლებში
ფოტოგამოფენა "ამოუცნობი და ექსტრემალური სამყარო"

TMS
ხუტა ირემაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა (ფერწერა)

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

ძველი გალერეა
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა)

თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

ორნამენტი
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

ჰობი
I დარბაზი
ნუგზარ ნათენაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

II დარბაზი
თანამედროვე ქართველ მხატვართა გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა
კავკასიური ნაივური მხატვრობა

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲡ

გუშინ სტილიზებული ფოლკლორის თეატრ "ნაბადში" მორიგი საქველმოქმედო საღამო გაიმართა. ამჯერად "ნაბდის" თეატრალური წარმოდგენა ვალენტინობის დღესთან დაკავშირებით, საგანგებოდ ახალდაქორწინებულებს აჩვენეს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲢᲐᲠᲐᲡ ᲨᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ ᲓᲐᲘᲓᲒᲛᲔᲑᲐ

უკრაინაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენების ინიციატივით, მაისში, უკრაინაში დაგეგმილ საქართველოს კულტურის დღეებთან დაკავშირებით კიევში, რუსთაველის ქუჩაზე შოთა რუსთაველის ძეგლი დაიდგმება. თბილისში კი ტარას შევჩენკოს ძეგლის გახსნა მისივე სახელობის ქუჩაზე იგეგმება.

ძეგლების დაპროექტებისა და სხვა ხარჯებს უკრაინაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები გაიღებენ. ჯერჯერობით უცნობია, ვინ დააპროექტებს შოთა რუსთაველისა და ტარას შევჩენკოს ძეგლებს თბილისსა და კიევში.

მედიანიუსი

ᲔᲡ ᲐᲛᲝᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

მიწისქვეშა დარბაზებიდან ევერესტის წვერამდე

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

როგორ ისვენებენ მთაში ალპინისტები, როგორია ღამე ყაზბეგში ან ქართული ფანჯარა ტიან შანში, როგორ გამოიყურება თრუსოს ხეობა - ადგილი, სადაც ქართველები, ფაქტობრივად, არ ცხოვრობენ, დანარჩენები კი - იქაურობას ზამთარში გაურბიან, როგორია ყოფა საქართველოს მთიანეთში, რა სახის ამოუცნობი და უჩვეულო მოვლენები ახასიათებს ბუნებას, - ყველას ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ დაახლოებით ამგვარია გუშინ ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გახსნილი გამოფენის შინაარსი და თემატიკა. გამოფენით - "ამოუცნობი და ექსტრემალური სამყარო" - თბილისში გუშინ ოფიციალურად გაიხსნა სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების მეორე ფესტივალი "ნიამორი".

მეორე წელიწადია "ნიამორის" ეგიდით იმართება ფოტოგამოფენა, როგორც სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების ფესტივალის ერთ-ერთი მხარდამჭერი აქცია. შარშან გამოფენას გალერეა "ორიენტმა" უმასპინძლა; წელს გალერეაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, ეს შეუძლებელი იყო; თუმცა, ფესტივალის ორგანიზატორებს ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის სახით გულშემატკივრები აღმოაჩნდათ და გამოფენის მოწყობაც შესაძლებელი გახდა. შარშანდელი გამოფენა - "თაობათა გადაძახილი" სამი თაობის ფოტოგრაფ-ალპინისტთა ნამუშევრებს აერთიანებდა. სახელწოდების გარდა, წლევანდელ გამოფენას შარშანდელისგან სხვა დეტალებიც გამოარჩევს. ამჯერად ექსპოზიციაში თავმოყრილ ფოტოებსა და დოკუმენტურ ფილმებს ერთნაირი კატეგორიები აქვთ.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

წყალქვეშა სამყარო; სპელეოლოგია; მოგზაურობა; მთები, - ასეთია ექსპოზიციისთვის შერჩეული 150-მდე ფოტოს თემატიკა. იმის მიუხედავად, რომ წლევანდელ ექსპოზიციას (ისევე როგორც შარშანდელს) სერიოზული ნამუშევრებიც აქვს, ის არ არის პრეტენზიული. გამოფენა, უბრალოდ, ფესტივალის მხარდასაჭერი ნაწილია და ისევე როგორც "ნიამორის", მისი მიზანიც საქართველოს მთიანეთში (რაც ქვეყნის ერთი მესამედია) ტურიზმის, სპორტის სამთო და ექსტრემალური სახეობების, ასევე დოკუმენტური კინოს პოპულარიზაცია და განვითარებაა. ფესტივალი ჯერ ორი წლისაა და ალბათ, უსამართლობა იქნება, ამ სფეროში რაიმე განსაკუთრებული მიღწევები მოვთხოვოთ; თუმცა, მისცა თუ არა ფესტივალმა სტიმული კინოდოკუმენტალისტებს, ფოტომოყვარულებსა და პროფესიონალ ფოტოგრაფებს (რათა ექსპოზიციაზე საკუთარი ნამუშევრებიც გამოფინონ), ამაზე საუბარი ფესტივალის შედეგების გაცნობისას შეგვეძლება. დღეისათვის კი ცნობილია ის, რომ წლევანდელ გამოფენაში მონაწილეობის სურვილი ათობით ადამიანს გამოუთქვამს, მაგრამ ორგანიზატორების მიერ დათქმულ ვადებში საკუთარი ნამუშევრების საგამოფენოდ მომზადება 35-მა ავტორმა მოახერხა. მათ შორის ხუთი შარშანდელ გამოფენაშიც მონაწილეობდა.

გუშინ საქართველოში ოფიციალურად გაიხსნა საფეხბურთო საკლუბო სეზონი და პირველივე თამაშმა სენსაცია გამოაცხო. თუმცა, უკვე დროა, კლუბ "ზესტაფონის" წარმატებებთან დაკავშირებით ცნება "სენსაცია" თანდათან ამოვიღოთ ლექსიკონიდან. მით უფრო, თუ საქმე ეროვნულ ასპარეზს ეხება. ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ ეს გუნდი, რომელსაც თემურ მახარაძე უდგას სათავეში, კიდევ არაერთხელ განგვაცვიფრებს. "ზესტაფონმა" ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე ბოლოსწინა ადგილზე დაასრულა, მეორე წრეც წარუმატებლად დაიწყო. მახარაძემ კი იმ დროს დაიკავა მთავარი მწვრთნელის პოსტი, როდესაც "ზესტაფონის" ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივარიც ძნელად თუ იფიქრებდა, რომ გუნდი უძლიერესთა კამპანიაში ადგილს შეინარჩუნებდა. მაშინ ჩემს მკითხველს ვირტუალური ნაძლევიც კი შევთავაზე, რომ "ზესტაფონი" არათუ გადარჩებოდა, ხუთეულში შესვლასაც კი მოახერხებდა. დღეს ეს ამოცანა იოლად შესასრულებელი ჩანს, ამიტომ კიდევ უფრო გავირთულებ ნაძლევს: წელსვე "ზესტაფონი" ერთ-ერთ საპრიზო ადგილს დაიკავებს!

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის განმეორებითი მერვედფინალური მატჩი "ზესტაფონსა" და თბილისის "დინამოს" შორის გასულ წელს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ უამინდობის გამო 2005 წლის 15 თებერვლისთვის გადაიტანეს. 2004 წლის 9 დეკემბერსა და 2005 წლის 14 თებერვალს შორის მართლაც ბევრმა წყალმა ჩაიარა როგორც ერთი, ისე მეორე გუნდისთვის. "ზესტაფონმაც" და "დინამომაც" სერიოზული როტაცია განიცადეს. ორივე გუნდმა შესაშური სატრანსფერო აქტივობა გამოიჩინა და საგრძნობლად გაძლიერდა. მომზადების თვალსაზრისითაც როგორც "ზესტაფონმა", ისე "დინამომ", ნაყოფიერი უცხოური საწვრთნელი შეკრებები გაიარეს. ამ კომპონენტში უპირატესობა "დინამოს" მხარეს იყო, რომელმაც ორ უცხოურ შეკრებასთან ერთად შედარებით ძლიერ სპარინგპარტნიორებთან მოახერხა შეხვედრა, ვიდრე "ზესტაფონმა". თუმცა, ეს წარსული და სტატისტიკაა, რასაც მხოლოდ მატჩის დაწყებამდე აქვს მნიშვნელობა.

თავად თამაშმა ნათლად დაადასტურა, რომ ერთმანეთს

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

მახარაძის კიდევ ერთი სიურპრიზი - "ზესტაფონმა" "დინამო" თასის გათამაშებიდან დაითხოვა.

ხვდებოდა ქართული საკლუბო ფეხბურთის ორი გამოკვეთილი ლიდერი. პირველი მერვედფინალის შედეგიდან გამომდინარე, რომელიც "დინამომ" 2:1 მოიგო, გუნდებს სხვადასხვა ამოცანა ჰქონდათ გადასაჭრელი. "დინამოს" ფრეც და ზოგიერთი ანგარიშით დამარცხებაც (2:3, 3:4 და ა.შ.) აძლევდა ხელს, ხოლო მასპინძლებს 1:0 ან ნებისმიერი ორბურთიანი სხვაობით გამარჯვება ესაჭიროებოდათ.

როგორც ჩანს, გეგუჩაძემ უფრო გოლის არგაშვებაზე გააკეთა აქცენტი, რადგან მისთვის უჩვეულო 4-5-1 ტაქტიკა აირჩია. არადა, როგორც წესი, ის არ ღალატობს თავის საყვარელ ტაქტიკურ განლაგებას - 4-3-3, რაც, დამეთანხმებით, კარგი გაგებით ავანტიურისტული და აშკარად შემტევია.

მატჩი დაძაბულად წარიმართა და ძირითადად ძალისმიერ ბრძოლაში გაილია. ორივე გუნდი ფრთხილობდა და უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, ვიდრე დიდი ძალებით შეტევის ორგანიზებაზე. გამოიკვეთა, რომ "ზესტაფონს" ოდნავ უფრო მეტად აინტერესებდა შეტევა, ვიდრე "დინამოს". ეს უფრო მატჩის ბოლოსკენ გახდა ნათელი, როდესაც დრო ცოტა რჩებოდა და მასპინძლებიც, უკანასკნელი შანსის გამოსაყენებლად, ვა ბანკზე წავიდნენ. კვანძი 81-ე წუთზე გაიხსნა: "დინამოს" კართან კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ იონანიძემ, რომელიც დინამოელ მცველებს უყურადღებოდ დარჩათ, ზუსტი თავური დარტყმით გამარჯვების გოლი გაიტანა და ამ გოლით თავის ახალ გუნდს მეოთხედფინალის საგზური არგუნა. ამ გოლში ზოიძის დადანაშაულება ნამდვილად არ შეიძლება.

გაიმარჯვა "ზესტაფონმა" და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე იქნება ბათუმის "დინამო".

გია გეგუჩაძე ("დინამოს" მთავარი მწვრთნელი): "ნამდვილად არ მსურს მეტოქის გამარჯვების დაკნინება, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ეს თამაში უფრო საკუთარი შეცდომის გამო წავაგეთ. რას ვიზამთ, ახლა მთელ კონცენტრაციას ეროვნულ ჩემპიონატზე მოვახდენთ და ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ."

თემურ მახარაძე ("ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი): "რთული მატჩი გვქონდა. უზომოდ ბედნიერი ვარ ამ გამარჯვებით. ეს დიდი სტიმულია ჩვენი გუნდისა და იმ ხალხისთვის, ვინც "ზესტაფონს" გვერდში უდგანან და მის ფეხზე დაყენებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ."

მოკლედ

რიკელმე თავს „ბარსელონას" ფეხბურთელად მიიჩნევს

"ვილიარეალის" არგენტინელმა ნახევარმცველმა ხუან-რომან რიკელმემ, რომელზეც უფლება ეკუთვნის "ბარსელონას", კომენტარი გაუკეთა კატალონიელთა სპორტული დირექტორის განცხადებას იმის შესახებ, რომ მისი ადგილი არ არის კატალონიელთა კლუბში.

"შეუძლებელია, ყველას მოსწონდე. თავის დროზე ეს მარადონამ მოახერხა. დღესდღეობით კი ასეთი ფეხბურთელი აღარ არსებობს. შემიძლია მხოლოდ გავიმეორო ის, რასაც ყოველთვის ვამბობდი: ივნისამდე "ვილიარეალს" ვეკუთვნი, 2007 წლამდე კი - "ბარსელონას". სწორედ, ის გადაწყვეტს ჩემს მომავალს. პირადად მე არსად წასვლას არ ვაპირებ," - განაცხადა რიკელმემ.

გუდონსენი მართვის მოწმობის გარეშე დარჩა

გასულ შაბათს ლონდონის "ჩელსის" თავდამსხმელი ეიდურ გუდონსენი ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის გამო დააკავეს. ამის შესახებ ორშაბათს განაცხადეს პოლიციის წარმომადგენლებმა.

26 წლის ესპანელმა ფეხბურთელმა სამართალდამცავებს ტესტის ჩატარებაზე უარი უთხრა, ამიტომაც წაიყვანეს განყოფილებაში, საიდანაც თავდებით გამოუშვეს.

გუდონსენი პოლიციაში მარტის ბოლოს უნდა გამოცხადდეს.

„ტოტენჰემს" ლედლი კინგის გაშვება არ უნდა

ინგლისური კლუბი "ტოტენჰემი" გუნდის მცველთან ლედლი კინგთან კონტრაქტის ვადის გასაგრძელებლად მოლაპარაკებებს აწარმოებს. ხელმძღვანელობა და მთავარი მწვრთნელი მარტინ იოლი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფეხბურთელი გუნდში უნდა დარჩეს, თანაც, დიდი ხნით.

ინგლისის ნაკრების მცველის ყიდვით დაინტერესებული არიან ლონდონის კლუბები "ჩელსი" და "არსენალი", თუმცა, თავად ფეხბურთელმა არაერთხელ განაცხადა, რომ კარიერის გაგრძელება სწორედ "ტოტენჰემში" უნდა.

დე ლა პენია არ იყიდება

ესპანური კლუბის "ესპანიოლის" პრეზიდენტმა დანიელ სანჩეს ლიბრემ განაცხადა, რომ ნახევარმცველის ივან დე ლა მენიას გაყიდვას არ აპირებს. მიმდინარე სეზონზე თავისი თამაშის გამო ფეხბურთელს დიდი ხნის მანძილზე პირველად შესთავაზეს, ეთამაშა ეროვნულ ნაკრებში.

"აღარ ვართ ის გუნდი, რომელიც თავის ფეხბურთელებს ყიდის. მესმის, რომ დე ლა პენია უამრავ საუკეთესო კლუბს აინტერესებს, მაგრამ მის გაყიდვაზე ფიქრიც კი ზედმეტია," - აღნიშნა კლუბის პრეზიდენტმა.

ეტო'ო ნომინანტთა შორის ლიდერია

დღეს 2004 წლის აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელს დაასახელებენ. მთავარ კანდიდატად მიჩნეულია კამერუნის ეროვნული ნაკრებისა და "ბარსელონას" ფორვარდი სამუელ ეტოო. თავად ფეხბურთელი ცერემონიას ვერ დაესწრება, რადგან მონაწილეობა უნდა მიიღოს ცუნამით დაზარალებულთა დასახმარებელ საქველმოქმედო მატჩში.

მიმდინარე სეზონზე ეტოოს ჩვიდმეტი ბურთი აქვს გატანილი ესპანეთის ჩემპიონატში. მისი კლუბი "ბარსელონა" პირველ ადგილზეა, ოთხი ქულით უსწრებს "რეალს".

ეტოოს გარდა აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოზე წარდგენილნი არიან დიდე დროგა და ჯეი-ჯეი ოკოჩა - ორივე ინგლისის პრემიერ-ლიგაში თამაშობს.

„ჩელსი" დავიდსის შეძენას გეგმავს

შესაძლებელია, ედგარ დავიდსმა ახალი სეზონი "ჩელსის" შემადგენლობაში დაიწყოს. ამ კვირაში ლონდონში ჩაფრინდებიან მილანის "ინტერის" წარმომადგენლები მარკო ბრანკა და გაბრიელ ორიალი, რომლებიც "ჩელსის" ხელმძღვანელობასთან დაიწყებენ მოლაპარაკებას არგენტინელი სებასტიან ვერონას ჰოლანდიელ ნახევარმცველში გაცვლის შესახებ. ჟოზე მოურინიოს აზრზე ბევრი იქნება დამოკიდებული.

ტოტის „რომას" დატოვება არ უნდა

ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ მას "რომაში" თამაში კარიერის ბოლომდე უნდა: "რომში დავიბადე. ყოველთვის "რომას" გულშემატკივარი ვიყავი. მინდა, ამ გუნდში დავრჩე. ეს ჩემი მიზანია. თუ ვალები ჩემს კლუბს აიძულებს გამყიდოს, ეს უკვე სხვა საქმეა. მალე ხელმძღვანელობას შევხვდები და ყველაფერი გაირკვევა".

ფერგიუსონს არ სჯერა

გასულ კვირას "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანმა როი კინმა განაცხადა, რომ ამჟამინდელი კონტრაქტი მისთვის საბოლოო იქნება.

მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი კი ვარაუდობს, რომ ფეხბურთელი 2006 წლის შემდეგაც ითამაშებს: "ვიცი, რაც ხდება მაშინ, როცა წასვლის გადაწყვეტილებას იღებ. ასახელებ თარიღს, მაგრამ მასთან მიახლოებისას გადაწყვეტილებას ცვლი. არ ვამბობ, რომ როიც ამას გააკეთებს, თუმცა, გამორიცხული არაფერია. კარიერის გაგრძელებას თუ გადაწყვეტს, მზად ვართ, ახალი კონტრაქტი შევთავაზოთ".

მოამზადა ნინო ტიკარაძემ

TV-სპორტი

სამშაბათი. 15 თებერვალი

НТВ+ФУТБОЛ
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
13:00 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - იტალიის ჩემპიონატი. "ინტერი" - "რომა"
14:45 "2:1".ტოქშოუ
15:40 თავისუფალი დარტყმა
15:55 "საფეხბურთო კლუბი"
16:35 "FUTBOL MUNDIAL"
17:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:55 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:00 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:50 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:45 პორტუგალიის ჩემპიონატი. "ბრაგა" - "ბენფიკა". შესვენებისას (22:35) - თავისუფალი დარტყმა
23:40 ფუტზალი. რუსეთის ჩემპიონატი. მე-4 ტურის მატჩების მიმოხილვა
00:45 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა

НТВ+ПЛЮС
10:00, 13:00, 15:50, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "ორშაბათამდე მივატანთ"
11:15 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
11:45 "ბილიარდის მეუფენი"
12:15 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
12:45 "ჰოკეი-პლუს"
13:35 ჰოკეი. "სტენლის თასის რეტროსპექტივა". 1999 წელი. ნახევარფინალი. "BUFFALO SABRES" - "TORONTO MAPLE LEAFS"
16:05 ბილიარდი. "US Open". პირველი ნაწილი
17:15 კალათბურთი. NBA."PHOENIX SUNS"- "UTAH JAZZ". შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი სლოვენიაში
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "ჰოკეი-პლუს"
22:15 ყველაზე ძლიერი ადამიანი შვედეთში. პირველი ნაწილი
22:45 სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი
23:45 "ნადირობის სეზონი"
00:15 ახალი ამბები
00:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი სლოვენიაში
01:00 "ჰოკეი-პლუს"

EUROSPORT
10:30 თავგადასავალი
11:00 ფეხბურთი - ევროგოლები
12:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
12:30 მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში. ჩეხეთი - უკრაინა
14:00 სნუკერი. მასტერსის ტურნირი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში. იტალია - უნგრეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 სნუკერი. მასტერსის ტურნირი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში. პორტუგალია - ესპანეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში. ჩეხეთი - რუსეთი
22:30 მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში. უკრაინა - ჰოლანდია. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
02:00 ახალი ამბები
02:15 შვედეთის რალი
03:15 ახალი ამბები

რა განსაცდელი ელის საქართველოს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №27,28,29,30,31,32,33.

ვიქტორ რცხილაძე

ისევ ფაშიზმის საშიშროების შესახებ

ამ თავში საქართველოსათვის ისევ "შიდა განსაცდელზე" გვექნება საუბარი. ფაქტი ერთია, რომ ულვთო ნაციონალიზმი ყველაზე მეტად მომწიფებულია ფაშიზმში გადასვლისათვის. ფუკუიამას განსაზღვრებით, "ნაციონალიზმი არ წარმოადგენს ერთიან მოვლენას. მისი სპექტრი ვრცელდება ზომიერი კულტურული ნოსტალგიიდან მაღალორგანიზებულ და ზედმიწევნით დამუშავებულ ნაციონალ-სოციალიზმის დოქტრინებამდე". საინტერესო ცნობებს გვაწვდის ამერიკელი მკვლევარი ენტონი დ. სმიტი (Nationalism and Historians - International Iornal of comparative Sociology. XXXIII. 1-2. 1992, P. 58-80.): "სანამ ფაშიზმს განიხილავდნენ როგორც ნაციონალიზმის განვითარების კანონზომიერ შედეგს, სავსებით გაამართლებულად გამოიყურებოდა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ევროპაზე და ნაციონალისტურ იდეოლოგიათა და მოძრაობათა პერიოდიზაცია ზნეობრივი პროცესის ცნებებით. მაგრამ იმ მომენტიდან, რაც დამკვიდრება იწყო უფრო გლობალური და არა იმდენად მორალისტური ხასიათის მქონე თვალსაზრისმა, რომელიც განასხვავებდა ფაშიზმს ნაციონალიზმის მრავალ სხვა ნაირსახეობათაგან, ქრონოლოგიურ ტიპოლოგიათა არაადეკვატურობა აშკარა გახდა. თავის ერთ-ერთ პირველ ნაშრომში ლუის სნაიდერი შეეცადა, შემოეთავაზებინა საერთო ოთხტაეპიანი პერიოდიზაცია: 1815-1871 - "გამაერთიანებელი" ნაციონალიზმი; 1871-1900 - "ძირგამომთხრელი" ნაციონალიზმი; 1900-1945 - "აგრესიული" ნაციონალიზმი; 1945-? - "თანამედროვე" მსოფლიო ნაციონალიზმი. თავის ბოლო ნაშრომში სნაიდერი გვთავაზობს გეოგრაფიულ ტიპოლოგიას, რომელიც შეიცავს "განხეთქილების" ევროპულ ნაციონალიზმს, რასიულ შავ ნაციონალიზმს აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ-რელიგიურ ნაციონალიზმს, მესიანურ ნაციონალიზმს რუსეთში, "სადნობი ქვაბის" ნაციონალიზმს შეერთებულ შტატებში, ანტიკოლონიალურ ნაციონალისტურ მოძრაობებს აზიაში და პოპულისტურებს - ლათინურ ამერიკაში" (Lois Snyder, The Meaning of Nationalism. New Brunswick, 1954; The New Nationalism. Ithaca, 1968. P. 64-67.).

მაგრამ რა დროს გადადის ნაციონალიზმი ფაშიზმში? ეს მით უფრო საგულისხმო შეკითხვაა, რომ როგორც ერნსტ ნოტლე გვამცნობს (Historisches Worterbuch der Philosopgie, Bd. 2, Stuttgart 1972. - "Faschismus".), "მარქსიზმისაგან განსხვავებით ფაშიზმი არ განვითარდა უშუალო კავშირში ფილოსოფიურ აზროვნებასთან; იგი თავის საწყისებში გაგებულ იქნა, როგორც სავსებით არათეორიული პოლიტიკური დაჯგუფება გარკვეული ემპირიული მიზნის მისაღწევად (მაგალითად, იტალიაში სოციალისტური რევოლუციის მცდელობის ჩასახშობად). თავდაპირველად ასეთივე იყო მუსოლინის შეხედულებაც, რომელმაც მთავარ პრინციპად ქმედების უპირატესობა მიიჩნია".

"ვარდების რევოლუციის" დასაწყისში ტელევიზორის მაყურებელს ალბათ კარგად დაამახსოვრდა გადმოცემა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიანი დარბაზიდან, როდესაც მიკროფონთან მდგარმა ელდარ შენგელაიამ მრისხანე სახით რიხიანად განაცხადა: ვინც წინ დაგვიდგება, გადავუვლით და გავსრესავთო... ასეთი ძალმომრეობითი მუქარა აშკარად ფაშისტურია, ხოლო თავად ამის ხილვამ რობერტ მუზილის ერთი პატარა მოთხრობა გამახსენა, რომლის გმირი, პატარა კაცუნა, დამცირებული და ორიენტაციადაკარგული ობივატელი ინდივიდუალური სუსტი "მე"-ს საკომპენსაციოდ ცდილობს ძლიერ "ჩვენთან" იდენტიფიცირებას. ამ კაცუნას, მოთხრობის მიხედვით, ერთი სიამოვნება დარჩა: იგი თავს აფარებს ავტობუსს და იმისი ხილვით ტკბება, თუ ხალხი მას (სინამდვილეში ავტობუსს) როგორ ერიდება და გზას უთმობს.

მაგრამ მოდით, საკითხი უფრო სიღრმისეულად გავაშუქოთ. თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსი კურტ ჰიუბნერი, ამოდის რა ნაციის ჰუმბოლდტისეული განმარტებიდან, რომელიც ერებს "გეშტალტებად" და "ინდივიდებად" მიიჩნევს, ხოლო ცალკეული ადამიანის მათთან დამოკიდებულებას განიხილავს, როგორც ხესთან ფოთლის დამოკიდებულებას, აცხადებს, რომ "ნაცია წარმოადგენს პერსონიფიკაციას და საყოველთაო მნიშვნელობის მქონე დროის მიღმურ ინდივიდს, თუმცა ეს მას ღვთაებად არ აქცევს". (Kurt Hubner, Das Nationale: Verdrangtes, Unvermeidliches, Erstrebenswertes. Koln 1991.).

განა ამის მეტი რა თქვა ჩვენმა მ. მამარდაშვილმა, რომ ჭეშმარიტება (=ღმერთი) მეტია სამშობლოზე (=ერზე), და ამის გამო ჩვენმა ბნელებმა იგი ლამის ჯვარს აცვეს?! ვინ აცხადებდა XX ს-ში "სამშობლოს კულტს", ვისთვის იქცა "სამშობლო, როგორც ქალღმერთი, საბოლოო აბსოლუტად"? ეს გახლდათ შარლ მორასი, ფრანგი ფაშისტების თავკაცი, 1945 წელს გასამართლებული. როგორც ე. ნოლტე აცხადებს, "ეს ნაციონალიზმი იმავდროულად მეტაფიზიკურია. იგი მოიპოვება რაღაც სიცარიელეში, სადაც ოდესღაც იმყოფებოდნენ თავდაპირველი მეტაფიზიკური რწმენანი აბსოლუტისადმი".

მაგრამ ფაშიზმის მიერ სამშობლოს აბსოლუტად გამოცხადება ქრისტიანისათვის განსაცდელის მხოლოდ ერთი მხარეა. ეს საცდური, სამშობლო როდესაც აბსოლუტის ადგილს იკავებს, ფაშიზმში შემთხვევით არ ხდება. აზრის ნათელსაყოფად მივმართავ ტომას სტერნზ ელიოტის შესანიშნავ წერილს "იდეა ქრისტიანული საზოგადოებისა". იგი წერს: "ფუნდამენტური შეპასუხება ფაშისტური დოქტრინის მიმართ, - შეპასუხებისა, რომელსაც საკუთარ თავს ვუმალავთ, რადგან იგი ჩვენთვისაც შეიძლება მსჯავრის გამომტანად იქცეს, - მდგომარეობს მასში, რომ ეს დოქტრინა - წარმართულია". (წარმართული მორალი: გახდი იმად, რაც შენ ხარ (როგორც იდეა=იდეალს). ქრისტიანული მორალი: გახდი იმად, რადაც შენ (კიდევ) არ გამხდარხარ; "მოქცევის" მორალი (იხ. Александр Кожев, Введение в чтение Гегеля. С.П. 2003 г., стр. 45.) ამიტომ იყო, რომ თ. მანი თავის სტატიაში "ძმა ჰიტლერი" (Bruder Hitler)" შიშითა და გაკვირვებით აღმოაჩენს ნათესაობას ჰიტლერის თავისებურ არსებობასა და ხელოვანის თავის საკუთარ კონცეფციას შორის". თ. მანს ფაშიზმი მიაჩნდა "დროის ავადმყოფობად, რომელიც ყველგან მასპინძელია და მისგან თავისუფალი არ არის არც ერთი ქვეყანა". და თვით ჰიტლერის დამარცხების შემდეგ იგი საუბრობს (თავის მოხსენებაში ნიცშეზე) დასავლეთის ფაშისტურ ეპოქაზე, რომელშიც ვცხოვრობთ და კიდევ დიდხანს ვიცხოვრებთ, მიუხედავად სამხედრო გამარჯვებისა ფაშიზმზე". (Ernst Nolte, Der Faschismus in seiner Epoche, Munchen 1963.).

ამიტომ, წარმართობამ რომ არ გაიმარჯვოს ჩვენში და გარეთ - საჭიროა რწმენა, მისი მოპოვება, აქტიურობა, რაზედაც ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით. თუნდაც ფსიქოლოგიური კუთხით რომ განვიხილოთ ეს პრობლემა, კარლ გუსტავ იუნგის სიტყვებით თუ ვიტყვით, როდესაც რელიგია ბატონობს ადამიანში, მასზე გარედან ზეგავლენის მოპოვება შეუძლებელია. მაგრამ ახლა საშიშროებამ სხვა კუთხიდან იჩინა თავი. საუბარია ე.წ. "ქრისტიანულ ნაციონალიზმზე", "ქართულ ეკლესიაზე" და სხვა ამგვარ შეუსაბამობაზე. რასაკვირველია, ეს ყალბი მიმდინარეობა ჩვენში არ დაწყებულა და მისი სათავე დიდ იმპერიებშია საძიებელი, მაგრამ ამით საქმეს როდი ეშველება. იგი გავრცელებულია სასულიერო პირთა და სტუდენტთა ნაწილში. ის კი არადა, ამას წინ ტელევიზიის პირველი არხი ჩავრთე (როგორც ჩანს, დაგვიანებით) და ვიხილე ჩვენი ცნობილი ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები, ენათმეცნიერები. იყო ქება და დიდება "ქართული ეკლესიის განსაკუთრებული როლისა", "ეროვნული ეკლესიისა" და ა.შ., გადაცემა მიჰყავდა ქ-ნ გიული ალასანიას, პრეზიდენტის დედას. მხოლოდ იქ მყოფმა მღვდელმა განაცხადა, რომ მთელი ისტორიის მანძილზე ქართული ეკლესია მხოლოდ მსოფლიო ეკლესიის ნაწილი გახლდათო და ა.შ. ანუ ის, რაც სინამდვილეში იყო. თუ რას წარმოადგენს ასეთი "ეროვნული" სულისკვეთება და ქსენოფობია ჩვენს სასულიერო წრეებში, ამას კათოლიკეთა მაგალითზე კარგად გვიხატავს დანიელი მწერალი ჰანს ქრისტიან ანდერსენი თავის შესანიშნავ რომანში "იმპროვიზატორი", ოღონდ ეს ხდება XIX ს-ის პირველ ნახევარში. როდესაც ეკითხებიან კათოლიკე ბერს, ფრა მარტინოს, რომ აი, რომში რომ არის ჩამოსული დანიელი მხატვარი ფედერიგო, თუმცა იგი პროტესტანტია, მაგრამ უაღრესად წესიერი ადამიანია და მაინც მოხვდება ჯოჯოხეთშიო? ფრა მარტინო ამაზე პასუხობს: "ყველაფერი ეს მართალია! ხშირად ისინი ძალზე პატივსაცემი ადამიანები არიან და იცით რატომ? მოგეხსენებათ, ეშმაკმა უკვე უწყის, რომ ყველა ერეტიკოსი მას ეკუთვნის და ამიტომაც არასოდეს განსცდის მათ. ჰოდა, მათთვის ადვილია პატიოსნად ყოფნა, უცოდველობა. ამის საპირისპიროდ ყველა კათოლიკე - ღვთის შვილია და ეშმაკს უხდება მთელი თავისი საცდურების გამოყენება, რომ გახლართოს ის თავის ბადეში. იგი განგვცდის ჩვენ, სუსტებს და ჩვენც ვცოდავთ: ერეტიკოსებს კი, როგორც ითქვა, არც ეშმაკი განსცდის და არც ხორცი".

ღიმილის გარეშე შეუძლებელია ამ გულუბრყვილო ბერის "განმარტების" კითხვა, მაგრამ შუა საუკუნეებში ამაზე არ გაიცინებდნენ, როდესაც ინკვიზიციის ცეცხლი გიზგიზებდა. თქვენ წარმოიდგინეთ, არც XXI საუკუნის საქართველოში გვაქვს სასაცილოდ საქმე, თუკი გავიხსენებთ მკალავიშვილ-ზვიადისტების ძალისმიერ აქციებს (კალვინისტურ წიაღში აღმოცენებულ საზიზღარ ფარისევლობას, რომელიც დანაშაულის მიზეზი ხდება, დიდებულად გადმოსცემს მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნის შოტლანდიელი პოეტი და მწერალი ჯ. ჰოგი. მისი რომანის თარგმანი რაკი რუსულ ენაზე, ვგონებ, არ არსებობს, იხ. James Hogg, The Private Memoirs and Confessions of a Justified Sinner).

სინამდვილეში როგორ არის საქმე, მოხვდებიან ერეტიკოსები ჯოჯოხეთში? პასუხი ამაზე მოვისმინოთ მართლმადიდებლებისაგან. ავიღოთ გამოჩენილი ღვთისმეტყველის იოანე მეიენდორფის წიგნი "პატროლოგიის შესავალი". აქ ვკითხულობთ: "ხსნის ქრისტიანულმა გაგებამ, როგორც პიროვნულმა მოვლენამ, გამოიწვია ბუნების დესაკრალიზაცია, დაამსხვრია რა აღმოსავლური და ანტიკური მითები ქმნილი ყოფიერების ელემენტების ღვთაებრივი ბუნების შესახებ. ამიერიდან ყველა ისინი ისწრაფვიან ადამიანისაკენ, რომელიც, ახორციელებს რა პირად ხსნას, თან წარიტაცებს მთელ თავის ურთიერთობებს, ყველა ცხოვრებისეულ ატრიბუტს, ყველაფერს, რაც დაკავშირებულია მასთან, - მეგობრებს, ნათესავებს, ტალანტებს, საკუთარი ხელებით გაკეთებულ ქმნილებებს და მისთანებს. მაგალითად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოცარტი ხსნილი იქნება თავის მუსიკასთან ერთად. მეორე მხრივ, რამდენადაც წმიდა საბა სერბი იყო, იგი ხსნილ იქნება როგორც სერბი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი წყალობით ხსნილი იქნება მთელი სერბი ნაცია, როგორც მთლიანობა".

როგორც ვხედავთ, ჭეშმარიტი ქრისტიანი და მართლმადიდებელი დიდად ტოლერანტულია კათოლიკესა და მასონის, კომპოზიტორ მოცარტის მიმართ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ელიოტის ზემოხსენებულ წერილს. იგი წერს: "უდავოა, რომ ნაციონალიზმი, რომელიც იმყოფება აშკარა ანტაგონიზმში ქრისტიანობასთან, ჩვენთვის წარმოადგენს ნაკლებ საშიშროებას, ვიდრე ნაციონალიზმი, რომელიც აღიარებს ისეთ ქრისტიანობას, რაც დაცლილია ყოველგვარი ქრისტიანული შინაარსისაგან. ინგლისში ეკლესია რომ ნაციის შესატყვისი უნდა იყოს... ეს თავისთავად სანაქებო მიზანია, თუკი ჩვენ გვემახსოვრება, რომ ვსაუბრობთ ეკლესიის ერთ ასპექტზე; მაგრამ სანამ ეს არ არის გაწონასწორებული ინგლისისა და მსოფლიო ეკლესიის ურთიერთქმედების იდეით, მე ვერ ვხედავ გარანტიას მისი მოძლვრების სიწმინდისა და კათოლიკურობისა". ამგვარად, ელიოტი მოუწოდებს, რომ "ქრისტიანობა კი არ უნდა იქნეს ნაციონალიზმის დონემდე დაყვანილი", არამედ, პირიქით - "ნაციონალიზმი უნდა ავამაღლოთ ქრისტიანობის დონეზე". შემდეგ იგი აგრძელებს: "მანკი ნაციონალისტური ქრისტიანობისა წარსულში შერბილებული იყო ნაციონალური თვითშეგნების სისუსტით და ძლიერი ქრისტიანული ტრადიციით... დღეს არავის ძალუძს, დაიცვას ნაციონალური ეკლესიის იდეა, თუ არ შეუფარდებს მას მსოფლიო ეკლესიის იდეას და არ ემახსოვრება, რომ ჭეშმარიტება ერთია და რელიგიას არა აქვს საზღვარი".

ახლა დავსვათ საკითხი რელიგიისა და სამშობლოს, ღმერთისა და ნაციის, ერის, ურთიერთმიმართების შესახებ. თუ "რომელია მეტი", იმედია, ამაზე მსჯელობა აღარ მოგვიწევს და არც იმაზე - "განა ათეისტს არ უყვარს სამშობლო?" რაზედაც დადებითად უნდა ვუპასუხოთ, მით უმეტეს, როდესაც გავითავისებთ იუსტინე ფილოსოფოსის (წამებულის) აზრს, რომ ღვთაებრივი "ლოგოს სპერმატიკოსი" ყველა ადამიანშია გაბნეული და ზოგი ამას თუ ვერ აცნობიერებს, ყოველ შემთხვევაში, მისდა უნებურად, მისით ხელმძღვანელობს. ამის თაობაზე წინა თავებში ჩვენ გვქონდა საუბარი, მაგრამ ამასთან კავშირში უპრიანი იქნება ერთი მაგალითის მოყვანა.

როდესაც ცნობილ ნორვეგიელ მწერალ ქალს, დიდად მორწმუნე ქრისტიანს, ნობელის პრემიის ლაურეატს, სიგრიდ უნდსეტს ჰკითხეს, სჯერა თუ არა მას საერთოდ, რომ ქალს შეუძლია ერთგული იყოს ქმრისა, მან უპასუხა: "არა, არ მჯერა. მე მჯერა და გამოცდილებიდანაც ვიცი, რომ ქალს შეუძლია ერთგულად ყოფნა, თუკი იგი გარკვეულ იდეალს ეთაყვანება, რომელიც ითხოვს მისგან ამ ერთგულებას. მაგრამ ის, რომ ქალს შეეძლოს მამაკაცისადმი ერთგული დარჩეს, მხოლოდ როგორც მამაკაცისადმი, არა, მე ამისი არ მჯერა". სიგრიდ უნდსეტის აზრით, იგივე შეიძლება ითქვას მამაკაცის ერთგულებაზე. შემდეგ იგი აგრძელებს: "ასეთ ადამიანებს, რომელთაც მხოლოდ წმინდა ადამიანური იდეალებისა ან იდეალური ადამიანებისა სწამთ, შესაძლოა, მომავლისათვის იმის გაგება დაეხმაროთ, რომ ადამიანები არასდროს ყოფილან ერთგულნი, თუკი მათ არ ჰქონდათ ზეადამიანური მიზანი ერთგულებისათვის" ("ესეები ქრისტიანობაზე და გერმანულ სულზე", მიუნხენი).

სხვათა შორის, სიგრიდ უნდსეტის აზრის კარგი ილუსტრაციაა დიდებული ინგლისელი რეჟისორის სტენლი კუბრიკის ფილმი "ფართოდ დახუჭული თვალები". მთავარ გმირებს, მშვენიერ ცოლ-ქმარს, რომელნიც ირელიგიურნი არიან, სატანური ცდუნებები ეუფლებათ, რაც მათ ურთიერთ ერთგულებას სასწორზე აგდებს.

მაგრამ რატომ მოვიყვანე სიგრიდ უნდსეტის აზრი? საქმე ისაა, რომ ჩემი აზრით, ასევეა ერთან მიმართებაში. მისდამი სიყვარული და ერთგულება რაღაც უფრო დიდშია (ტრანსცენდენტურში) დაფუძნებული, ვიდრე კონკრეტულად ამ ხალხში, ამ მთა და ველში, ამ მდინარეში და ა.შ. ამის თაობაზე შესანიშნავად მსჯელობს ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ევგენი ტრუბეცკოი: "ჩვენ გვეუბნებიან - "შეიყვარეთ უპირველესად ყოვლისა თქვენი ხალხი". კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ჩემს ხალხს აქვს უფრო დიდი, ვიდრე თვითონ არის, მარგალიტი, რომელიც შეადგენს მისი სიცოცხლის უმაღლეს ღირებულებას. როგორ შემიძლია მე იგი მიყვარდეს უამმარგალიტოდ? ჩემი ხალხი თავისი რელიგიური შემოქმედების უმაღლეს საფეხურზე იცნობიერებდა თავს როგორც მშენებლად და იმავდროულად - ცოცხალ ქვად დიდი და ხელთუქმნელი შენობისა, რომელშიც ყველა ხალხისათვის, ისევე როგორც ყოველი ცოცხალი არსებისათვის, გამზადებულია სავანე, არის თავისი ტრაპეზი და გვირგვინი. ნუთუ ამ უდიდესი სახალხო საქმის უარყოფით, სახალხო შემოქმედების ამ მშვენებისა და აზრისა - მე ჩემი ხალხის სიყვარულს დავამტკიცებ? ან შესაძლოა, მითხრან, რომ მე უნდა დავუტევო ეს ნათელი რელიგიური იდეალი კერძო, საშინაო მოხმარებისათვის, ხოლო საზოგადო ცხოვრებაში ვიხელმძღვანელო სხვა საწყისებით? ასე შეუძლიათ იმსჯელონ ცნობილი აფორიზმის Religion ist Privatsache-ს აღმსარებლებმა, რომელიც მიმოქცევაშია გერმანელ სოციალ-დემოკრატთა შორის. - მაგრამ ვაქციოთ რელიგია ყოველის "კერძო საქმედ" ნიშნავს იმას, რომ იგი უბრალოდ მოვსპოთ, რადგან საშინაო ღმერთი უკვე ღმერთი აღარ არის. ვისაც სწამს ღვთისა, მას სურს მისი განხორციელება მთელ ცხოვრებაში; მაგრამ მაშინ ჩვენი ცხოვრების იდეალი არა გაბნეული ტაძარია, არამედ კაცობრიობა, ღმერთში თავმოყრილი. წინასწარ ვჭვრეტ გავრცელებულ შეპასუხებას, რომ ასეთი იდეალი უსასრულოდ შორს არის პოლიტიკისაგან და შეუძლებელია ჰქონდეს მასთან რაიმე გამოყენება. ამაზე ვუპასუხებ, რომ ზეპოლიტიკური არ არის აპოლიტიკური. რელიგიური იდეალი და ცხოვრების რელიგიური აზრი თუკი არ შეიძლება განხორციელდეს პოლიტიკის საშუალებებით, მაშინ პოლიტიკა მაინც უნდა იყოს მისდამი ასე თუ ისე დაქვემდებარებული. თუკი მას არ ძალუძს დედამიწაზე ღვთის სამეფოს შექმნა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანთა ცხოვრებაში მან სატანური სამეფო უნდა განახორციელოს. იგი უკიდურეს შემთხვევაში წინ უნდა აღუდგეს ამ უკანასკნელს" ("რუსსკაია მისლ", 1916 წ. იანვარი).

გაგრძელება შემდეგ ნომერში

TV პროგრამა

15 თებერვალი

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.20** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ტოტალური თვალყურისდევნება" (გ) **15.25** ქართული ფეხბურთის მიმოხილვა **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელელიპუცები **18.30** პატრული **18.55** ხალხის პირისპირ **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** მხ. ფილმი "მთვარის მთები" (18) (პატრიკ ბერჯინი) **01.40** პატრული

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი " მოსკოვის თეატრის ალყა" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "არქივი" - დოკ. ფილმი "ბორის პაიჭაძე" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (შოტლანდია) **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" -სპორტი და თამაშები **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" მე-2ს. **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ-"ზგერა და სიჩუმე" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დღე, როდესაც ფიქრი ვისწავლეთ" **22.55** საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი - ევროპა - მსოფლიოს ვარსკვლავები **23.00** პროფესიონალი - ავტომრბოლელი **23.30** მხ. ფილმი "გულს ნუ გამიტეხ (18) **01.10** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "სისხლიანი ფული" (გ) (ჯეიმს ბროლინი)

მეორე არხი

19.00 სერიალი "თავგადასავალი კარიბის ზღვაზე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "შავკანიანთა მუსიკის ისტორია" **21.45** სპექტაკლი "სოფლის აშიკი" **22.30** ექსცენტრიკოსები **22.35** კინოსეანსი "მადამ ბოვარი" მე-2 ს.

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ორი ბედი" **12.20** სპ, პროგრამა "ასი" **12.40, 16.25, 03.15** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "უშიშარი" (ო. მუტი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.40** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.00** პირველები **23.40** ამერიკული მუსიკ. დაჯილდოების "გრემის" 47-ე ცერემონიალი **02.10** გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი) **03.45** იმედის მელოდიები

აჭარა

09.00 საინფ. დაიჯესტი **09.30** კომედია "ძლიერი ქარი" **11.40** "სტარტი" **12.10** ბოევიკი "ბაზა-1" **14.00** კომედიური დეტექტივი "რვა ქალი" **16.00** მულტფილმი **17.30** საინფ. დაიჯესტი **17.50** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.50** მხ. ფილმი "ყველაფერს დაესვას წერტილი" **20.30** საინფ. დაიჯესტი **21.00** მხ. ფილმი "ზატოიჩი" **23.00** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **00.00** მელოდრამა "სამოთხიდან შორს"

კავკასია

11.00 ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "არტეფაქტი" (გ) **12.30** ტუწ-ემ **15.45** საქმე და ეკონომიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "როჯერ დოჯერი" (გ) **00.30** ტუწ-ემ

202

10.00 დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"КАВАЛЕРЫ "МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ".** **10.30, 18.40** Сериал **"КЛОН".** **11.30** Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ".** **13.10** 60 фильмов о войне. Приключенческий фильм **"ПЯТЕРО С НЕБА"**. **15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2".** **16.30** "Пять вечеров". Вторник. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ".** **19.50** Алла Клюка в ироническом детективе **"ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА. СЛЕДСТВИЕ ВЕДЕТ ДИЛЕТАНТ - 2".** **21.00** Время. **22.40** "Григорий Распутин. Ловушка для антихриста". **23.40** "Америка - Россия: Из прошлого в будущее". **1**-я серия. **00.20** Ночное "Время". **00.40** Сканер. "Валютные игры". **01.10** Крылья. "От сверхзвука до гиперзвука". **01.40** Лив Тайлер в фильме **"ВЫДУМАННАЯ ЖИЗНЬ ЭББОТОВ"**. 1957 год. Маленький городок Иллинойс на Среднем Западе. Братья Даг и Джейси Холт, выросшие в простой рабочей семье, совсем непохожи друг на друга. Пятнадцатилетний Даг - тихий и застенчивый. Джейси - 17, он умный, целеустремленный, мечтает учиться в университете. Оба влюблены в красивых и богатых сестер Эббот - Памеллу и Элеонор. Пэм и Даг целиком отдаются нахлынувшему чувству, не задумываясь о разнице в социальном статусе своих семей. Джейси же, наоборот ее отлично понимает. А еще он подозревает, что глава семейства Эббот, мистер Ллойд, украл патент на изобретение, сделанное его покойным отцом, и на этом разбогател... **03.45** Труди Стилер в триллере **"ЧЕСТНАЯ ИГРА"**. Изобретателя компьютерной игры Джина, человека талантливого, но немного странного, покидает невеста Ева. Поняв, что, несмотря на все старания, возлюбленную не вернуть - Джин решается на изощренную месть. И вот однажды, придя домой, Ева оказывается в ловушке: входная дверь внезапно захлопывается, а где-то внутри ждет своего часа одна из самых ядовитых пустынных змей - мамба. Смертельная игра начинается...

НТВ

06.00 "Сегодня утром". **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: СЕМЕЙНЫЕ ДРАГОЦЕННОСТИ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Чистосердечное признание. **10.50** Сериал **"ВСЕ ЗОЛОТО МИРА". 11.50** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". 13.30** Юозас Будрайтис в фильме **"КЛАССИК"**. Действующие "асы" бильярда из разных городов России решили сделать подарок своим учителям, доживающим дни в богадельнях: собрать деньги и поселить своих бывших наставников в приличном поместье - особняке с участком, достойным обслуживанием и питанием. Дошла очередь сделать свой вклад в "общак" и одному из областных "авторитетов" - Савицкому. Он дал 20 тысяч "зеленых", но вслед сборщикам послал убийц. А вскоре в город прибыл "писатель" и вызвал Савицкого на бильярдную дуэль, поставив на кон 150 000 $. Вызов был принят, а "писатель" не смог вести игру из-за сломанной руки, охотно согласились на замену его молодым человеком, приехавшим с "писателем". А он то и оказался "классиком", разделавшим Савицкого "под орех"!.. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"ЛИНИЯ ЗАЩИТЫ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"ВСЕ ЗОЛОТО МИРА". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СТЕРВЫ, ИЛИ СТРАННОСТИ ЛЮБВИ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** "Футбол ради надежды". ФИФА - УЕФА. Благотворительный матч в помощь пострадавшим от цунами в Юго-Восточной Азии. **02.25** Бильярд. **03.15** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО"**. **04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**. **04.55** Сериал **"БЕЗ СЛЕДА-II"**. **05.40** Чрезвычайное происшествие.

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად,
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25

მუსიკალურ ინდუსტრიას ერიკ ბერდონისგან

ლეგენდარული როკერი, ჯგუფ "ენიმალზის" ფრონტმენი ერიკ ბერდონი კინოსცენარისტის ამპლუაში მოევლინება საზოგადოებას. მუსიკოსი საკუთარი, ახლახან გამოცემული ავტობიოგრაფიის ეკრანულ ადაპტაციაზე მუშაობს. როგორც ბერდონი ამბობს, წიგნი კინოს პროდიუსერებმა წაიკითხეს და ავტორს უთხრეს, რომ ის კარგი ფილმის საფუძველი იქნებოდა. იმის მიუხედავად, რომ სიუჟეტი ბიოგრაფიას ეფუძნება, თავად ბერდონი არ იქნება ფილმის ცენტრალური პერსონაჟი. მუსიკოსის სურვილია, სურათი მუსიკალურ ინდუსტრიას მიუძღვნას; ეს ინდუსტრია, ბერდონის აზრით, კომერციული წარმატებების მისაღწევად მზადაა, ნებისმიერი ტექნოლოგიური მიღწევა დაამუხრუჭოს (ამის მაგალითად მუსიკოსი მიიჩნევს ხმისჩამწერი კომპანია-მონსტრების კატეგორიულ უარს ინტერნეტში მუსიკის გაყიდვასთან დაკავშირებით).

რაც შეეხება იდეას - ფილმი მიეძღვნას მუსიკალურ ინდუსტრიას, ბერდონისგან აბსოლუტურად გამართლებულია, რადგან ის სამართლიანად მიიჩნევა მუსიკალური ინდუსტრიის საუკეთესო მცოდნედ. მისი პირველი ჰიტი House of the Rising Sun 1964 წელს ჩაიწერა; ბერდონის მეგობრები იყვნენ: ჯონ ლენონი, ჯენის ჯოპლინი, ჯიმ მორისონი. მსოფლიო მუსიკალური წარმოება ბერდონის თვალწინ გაიზარდა და ფინანსურად მოძლიერდა.

სუში და რემიქსები აღმოსავლურ მუსიკაზე

"ჯი ემ სი" ჯგუფმა ბოულინგ ცენტრში დევიზით - "ჯანსაღ გარემოში ჯანსაღი დროსტარება", კვირას სუშის საღამო გამართა. საღამოს მასპინძლობდნენ რესტორნები "ტოკიო" და "საკურა", რომელთაც ერთი წელი შეუსრულდათ. ბოულინგ ცენტრის ინტერიერი ორიგამებითა და იკებანებით იყო მორთული, დი-ჯეიმ კი სტუმრებს გარემიქსებული აღმოსავლური მელოდიები შესთავაზა. აქცია მიზნად ისახავდა იაპონური კულტურის შესახებ ჩვენი საზოგადოების ინფორმაციის გაზრდასა და იაპონური წეს-ჩვეულებების პროპაგანდას.

"იაპონური კულტურის წარმოჩენის მიზნით, "ჯი ემ სი" ჯგუფის ინიციატივით არა ერთი ღონისძიება გაიმართა. რესტორნები "ტოკიო" და "საკურა" ქართველ საზოგადოებას მეტად ორიგინალური ფორმით აწვდიან იაპონურ ესთეტიკას და ამომავალი მზის ქვეყნის უძველეს კულტურულ მემკვიდრეობას, რაც ხელს უწყობს მთელს მსოფლიოში აღიარებული, ჯანსაღი იაპონური საკვების პოპულარიზაციას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებები უკეთ წარმოაჩენს იაპონურ ტრადიციებს", - განაცხადა "ჯი ემ სი" ჯგუფის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა მაკა ჯაოშვილმა. წვეულებაზე კახა ბაკურაძის "მოძრაობის თეატრმა" თეატრალიზებული დადგმა "წეროს ფრთები" წარმოადგინა.

ინტერ-პრესი

მუზეუმი სახელოვან პოლიტიკოსს

გარდაცვალებიდან 40 წლის შემდეგ ლონდონში უინსტონ ჩერჩილის მუზეუმი გაიხსნა. აქამდე სერ უინსტონს, რომელსაც ბრიტანელებმა "ასწლეულის ადამიანი" და "დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე გამორჩეული პრემიერ-მინისტრი" უწოდეს, ადამიანს, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში ბრიტანეთი ერთ-ერთ გამარჯვებულ სახელმწიფოდ აქცია, გაერთიანებული სამეფოს სხვადასხვა მუზეუმში გარკვეული ნაწილი ეთმობოდა. არსებობს კიდევ ერთი ადგილი - კერძოდ, კემბრიჯში ჩერჩილის საგანგებო საარქივო ცენტრი, სადაც მეოცე საუკუნის ამ უდიდესი პოლიტიკოსის სახელთან დაკავშირებული 15 ტონა სხვადასხვა სახის დოკუმენტი ინახება.

ხუთშაბათს მუზეუმის გახსნას დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე დაესწრო. ელისაბედი ტახტზე იმ დროს ავიდა, როდესაც ჩერჩილს უკვე მეორედ ეჭირა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტი. ელისაბედ მეორე ასევე შეხვდა ბრიტანელ ვეტერანებს და კაბინეტის ყოფილ თანამშრომელთაგან ერთადერთ ცოცხალ წარმომადგენელს.

არავითარი კონცერტები!

დევიდ ბოუიმ პრესის საშუალებით გააქარწყლა ხმები, თითქოს ის ზაფხულში რამდენიმე ევროპულ მუსიკალურ ფესტივალზე გამოსვლას აპირებს. ბოლო საკონცერტო გამოსვლა მუსიკოსს შარშან, ივნისში ჰქონდა Reality ტურნეს ფარგლებში, თუმცა ჯანმრთელობის გამო, კონცერტების ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო. წელს კი, დევიდ ბოუიმ ყველანაირ კონცერტზე უარი თქვა. ბოუის ოფიციალური ვებსაიტიდან ირკვევა, რომ მუსიკოსი 2005-ში კონცერტებს არ გეგმავს.

რაც შეეხება სხვა ცნობებს მუსიკოსის შესახებ. 7 თებერვალს ციფრულ ვიდეოკასეტებზე გამოიცა ბოუის 1968 წელს გადაღებული მასალა. ფილმი Love You Till Tuesday შეერთებული შტატების რამდენიმე ადგილობრივმა ტელეარხმა გადასცა, ასე რომ, აუდიტორია ფილმს იცნობს. ჩანაწერში შევიდა ბოუის ჰიტის Space Oddity-ის ორიგინალური ვერსია, ასევე რამდენიმე ადრეული სიმღერა (Rubber Band და When I Live My Dream).

თბილისის 1 კლასიკური გიმნაზიის საბალეტო სტუდია, ხელმძღვანელი მაკა მახარაძე, წარმოგიდგენთ: სამეფო უბნის თეატრში 14 და 15 თებერვალს "მაკნატუნა, პ. ჩაიკოვსკი. დადგმა თამაზ ვაშაკიძე. მხატვარი ანა კალატოზიშვილი.

დასაწყისი 19 სთ-ზე.

მისამართი: გია აბესაძის ქ. №10 (შესახვევი ლესელიძის ქუჩიდან).

ტელ: 92 38 70.

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში; ფასი: 5 ლარი

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

... UNIVERSITY OF WALES INSTITUTE Cardiff-თან ერთად.

MBA
მარკეტინგი (ფინანსები) IT 1 წელი
2 სემესტრი LSC-ში და ფინალური ეტაპი UWIC-ში, კარდიფი, უელსი.

BA
BA (Hons) 2 წელი
2 სემესტრი LSC-ში და ფინალური ეტაპი UWIC-ში, კარდიფი, უელსი.

£4550
ბაკალავრის ხარისხის მოსამზადებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა £6950.

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად.

ტელ: 253045, 230284. მობ. 877-423569
E-maol: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk

რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"

12-დან 18 საათამდე მუშაობს კაფეს სტატუსით, სადაც ნებისმიერი კერძის ფასია 3 ლარი - 18 საათის შემდეგ კი, თითოეულ სტუმარს, რომლის მიერ შერჩეული მენიუს ღირებულება 25 ლარს გადააჭარბებს, მივართმევთ ღვინოს ("რქაწითელი") უფასოდ, განუსაზღვრელი რაოდენობით.

ძმები კაკაბაძეების ქ.№2 ("კინოს სახლში") ტელ: 999-207

შვილები კახა და სერგი გაბუნიები, შვილიშვილები: გიორგი, თეკლა, თორნიკე გაბუნიები; ძმა ანზორ მენთეშაშვილი; რძლები: ქეთევან გოჩიტაშვილი და თამარ მანჯგალაძე; ბიძაშვილი ქეთევან მამულაშვილი; ძმისშვილები: ია, ეკა მენთეშაშვილები; დისშვილები: მარინე, ქეთევან ბაბალაშვილები, რევაზ, ვიქტორ გაგნიძეები; მაზლები ლევან და თემურ გაბუნიები; მძახლები: თეიმურაზ გოჩიტაშვილი, მანონი თოდაძე, ბადრი მანჯგალაძე, მანანა შენგელია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ცირა (ლილი) არჩილის ასული მენთეშაშვილი-გაბუნია

პანაშვიდები 15, 16 თებერვალს 4 საათზე
გამოსვენება 17 თებერვალს, 2 საათზე
ვაჟა-ფშაველას VI კვარტალი, I ა კორპუსი,II სადარბაზო, V სართული

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს კონკურსს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ყველა ტერიტორიულ ორგანოში ვაკანტურ თანამდებობებზე

კანდიდატისათვის წაყენებული მოთხოვნები:

კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს, აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

წარმოსადგენი საბუთების ნუსხა

- წერილობითი განცხადება სპეციალიზებული საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის სახელზე;
- განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- საკონკურსო საატესტაციო კომისიის სამდივნოს მიერ გაცემული ანკეტა;

საკონკურსო საატესტაციო კომისიის სამდივნოში განაცხადების მიღება იწარმოებს 2005 წლის 7 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა, 14:00სთ-დან 18:00სთ-მდე.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად, ტესტირებისა და გასაუბრების სახით.

საკონკურსო მასალებისა და ტესტების გაცემა იწარმოებს საბუთების მიღებისას.

ტესტირება ჩატარდება 5, 6, 12 და 13 მარტს.

მისამართი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მოქალაქეთა მისაღები, გრიბოედოვის ქ. N10;

ტელ: 758293

ელ-ფოსტა: ministry@justice.gov.ge

ტესტირების განრიგი იხილეთ გაზეთ "24 საათი"-ს 28 თებერვლისა და 1 მარტის ნომრებში.

დამატებითი ინფორმაცია და საკონკურსო ტესტები იხილეთ იუსტიციის სამინისტროს ვებ გვერდზე www. justice.gov.ge

ბიზნეს ჯგუფი "ვალენსია" გთავაზობთ

50-დან 400კვმ-მდე ბინებს უნიკალურ კომპლექსში, თავისუფლების მოედნიდან 5 კმ-ში, დოდაშვილის ქ. №18 (5 დეკემბრის ქუჩის პირველივე ასახვევი მარცხნივ), შემაღლებულ ადგილას, პანორამული ხედით, წყნარ და დაცულ ტერიტორიაზე. ბინები ჩაბარდება „თეთრი კარკასი".
შესაძლებელია ბიზნეს-ჯგუფი „ვალენსიის" მიერ იმპორტირებული, მაღალხარისხიანი მასალების, ავეჯის, სანტექნიკის, გათბობის სისტემების მიწოდების უზრუნველყოფა შეღავათიან ფასად და განვადებით.
შესაძლებელია 6 წლიანი განვადება.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.